

652/
1971/2

საქართველოს
საბავშვო ბიბლიოთეკა



1

9

7

1

6

ზ. გორგილაძე — ფესვების ძა- ბილი, ღირიკული პოემა	3
ბ. სანადირაძე — ლოდინი მოთხრობა	15
გ. გალაშვილი — სათქმელი ლექსი	35
მ. გორგილაძე — მემკვიდრე მოთხრობა	36
შ. ანანიძე — ნატვრა ლექსი	47

669/11
**გ რ ი ტ ი კ ა დ ა
კ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა**

შ. ქურიძე — ახლის დამა- კვიდრებელი იუმორი	48
--	----

შ ე რ ი ლ ე ბ ი


ი. ჩულოკი — პასუხი ოკონე- ნტებს	59
პ. ცაფიშარიძე, ა. სურგულაძე, შ. ჯაფარიძე — განმარტება პასუხის გავო	74
ზ. კომახიძე — აჭარის სუბ- ტროპიკული აგრარულ-ინდუს- ტრიული კომპლექსის სამრეწ- ველო დარგები	84

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირისა და
აჭარის განყოფილების
ორგანო

ბ ა თ შ მ ი — 1971

ნომერი—დეკემბერი



რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.12.1971 წ., საბეჭდო 6, საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 4937, ემ 00538 ქალაქის ზომა 60X90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 22).

ფესვების ძახილი

გადმოდიოდი დიდზავობის ზავით და ჟინით
ჟამთა ნანგრევებს.
გადმოდიოდი ლეკერტებით, ხვითქით და ხვირით
სხეულს საკუთარს.
გადმოდიოდი რძის ჯირკვალთან მიმჰყნარი იით
ტიალ ტრამალებს.
გადმოდიოდი ბერთვენახის ხავსით და კირით
წყნარ ნატაძრალებს.
გადმოდიოდი და ჩემთან მოხველ, —
შენ გენაცვალე.

მოიმღეროდი სისხლიანი მზითა და ჩრდილით,
კლდის სამრეკლოებს.
მოიმღეროდი ქალამანით, კომბლით და სტვირით
გორებს, კორტონებს.
მოიმღეროდი მახარობლის ვარდდაყრილ პირით
ჭიმურებს, ეზოებს.
მოიმღეროდი თავმდაბალი, მეფუფრი, ზრდილი
ბინდებს, ბილიკებს.
მოიმღეროდი და ჩემთან მოხველ, —
შენი ჭირიმე.

განგება დაცხრა, გადარდა, მზე ზამბორებზე ჰყვავის,
მთებზე გადასკდა, გადმოსკდა, თოვლის ღვენთი და ღვარი,
თეთრათში თიბავს სათიბებს, უბეშეხსნილი ქარი,
კორტონზე ნისლი ჩამორბის, ტყის ფეხშიშველი ქალი,
წყლისპირ კორფლიან ქალიქვებს გაანაპერწყლებს ნალი,

„მაგზე ტაძარი დავტოვე, ტაძარი ავზე არის“.
შიგნით ლანდები გალობენ, იღუმალების ძალით,
იქვე ჟამსა და ჟანგსა სჭამს ყბავაცვეთილი ხმალი.



ჩემს ნიჭს და ნებას მგლის კვალივით გამოჰყვა მაინც,
მარადისობას უყოყმანოდ ჩაბარდა რაიც.

ჩემს რჯულს და ვენახს, ჩემს ტკივილებს აღმერთებს მაინც,
უსასრულობის ფრთხილ საგანძურს ჩაბარდა რაიც.

ჩემს ეჭვს და იმედს, ჩემს ოცნებას აპურებს მაინც,
დემონის ლუკმად, ღმერთის ლუკმად ქცეულა რაიც.

მაგულიანებს და მაქეზებს უბადლო რაინდს,
ის უკმარობა, ის ძახილი მაინცდამაინც.

მე ისევ ისე ვამაყობ და ვდიდგულებ შენით,
ვდიდსულობ შენით...

და თუ კი დამდეგს მგოსნის ეჭვი, იმედი ბრძენის,
და თუ კი მმართველს, როგორც ქართველს, მმართველს და
მშვენის,

დიდების ელდა, მხურვალე სევდა, მიძიმე და ძველი,
ჯამით თუ ხანჯლით, კვარით თუ ქნარით გაწვრთნილი ხელი.
თუ ვინმე მხრავდა, თუ მტერი მყავდა, ბილწი და ბნელი,
თუ ვინმე მიცნობს, თუ ვინმემ მიძმო, მიძმო და მელის,
თუ მაგრად მღერის, თუ ისევ მღერის ფილტვი და ყელი,
მხოლოდ ეს შენით, ისევ შენით, შენით და შენით.

ახლა ხანჯლების ღვედურ ღარში მოჟონავს ნამი —
ამინ! ამინ! ამინ!

რომ მეც შევდგა და გავაგრძელო მამულის მთები,
ნისლში და ფიქრში გახიზნული გოლიათები,
რომ მიინაზოს, მოინაზოს იღუმალ გზნებით,
ის ფეხშიშველი და მწუხარე ანგელოზები,
რომ მზის შანდალთან მოდრეკილი მოიქცეს სკვითი,
ყაჩაღი ძველი, ახლა ნორჩი და მიამიტი.

დე, მზის საათმა იწიკწიკოს, იაროს ნელა,
მე სულ სხვა მაჯას გავუსინჯავ ჩემს ახალ გელათს,
მე სულ სხვა მაჯას გავუსინჯავ ჩემს სვეტიცხოველს,
დღეები მთხოვენ... დღეები მთხოვენ...
ახალ რუსთაველს, ახალ დანტეს, ახალ ბეთხოვენს,
მერე რა ძალით,

რა მუდარით,
რა ჟინით მთხოვენ...

რომ გავანათო ბებერ ქვებში ხმა შენთა ძეთა,
რომ უფრო დიდი, მკვიდრი ლანდი დაეცეს მცხეთას...
რომ იყოს ხვითო შენი ბეწვის და შენი ლაზლის,
ჩუქურთმა, — ჩემი ტკივილის და სიმღერის აზრი.
რომ სულ სხვა ლტოლვა და ზარების დააცხრეს ზვირთი,
ვარძიის ძირებს, ზარზმის წვივებს, ხერთვისის ქვითინს...
რომ ჩემი ღროის და დღეების ბრძენთა და მოგვთა,
სული და სისხლი წრიალებდეს დაჟანგულ თმოგვთან...
რომ ჩემი ღროის ყველა ქალწულს და ყველა დედას
გადავდო ტყეში დარჩენილი ყინწვისის სევდა.

შენი ძირძველი არსებობის ზვირთია ერთი
ასაკი ჩემი,
დროშა ჩემი
და ჩემი კვერთხი.
მეც რწმენის გარდა, ხალხის გარდა ვინ მყავდა შემწედ,
ისევ ამ ჟინით, თუ რამ შევქმენ, თუ კი რამ შევქმელ,
ისევ ამ დროშით, საჭრეთელით და ქნარით ისევ,
თუ კი რამ კარგი ავწიე და ავზიდე ცისკენ,
ისევ ამ შუბლით, თუ რამ მძაფრი დავტაცე სივრცეს,
რომელიც შენს სულს, შენს ძვალს, შენს ვაზს ემყნობა ისევ.

დღეს სხვა აქვს ფასი ყველა ატომს და ყველა მიკრობს,
გიყურებ შენ და მეც წინაპრის სახელზე ვფიქრობ.
გიყურებ შენ და მეც წინაპრის სახელზე ვჯავრობ,
რას მიმცემს ნეტა შთამომავლის დიადი მსჯავრი.
„დროსა და მანძილს ერთად უნდა აუღო ალღო
წყალთან და ცეცხლთან მოთამაშე კეთილ ბაღლო“ —
მაფრთხილებს შენი ხმა ძვირფასი, ძვირი და ძველი,
დღით ლოდებს ვრანდავ, ღამით ფიქრის ეკლებზე ვწვები.
და შენს ძარღვებში მოჩხუბარი ენგური ახლა,
მე ყველა ტოტზე მონათლული სულივით ამყავს.
და შენს ფერდებში მოთქლამუნე ენგური ახლა,
თუ კიდევ სადმე ბინდბუნდია, გაურკობს ლახვარს.
გაედევნება ჩემი ზვალე და ჩემი მერე,
კოლხეთის ველზე მიმოფანტულ ციციანთელებს.
მეც მალე დავდგამ შენი თივით თავწაყრულ ზვინებს.
მე შენი თიხა, შენი კირი ქუსლებით ვზილე.
ჩემი ძელქვების, ჩემი ქვების კვეთით და ღვედით

მეც „ივერია“ დავდგი როგორც ტაძარი ერთი.
და ანგელოზთა მოჩურჩულე იდუმალ დასით,  ერეკლესული
მეც ქართვის დედა თავზე მადგას ხმლითა და მანათი.

შენი კირიმე!.. უსათუოდ მაცალო უნდა,
რომ შენებურად ვეპატრონო გათანგულ გუთანს.
რომ ვუპატრონო ორლობეში მიშვებულ ნახირს,
საულლე მოზვრებს რომ ბეჭებზე დავარტყა დალი.
რომ ლაფაროში ქვაბი მედგას ჯაჭველა არყის,
რომ ჯარგელის კარზე გამობმული ბრდღვინავდეს ძაღლი.
რომ ეზო-კუჩხე გაიჟღინთოს ორშიმოს სუნით,
რომ ყბაში მოვდო ქალაქისკენ გაქცეულ სურვილს.
ატმის სველ ტოტზე რომ ყიოდეს მამალი ისევ,
და ოდის სული —

ფიჩხის კვამლი იწვედეს ცისკენ.
თორემ საკუთარ ნერვების თუ ფრჩხილების ღეჭვით,
ვიღაცის სულში ჩნდება სევდა, შიში და ეჭვი.
ვიღაცის სულში დაძუნძულებს წუხილი მძიმე
და ტყდება საღდაც ნალიებზე მიდგმული კიბე.
ვიღაცის სულში დააბოტებს ბოღმა და ბრაზი
და ღელე-ღელე ხის წისქვილებს ედება ხავსი.
ვიღაცის სულში წყდება უკვე იმედის ბეწვი
და ტყდება საღდაც... შუაეცეცხლზე წადგმული კეცი.

რომ მიატოვებს ნამს და ბალახს ქართველი გლეხი,
რომ მოვა უცხო და დაბოლცავს ჩვენს ვაზს და ხეხილს...
რომ მიატოვებს ძაღლს და ფანდურს ქართველი გლეხი,
აქამდე ასე უჯიათი, ასე უტეხი...
რომ თავსაფარში გამოკოჭავს ორი დღის საგზალს
და გულნაკლული გადმოხელავს სათიბებს ფეხით...

ირემო, მთასა მყვირალო,
რამ ჩამოგადო ბარადა,
რავი, რამ ჩამომახეტა,
დავიარები ცალადა,
ჩემი ზღუქუნე ქვეყანას
ყურთან უყრია ჩალადა,
ტყე მოსრეს, ძეძვი აჰკაფეს,
და მე ჩამადგეს არადა,

დღის სასუსნავიც წამართვეს,
ღმერთი არა ჰყავთ ამათა?!
რად მინდა ბარის ბალახი,
ყელში ბოგინობს შხამადა,
კლდის გულზე მობლატებული
ხვართქლიც მეყოფა წამლადა,
ნეტა სანამდე ვეხეტო
ასე, სხვის კარი კარადა,
არც მინდა ბუქვით, მუქარით
მთაში შემდენონ ძალადა,
ბარში თუ თავად ჩამოველ,
მთასაც შეეყვები თავადა.
ოღონდაც შიში ტანში მჩხვერს,
მხდის უგუნებოდ, ავადა,
თუ მიმაჩვიეს ქვამარილს,
ხელისგულეზე მტკბარადა,
დამიბერწდება სისხარტე,
დავზოროხდები ტანადა,
ველარ მოვიქნევ ბექს და წელს
ლელ-ჯაგის გასატანადა,
გამომიდგება რჯულცოფი,
მშიერი მგელი კვალადა,
წამომეწევა, დამლადრავს
და მერე დამტკვერს ძვალადა,
ჩემი სული და ბალანი
გაიფანტება ქარადა,
მომეცით მთები უღრანი,
არ გეხილვებით თვალადა,
ბარში თუ თავად ჩამოველ,
მთასაც შეეყვები თავადა.

ჩემს წესს და ადათს ვინ უსრულებს ღვთისნიერ სურვილს,
მოზგვრები დაჰკლეს?.. თუ დაშეშხეს ფურების ცური?..
ჩემს მთებს და ველებს მოეყუდა ნაცნობი ჩრდილი,
იქნებ იმ მწუხრით დაკარგული ბრუნდება შვილი?..
ეს ვისი ხმაა, გაღვიძება ნამიან დილის,
ფერეიდანის ქოხმახებში ფანდური ტირის,
ეს ვისი ხმაა, გამოგლეჯა გამშრალი ყელის,
ფერეიდანის ქოხმახებში ხანჯლები მღერის,

თოვზე ახლა სხვანაირად წემუტუნებს ძაღლი,
იმერხევიდან ვისმენ ჩემი ემრულას ძახილს.
აკვნებზე ახლა სევდიანად მძვინვარებს ნანა,
იქ, იმერხევეში ჩემი ძველი კედლები დგანან...
იქ, იმერხევეში, მიოხრებულ ტაძრების შიგნით,
ღმერთებთან დაობს, დროსთან დაობს ქართული წიგნი.
იქ, იმერხევეში ჩემი კვირტი ბოჟირობს, ჟივის
და კოლხურ ცაზე იგრავენა შატბერდის სხივი...

მივდექ და მოვდექ ცის ქვეშა, თამარის დროშის ფრენითა,
შემოვიზომე საუფლო, მისი ყირათი ცხენითა,
ვაზის ჯვრითა და ყვავილით,
მზის გვირგვინითა ცხელითა,
მოძმეს აყვარე ბორკილი, ხმაღისისხლიანი ხელითა,
ბევრი მიხდიდა ქუდებსა, ბევრი მჭვრეტავდა წყენითა,
ბევრიც კი შემომეხიზნა ლაქარდიანის ენითა,
უბეში მოფუთფუთარი, კბილშხამიანი გველითა,
ვიცოდი, მაინც ვლოცავდი,
ყველას ღვთისმშობლის ცრემლითა.

ღუშმანს მის ხორცსა ვაჭმევდი, თვალში თვალების ძგერითა,
მოყვარეს ვანებიერებდი სიყვარულითა ბევრითა,
თავზე ყაბალახწახსნილი, მოჭაფქაფარი ქვევრითა,
ტყის სულში გაღვიძებული, მაგალობლებისა ყელითა,
ვეფხვების ბლეზი ლეკვებით,
შოთაის ჩანგის ღებნიითა.

მაგრამ რა ზურგმა გაზიდა, გარეთ ეგ ჩემი კალათა,
უვიცობამ თუ ბნელობამ, სიყვარულმა თუ ღალატმა,
რისთვი აბორგდა ლუხუმი, რისთვი გაჯავრდა სანათა,
რისთვი მოზავდა ონისე და გადაიქცა ხმალადა,
ლეღაის თმების გამოშლამ
ხევი რად გადაანათა.

წამომეზარდნენ შვილები, მეგონა ხმლად და ფარადა,
ისემაც სული უცხოვნდათ მაგათსა მკვდრებსა მარადა,
ზოგმა ხურჯინით გამცალა, ზოგმა გამფანტა ქარადა,
ზოგმა მტერსა თუ მოყვარეს მიმართვა საჩუქარადა,
ციხე შიგნიდან თუ გატყდა, გატეხილი ხარ თავადა,
კაი შვილები დამზრდიან, კაი თვალად და გვარადა,

ნებით რაისთვი გამყიდეს,
მეყო რაც მყიდეს ძალადა.

მე ახლა ახალ სამოსახლო ადგილებს ვეძებ,
არგონავტების ნაძუნძულარ კოლხეთის ველზე.
მე ახლა ახალ საგუმბათო ადგილებს ვეძებ,
კუდიანების ნაწანწალარ კახაბრის ველზე.
მე ახლა ახალ საბალავრო ადგილებს ვეძებ,
კევრით გაბეგვილ და გაჭეჭვილ ალაზნის ველზე.
მე ახლა ახალ სავენახეს, საყანეს ვკაფავ
და შუბლზე ცის და მიწის მადლი ეღვრება ლაბას.
რომ ჩემი ღვიძლი დავამკვიდრო და დავასახლო
ვარძიის ახლო,
ზარზმის ახლო,

გელათის ახლო.

რომ დამსკდარ კედლებს მოთხუპნული თითების კვალით,
ბაღლებმა ჩემმა მიახატონ „ანი“ და „ბანი“.
რომ ბებერ კედლებს გაუწვრთნელი თითების ნებით,
ბაღლებმა ჩემმა მიახატონ ტოროლას ფრთები.
რომ ვერ გაბედოს უცხო ტომმა დღისით და მზისით
ამ წმინდა კედლებს მიაფურთხოს სახელი მისი.
რომ შეემატოს ჩემი მიწის სიმცირეს დიადს,
კენჭი, რომელსაც შენი ესმის და შენი ჰქვია.
მე ახლა ახალ სამოსახლო ადგილებს ვეძებ
გუგულის ენით გაღვიძებულ მთასა და ველზე.

დაუკარ ჩემო ფანდურო,
გადაკარგულო შორითა,
გადარჩენილო სიმღერავ
ქართულ კალთაში წოლითა,
გამოეგებე მაცნესა
შვილებითა და ცოლითა,
სურვილის თასი ამივსე
შენი თითების ბროლითა.
ვტირი?... მიხარის და ვტირი,
ნუ დამიძახებთ მგლოვიარს,
მამულზე შვილობის მეტი
მე რამე არ მითხოვია,
ჩემი წინაპრის ნადგომსა

მუხლისთაგებით მოვიარ,
კახაბრის ველზე ია წვიმს,
გოდერძის თავზე თოვლია,
შორია მემლექეთამდე,
გურჯისტანამდე შორია.

...
ო, შორეულო ფესვო ჩემო და ჩემო ძირო,
მე მუდამ, მუდამ გეძებდი და გეძახდი, — შვილო!
გლანდავდი ყველგან, ცის ფონზე თუ ჯურღმულის ღრეში
და სამი გორა, სამი გორა გორავდა ყელში.
თუ ნიშნობებში ცურთოროქალა ფურები დავკალ,
იქ, იმ ხმაურში, იმ ტკარცალში შენი ხმა მაკლდა.
თუ ქორწილებში მობუღრავე მოზვრები დავკალ,
იქ, იმ ხორბოცში, ტაშფანდურში შენი ხმა მაკლდა.
თუ ძეობებში ჩიტის ჭიკჭიკს ვუღდგამდი აკვანს,
იქ, იმ ზეიმში, თოფის ხმაში შენი ხმა მაკლდა.
თუ ვინმეს ცხარედ დავტიროდი სამარის კართან,
იქ, იმ გლოვაში შენი ცხელი კურცხალი მაკლდა.
ჩემს მთებზე გაბმით გაჰკიოდა ქარების ქორო,
და რაც არ მაკლდა, ის რა არის, მე ვიცი მხოლოდ.
ახლა კი, ახლა, სხვა განსჯის და განკითხვის დროა,
მე მოვალ შენთან, მოვალ შენთან, მე მოვალ, მოვალ.

ჩემთან სტუმარი მობრძანდა
დიდი ხნის უსტუმრებელი,
ჩემი ვაზივით ახალი,
ჩემი რჯულივით ბებერი,
მობრძანდა, გამოვეგებე,
როგორც მასპინძელს შეჰფერის,
თან მოჰყვა ქალი ლამაზი,
სიცოცხლის მამამებელი,
ისე ნაზია, იფიქრებ,
გაქრება სულის შებერვით,
აბესალომ და ეთერი,
ღმერთმა შეჰყარა ერთფერი.
კლარჯული მტევნის კურცხალი,
ულვაშზე შერჩა ცვარივით,
პური გატეხა, უბეში
ჩაიგდო კენჭი მარილი,
და მისი ქალი სუფრაზე

გადმოტყდა როგორც ყვავილი,
ყვავილი, ბაღჩის ბოლოში
წვიმების ამოყვანილი.
კაცს გოროზობა შვენოდა,
ქალს კი მორცხვობა, — მზითევი.
კალთაში ფანტელებივით,
ჩაუფარფატდნენ თითები,
დაპირქვევებს ლამობდა
ორი პაწია გიდელი,
წითელი კაბა ეცვა და
ტუჩებიც ჰქონდა წითელი.

გავჩხრიკეთ ძველი ღაღარი, ვარსკვლავისა თუ მთვარისა,
მე მთის ამბავი ვუამბე, ის კი მომიყვა ბარისას,
როგორ გადურჩა ბეჩავი წარღვნას გრიგალს და ქარიშხალს,
ათას სისხლსა და რწმენასა,
ათას ბაღლამს და დარიშხანს.
გავსინჯე მისი მხარ-მკლავი და ჩემიანად მენიშნა,
მოვეყვრე კვირისთავები და ჩემიანად მენიშნა,
მოვბლოტე მკერდის ბალანი და ჩემიანად მენიშნა,
ქართველი კაცის გუმანი
თმის ღერსაც იცნობს მტერისას.

წამოვბრიალდი, ავტირდი აყვავებული ვაზივით,
ისიც თრთოდა და ტიროდა, იმ აჩეხილი ვაზივით,
სისხლმა მოხვეტა ჩვენს შორის ის უსასრულო მანძილი,
თურმე ჩემი ძმა ყოფილა,
ჩემი ფანდურით გაზრდილი.

მივდექ, მოვდექი, უმაღვე გავძახე სოფელს მძინარეს,
ჯარგვალთან ძაღლი აყეფდა, ძაღლს ბანი მისცა მდინარემ,
ატმების ყვავილებივით ფანჯრებში გაჩნდა სინათლე,
მეზობლები და მოყვრები
ქიშკარზე გადმომივარდნენ.

ძმა დამიბრუნდა, ღვიძლი ძმა, ძმა ჩემი ფუძის ბადალი,
იმ ხუთასი წლის ნაგვემი, ნაბეგვი და ნაზამთრალი,
ხარის შუბლივით ნათელი, ჩიტის გულივით მართალი,
შენი თესვის და თოხნისა,
შენი ტეხვის და მკათათვის,
იმ ალაჰსა და ქრისტეში
აბა რა ყრია მართალი,

არ დამკლათ, თავი არ მომპრათ,
არ დაუძახოთ თათარი.

მარანში გაცვდა ქოშები, ბოსელში დაწყდა თოკები,
სუფრაზე გაბმით გორავდნენ ტუჩმოტეხილი ღოჭები,
გადმოდიოდნენ ალავერდს ზვიადნი და ამბოხები,
ძმას მითოკავდნენ, მიხრჩობდნენ მოფერებით და მოხვევით.
გული კი მაინც ტიროდა,
გული დიდი და ოხერი.

* * *

მუხლისთავეები რომ გაჩვენო, გამიგებ მაშინ,
ვისთვის და რისთვის ვლოცულობდი მზესა და ქარში.

ყორყის ძარღვები რომ გაჩვენო, გამიგებ მაშინ,
რა მზე, რა ქვეები გადადუღდა ჩემს ქართულ ხმაში.

ყველა ნეკნები რომ გაჩვენო, გამიგებ მაშინ,
რამდენი ღმერთი ბოგინობდა დაჩეღტილ ტანში.

ვლოღნიდი ქერქს თუ ნაჩლიქვარში წვიმის წყალს ვსვამდი,
შენ იყავ ჩემი ღმერთიც, ხატიც,
მხოლოდ შენ მწამდი.

თუ ჩემი ქოხის ლურჯი კვამლი იწევდა
ცამდი,
იმ კვამლში შენი სული თრთოდა,
მხოლოდ შენ მწამდი.

ფერდოში როცა გადარუჯულ ვაზის ძირს
ვრწყავდი,
მის ფესვში შენი ფეთქვა იყო,
მხოლოდ შენ მწამდი.

თუ ზვინებს ვდგამდი, თუ ზვინებთან მუმისას
ვგავდი,
იმ ზვინში შენი ღერო იდო,
მხოლოდ შენ მწამდი.

ქოხმახის ახლო, ღობის ახლო თუ რამეს
ვრგავდი,
იმ ნერგში შენი თესლი იყო,
მხოლოდ შენ მწამდი.

ჩვენებურ გიდელს და ჩილატანს იმედით ვწნავდი,
და რაც არ მწამდა,
იქაც მხოლოდ შენ ერთი მწამდი.



უდაბნოს ხვატში ჩემი კვალი ოაზისს ჰგავდა,
რომ მომნახავდი, მომძებნიდი,
მჯეროდა,
მწამდა.

* * *

დაბრუნდებიან დაკარგული შვილები შენი,
შემემატება გუთნისდედა, პოეტი, ბრძენი.

გამამრავლებენ ჯიშიანი შვილები შენი,
ბევრი აკვნებით, წისქვილებით, ჭიშკრებით, ჭერით.

გამამარებენ კვეთიანი შვილები შენი,
ახალი ვაზის ყვავილობით და ღვინით ძველით.

სულში ჩამექცა იბერიის მფეთქვარი ზეცა,
იმ გვირგვინების, იმ მხურვალე მზეების ლეწვა.

ქართების სუნთქვის გრიგალებით გავწვროვენი ფილტვი,
მე ახალ სიტყვას, ახალ ვეფხვის პოემას ვიტყვი.

იმ ახალ სიტყვას, შენ რომ ზრდიდი ოდითგან ოდით,
ბალღური ნებით, მგოსნის ფრთებით, დაფნების რტოთი.
სიტყვას, რომელსაც ჩემი რჯულის ფუძეში დებდი,
ვაზის ყვავილით,
ვეფხვის ტყავით,
ღვთისმშობლის თმებით.

შენი ძირძველი არსებობის ზვირთია ერთი,
ასაკი ჩემი,
დროშა ჩემი
და ჩემი კვერთხი.

მეც რწმენის გარდა, ხალხის გარდა ვინ მყავდა შემწედ,
ისევ ამ ჟინით,
ამ სიცხადით, თუ კი რამ შევძელ.

ისევ ამ მკლავით, თუ რამ მძლავრი ავზიდე ცისკენ,
რომელიც შენს სულს,

შენს ძვალს,
შენს ვაზს ემყნობა ისევ.

* * *

აყვავებული ტოტით
მწუხრზე მომჩეხეს მარჯვენი,
რამაც მესხეთი აღაგო,
რამაც აღაგო კლარჯეთი.

ვაზისაა და თავთუხის, იქ რომ ჩუქურთმა მინთია,
დამიწდეს ჩემი მხარ-მკლავი, ქვეყანა უფრო დიდია,
საუკუნენი მოდიან,
საუკუნენი მიდიან...

ბიოგრაფიული

ლ მ დ ი ნ ი

მეტევეზე ტალიბა სეიდისვილი ორი წლის შემდეგ გაათავისუფლეს ციხიდან. იგი ჩამოვიდა ღამით, ტყავის ვეება ქულაჯაში გამოწყობილი, ერთიანად მოღუშული, ჩამომხმარი. სანაპირო ქუჩაზე თითქმის არავინ ჩანდა. ერთმანეთზე ახირხლული, ხის დაბალი სახლები ჩამკვდარი გამოიყურებოდნენ. ეს იმიტომ, რომ აქაურ მცხოვრებლებს მძიმე, არალუღე-ბიანად დაგმანული დარაბები უყვართ. ტალიბა უხალისოდ მიაბიჯებდა ნაცნობ ქუჩაზე. ცალ ხელში პატარა ფუთა ეჭირა — ციხის სამახსოვრო. ცალი კი ქულაჯის ჯიბეში ჩაემალა. ფოთის მხრიდან ქარი უბერავდა. შემოდგომის ეს ცივი, ხორკლიანი ქარი სიამოვნებდა ტალიბას. მიაბიჯებდა თავაწეული, მკერდგაღელილი, მაგრამ საშინლად გაბრაზებული. ასეთი იყო იგი ორი წლის წინათაც, როცა ისა აბაშიძის დუქნიდან წაიყვანეს მენშევიკური მთავრობის მილიციელებმა. „აქ რაღაც გაუგებრობაა“ — ახმახი მილიციელის ხელის მოშორებას ღამობდა ტალიბა. „გაგარკვევთ!“ — კიდევ უფრო მაგრად უჭერდა ხელს მილიციელი. და გაარკვეეს: მას ორი მენავის სიკვდილში დასდეს ბრალი. „აბა, რად მინდოდა მათი მოკვლა? — გოცდა ტალიბა — თანაც იმ ღამით მე სულაც არ ვყოფილვარ ნავსადგურში“. არ დაუჯერეს. შუალამისას ისევ დაკითხეს. თუმცა ეს დაკითხვას კი არა, უფრო ცემას გავდა. ტალიბას გვერდები ტკიოდა. ერთ-ორჯერ სისხლიც ამოაფუროთხა. მან დაახლოებით იცოდა, როგორ დაიღუპნენ მენავეები — სიბნელეში რომელიღაც გემი დაეჯახებოდა. მაშინ მრავალი მენავე იღუპებოდა ასე — საქარიშლო, გამაფრთხილებელ ფარნებზე არავინ ზრუნავდა. მენავეები კი ორი გროშისათვის მთელ ღამეს მიმოდიოდნენ რეიდზე ჩამომდგარი გემიდან — ნავსადგურამდე, ნავსად-

გურიდან — გემამდე. დაღლილებმა წამით თუ მოატყუეს თვალი, მენავე ბერძენი იყო, მეორე — აფხაზი. ტალიბა ორთავეს იცნობდა. გა-
ზაფხულის პირზე ნავის გამართვაში მოეხმარნენ. „ჰოდა, მათე ჩემს გემს
ქნებოდა“. — უთხრა ტალიბას ცხვირდაჭყაპულმა გამომძიებელმა. „მე
არ მომიკლავს ისინი!“ — გაბრაზდა ტალიბა.

გამომძიებელმა ცალყბად გაიცინა. ისევ სცემეს, ჯერ ბალთიანი ქამ-
რით, მერე მუშტები დაუბაგუნეს. ტალიბას არაფერი უთქვამს. ანდა რა
უნდა ეთქვა? ის, რომ ამ ამბავისა არაფერი იცოდა? მაშინაც ცივი დაძე
იყო. იატაკზე იწვა. უხმოდ იწვა. როცა დანარტყამი ძალზე მწარე აღმოჩ-
ნდებოდა, ამოიკვნესებდა, ისიც ჩუმად, არაბუნებრივად.

ტალიბას დაჭერის ამბავი სწრაფად მოედო ქალაქს. დაასკვნეს: ტა-
ლიბა არაფერ შუაშიაო. მაგრამ, რაკი გამოძიება გაგრძელდა, ჭორმა ნელ-
ნელა მოიმაგრა ფეხი. ათასნაირმა კუდგამოსკვნილმა ხან კეთილი, ხან
ბოროტი სახით ჩამოუარა სახლებს... ეს კი ჩვეულებრივი ამბავია ხოლ-
მე — მთავარია კაცს ჩრდილი არ მიადგეს, თორემ თუ მიადგა, მამაზეცი-
ერი ღმერთიც რომ იყოს, ხალხის ყბა იმასაც არ დაინდობს... ასე იყო თუ
ისე, ეს უდანაშაულო კაცი საციხოდ გაიმეტეს. თუმცა, სასამართლოში
რომელიდაც ტანდაბალმა, საკმაოდ ჩაფსკვნილმა მამაკაცმა სიტყვა ითხო-
ვა. „ბატონო, მოსამართლე!“ — დაიწყო ტანდაბალმა. „რა გნებავთ?!“
უკმეხად შეაგება სასამართლოს თავმჯდომარემ. „მე დაღუპული მენავის
ძმა ვარ...“ — წარბიც არ შეუხრია ტანდაბალს. „მერე? — ხმა გაეზზა-
რა მოსამართლეს. — როცა გამოგიძახებენ, მაშინ ილაპარაკებთ“. „თქვე-
ნი წესისა არაფერი გამეგება, — დაიბუბუნა ტანდაბალმა. როგორც შე-
მდედ გამოიჩვენა. აფხაზი მენავის ძმა იყო, — მაგრამ ვიცი, რომ ეს კაცი
არაფერ შუაშია. მე თვითონ მენავე ვარ, ჰოდა...“

„გაჩუმდით!“ — დაიყვირა მოსამართლემ.

„რატომ გავჩუმდე? — მხრებში გასწორდა ტანდაბალი. — უდანაშა-
ულო კაცს ასამართლებთ. ასე ყველა ჩვენთაგანის გასამართლება შეიძ-
ლება. აქ რალაც სხვა ამბავია, ბატონო მოს...“

უცებ გაჩუმდა. თითქოს მის სიტყვას ისე წვდნენ და გადაგრიხეს,
როგორც ხელს გადაგრეხენ ხოლმე ზურგს უკან. მან დაინახა მოსამართ-
ლის განრისხებული სახე, განზე გაქნეული ხელი — განუსაზღვრელი უფ-
ლების მქონე კაცის ჟესტი და გაჩუმდა. იგი გარეთ გააბრძანეს.

ხალხმა იხუვლა. ტალიბა ჩუმად იჯდა. თითქოს ეს ყველაფერი მას
კი არა, ვილაც სხვას ეხებოდა. მისი თვალები მაიას ეძებდნენ. მაგრამ
მაია არსად ჩანდა. შესაძლოა ამიტომ, მისთვის სულერთი იყო, რა განა-
ჩენსაც გამოუტანდა სასამართლო...

სწორედ ამაზე ფიქრობდა ტალიბა.

ქუჩაში მიაბიჯებდა. ქარისთვის სახე მიეშვირა. მძიმედ სუნთქავდა.
ქუჩა ერთბაშად ხელმარჯნივ უხვევდა. იქ ღუქანი იდგა. ღუქნის დარა-

ბებიც მჭიდროდ იყო მიხურული. ისა აბაშიძეს არ უყვარდა გვიანი სეზონი. მაგრამ, თუ არ მოეწეებოდა, კარს უსათუოდ გააღებდა, ნაცნობი იქნებო. ჰოდა, შინ მისვლამდე ტალიბამ ისა მედუქნესთან შეხვედრა შესვლა. ნიხვდა — ღელავდა, პირი უშრებოდა, ტანში რაღაც უცნაური ყრუოლა უვლიდა. ისა აბაშიძემ თითქოს ვერ იცნო.

— ნუთუ ტალიბა ხარ? — იკითხა შემფოთებულმა.

— აბა ვინ ვიქნები?! — ფეხი წინ წადგა ტალიბამ.

— საოცარია, — თქვა მედუქნემ, — საოცარია სწორედ. — და გადაეხვია. გულმა უგრძნო ტალიბას, ჟღალწვერა მედუქნეს მაინცდამაინც არ გახარებია ჩემი დანახვაო.

— გეშეიება, — უთხრა ისამ და თვალისდახამხამებაში გააწყო სუფრა.

სუფრის ასე ნაუცბათევი გაწყობაც არ მოეწონა ტალიბას, მაგრამ დიდი თავპატიჟი არ გაუღვია. მაშინვე დაისხა ღვინო, ლამპის შუქზე გაუხედა, ყველა პატიოსან კაცს გაუმარჯოსო, თქვა ყრუდ, თითქოს თავის-თავს ელაპარაკებო, და გადაჰკრა.

— აბა, მკვდარი გეგონეთ, ხომ? — იკითხა უცებ.

— კარგი ერთი, — თვალი მოარიდა ისამ. — შინ იყავი?

ტალიბამ თავი გააქნია.

— როგორ ფიქრობ, ვის დასჭირდა ჩემი მოშორება? — თვალი თვალი გაუყარა ჟღალწვერა მედუქნეს. ეს კითხვა მთელი ორი წელიწადი აწვალებდა.

— ათას რამეს ყვებიან, — თქვა ისამ, — ხომ იცი, ხალხს ლაპარაკი უყვარს.

— მაინც? — ისევ გაივსო ჭიქა ტალიბამ.

— თვითონაც მიხვდები. რავა, ისევ ციხეში გარბინარ თუ? — გახუმრება სცადა აბაშიძემ.

ტალიბამ ყველის ნაჭერი აიღო. ჭადს ყუა ჩამოსტება. მაინც გაშტერებული მისჩერებოდა ისას. ისა შეიმშუშნა.

— ჰო, — გამოერკვა ტალიბა. — ცხადია, ვიცი, ვისაც დასჭირდა ჩემი მოშორება. — და პირველი ლუკმა ჩაიღო.

ისა აბაშიძემ შვებით ამოისუნთქა. ლუკმის გატება კარგად ენიშნა ცხოვრებაგამოვლილ მედუქნეს. ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი ტალიბასათვის. მაგრამ რატომღაც უცებ გადაიფიქრა და ღვინოს მიეძალა.

— მაია? — იკითხა ტალიბამ.

— გათხოვდა. — თვითონაც გაუქვირდა, როგორ უბრალოდ ამოისროლა ეს სიკვდილივით ძლიერი სიტყვა. ტალიბას მიაჩერდა. ტალიბა ჭიქას დასცქეროდა. ერთი ნაკვთიც არ შეტოვებია სახეზე. ეს იყო მხოლოდ

ლოდ — კანმა ერთბაშად იცვალა ფერი. ეს კი არ გამოპარვია ისას და ჟინებულ მზერას.

— მეც არ გამიკვირდა, სასამართლოზე რატომ არ მოვიდა — თითქოს ვიღაც გარეშე ადამიანზე ლაპარაკობდა ტალიბა. თითქოს სავსე თარ ხმას შორიდან ისმენდა. თითქოს ეს ყველაფერი მას კი არა, სხვას ეხებოდა.

— ვისაც არ უნდა, ჰკითხო, ყველა გეტყვის, რა დღეშიც ჩააგდეს ძმებმა.

ტალიბამ ისევ გალაჰკრა.

— აბა, — განაგრძო ღვინომორეულმა ისამ. — ძმებმა შინ ჩავეტეს გოგო. დღედაღამ ყარაულობდნენ. თავის მოკვლაც დააპირა თურმე.

— და გათხოვდა. — თავი არ აუწვევია, ისე წარმოსთქვა ტალიბამ. იგი ჭიქაში ჩარჩენილ ღვინოს უყურებდა: მას არც უკითხავს ვის მისოხვდა მაია. საოცარია, რომ არ უკითხავს! რატომ არ იკითხა? მაშასადამე, თავის მოკვლას აპირებდა. მაშასადამე, ეს ამბავი მთელმა ქალაქმა იცის. რა უცნაურია, ფიქრობდა ტალიბა. ქალი ერთგულებას ეფიცებოდა და ორი წელიც ვერ მოითმინა. ტფუ!

— შენ ყველას მკვდარი გვეგონე! — თქვა ისამ. ეს რომ თქვა, მერე გაახსენდა, რატომ ჰქონდა ენის წინ კბილები. გაახსენდა, მაგრამ გვიანი იყო.

ტალიბა გოაცებული მისჩერებოდა.

— მკვდარიო?

— ეგრე იყო, — თქვა ისამ.

— ვის დასჭირდა ჩემი სიკვდილი? — იკითხა ტალიბამ.

ისამ ცარიელ ბოთლს ხელი წაატანა, სარდაფისაკენ წალასლასდა. სინამდვილეში კი პასუხის გაცემას აპირდა თავი. ისა მაიაზე ფიქრობდა. ტალიბას დაჭერის შემდეგ მაია საოცრად ჩამოხმა. ზაფრანასავით გაყვიროდა და უშნოდ აიკანჭა. ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც უხაროდა მისვლა — ტალიბას დედა იყო. უკვე საკმაოდ ხანშიშესული, წლებისაგან მოტეხილი მოხუცი დედა ამბობდა: „ღმერთო, აბა, რად უნდოდა ჩემს ბიჭს იმ საწყალი მენავეების მოკვლა?“ ათას ადგილას იჩივლა, ათას ადგილას ითხოვა შველა. ამაოდ. იმ არეულ დროს ძნელი იყო რაიმეს გაგება, ან დადგენა. ჰოდა, დაწესებულებიდან დაწესებულებამდე ალოღი-ლებულმა ქალმა დარდს ვერ გაუძლო და შვილის დაჭერიდან ხუთი თვის თავზე მაიას კალთაში დალია სული. ტალიბასაგან კი არაფერი ისმოდა. ერთ ბნელ ღამეს გემით რომ წაიყვანეს სადღაც, მას მერე მისი მნახველი, ან ამბავის მომტანი, არავინ გამოჩნდა.

მერე კი ქალაქში ხმა დაირბა, ტალიბა სეიდშვილს ციხიდან გაქცევა დაუპირებია, საკნის ცხაურების გადახერხვისას მოუკლავთ ზედამხედველებსო. ამ ამბავს ათასნაირად ყვებოდნენ. ვინმე რუს ტიხოვსაც იმოწმებდნენ. თითქოს ტალიბა მის თვალწინ დაეცა გულგანგმირულიო.

მაიამ, ცხადია, ეს ამბავი არ დაიჯერა და იმ რუსის ძებნა დაიწყო. მან ტალიბას დედის ადგილი დაიჭირა, ზემდგომ ინსტანციებს მიმართა. ვლადიკავკაზში, წერდა ყველგან, სადაც კი მიუწვდებოდა. ძმები მისი წვეულებაზე მართავდნენ. ამ წვეულების თავი და თავი, როგორც ყოველთვის, მევახშე ჭიჭინაძის ერთადერთი ვაჟი ლადუშა გახლდათ. ლადუშა ჩინებულად უკრავდა გიტარაზე. ჰქონდა რბილი, ხავერდოვანი ტენორი და ახალგაზრდის დარდიმანდი გული. არც ძმებს და არც ლადუშას არ მოსწონდათ მაიას ასეთი „გადაყოლა“. „კაცისმკვლელებს ეშველება რამე?“ — ამბობდნენ ისინი. მაიას არ შეუძინებია, რომ ტალიბას დაჭერას შემდეგ ლადუშა მათ სახლში განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა.

„მოკვდა შენი ტალიბა, მოკვდა“. — ეუბნებოდნენ ძმები.

„ტყუილია“, — თავს აქნევდა მაია და ახალ განცხადებას სწერდა. ერთ ღამეს კი მას მოუყვანეს ერთიანად ჩამოძონძილი, მთვრალი რუსი.

პირდაპირ საწოლ ოთახში შეუგდეს. „მოჰყევი, როგორც იყო. — უთხრეს ძმებმა უცნობს. — ამ სულელს არ სჯერა“. მაიამ სახეზე აიფარა ხელები. უცებვე ჩამოიღო და იკივლა:

— გარეთ გაეთრიეთ!

მთელ ღამეს ქვითინებდა.

ამის შემდეგ შინიდან აღარსად გაუდგამს ფეხი.

გაზაფხულზე მაიამ პირველად ჩაიხედა „ზალის“ ვეება სარკეში. ჩაიხედა და შეცბა. გასაოცარი რამე, მომხდარიყო. — აღარც სიყვითლე ემჩნეოდა, აღარც ჩალურჯებული უბეები. მკერდი ჩვეულებრივზე უფრო გავსებოდა და წამოშურცოდა. იმ დღეს თმა საგულდაგულოდ გადაივარცხნა. წელში გამოყვანილი კაბა ჩაიცვა. ეამა. ჯერ კიდევ გაუგებარმა, აქამდე უცნობმა ინსტინქტმა აიძულა ლარნაკი ყვავილებით ავესო და ფართოდ გაეღო ოთახის ფანჯრები. ძმებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. მათ, რა თქმა უნდა, არ გამოპარვიათ მაიას ასეთი გარდასახვა. „გოგო უნდა გავათხოვოთ, — დაადგინეს ერთხმად, — როდემდე უნდა ელოდოს იმ კაცისმკვლელებს?!“ მაიამ ბოლმა გულში ჩაიხვია. „მაინც ვისთვის მიმეტებთ?“ — იკითხა ფერდაკარგულმა. „ჭიჭინაძეებს უნდობარაძლად. — ვერ მისვდნენ ძმები მაიას გამოწვევას. — თუმცა, ეს ჩვენზე უკეთესად არ იცი?“ „დახე!“ ღვარძლი გაისმა მაიას ხმაში. „ბედი კარს მოგადგა, ქვეყანას საღი თვალით შეხედე, გოგო!“ — გაბრაზდნენ ძმები. ძმებს არ უყვარდათ ტალიბა. მათ მევახშე ჭიჭინაძის ოქროები ესიზმრებოდათ. ლადუშას კი, ჰე, ლადუშას რომ მზე ამოსდიოდა მაიაზე, ეს მთელმა ქალაქმა იცოდა.

ისა აბაშიძე ღვინის მოტანას აგვიანებდა.

— სად დაიკარგე, ისა? — ჩახლეჩილი ხმით გასძახა ტალიბამ.

უღალწვერა მედუქნე ბანცალით გამოვიდა სარდაფიდან. წამოდგარი ტალიბა რომ დაინახა, ერთბაშად მოფხიზლდა.

— მიდიხარ, შე კაი კაცო? მე ალიგოტე ჩამოვასხი. მაქვს გადანახული. ყველას კი არ ვასმევ.

— ცუდად ვარ, ჰაერი არ მყოფნის!

— დარჩენილიყავი, — დაიწყო ისამ, — სად მიდიხარ, ღამეა.

— წავალ, — გადაწყვეტით თქვა ტალიბამ.

გარეთ რომ გამოვიდა, ქვის ღობე დაინახა. ქუჩის ფარანი მკრთალად ანათებდა ამ ღობეს.

გაახსენდა: ციხეში ყოფნის დროს, ღამით, პატიმრები სწორედ ასე მკრთალად განათებულ ეზოში გამოჩნდნენ. წვიმდა. ტიკივით გაბერილმა ზედამხედველმა მუხლებზე დაიჩოქა უბრძანა ყველას. ტალიბას გარშემო დაიჩოქეს. დაიჩოქა ტალიბამაც. წვიმა სახეში სცემდა. ტიკივით გაბერილი ზედამხედველი გასაღებების ჩხარუნით დააბოტებდა შუა ეზოში. იგი რაღაცას გაშმაგებით ყვიროდა. ტალიბამ თავი ასწია. მხარმარცხნივ, ოცი-ოდე ნაბიჯის დაშორებით პატიმრების ერთი ჯგუფი არ დამორჩილებოდა ზედამხედველის ბრძანებას. ისინი ისევ უბრად იდგნენ ქვის ღობესთან. ტალიბას გაუკვირდა. იგი პირველად ხედავდა ურჩ პატიმრებს. „ვინ არიან?“ — წასჩურჩულა მეზობელს. „ბოლშევიკები, — მიიღო პასუხი. — ისინი გუშინ ღამით მოიყვანეს ზუგდიდიდან“. „რატომ არ ემორჩილებიან ბრძანებას?“ — „არ მოსწონთ ასეთი ბრძანება“.

ტალიბამ ისევ გაუხედა კედელთან მდგომ ადამიანებს. ათი თუ თორმეტი კაცი დათვალა. ზოგი ახალგაზრდა იყო, ზოგიც — ხნიერი. უცებ იგრძნო, მუხლისთავეები აეწვა. საშინლად აეწვა. და ეს რომ იგრძნო, საოცარი სურვილი დაეუფლა, — მიეფურთხა ყველაფრისათვის და წამოდგარიყო. იმ წუთს მას გაგიჟებით უნდოდა წამოდგომა. ეს სურვილი ძალიან გავდა იმ ღამის სურვილს, როცა მკლავებში პირველად იგრძნო მაიას ტანი. მერე ეს სურვილი დიდხანს არ ასვენებდა — ყველგან დაჰყვებოდა, ღამით, თევზაობის დროს, შინ, განთიადისას, მოულოდნელად რომ გაედვიძებოდა ხოლმე, მაშინაც. სულ უკვირდა, როგორ შეეძელი ამ სურვილის მოთოკვაო. ახლაც, საპატიმროს ვეება ეზოში მას ისევ დაეუფლა უცნაური, დამათრობელი ჟინი — როგორმე წამოდგარიყო. მაგრამ, როგორც იმ ღამით, იგი უხმოდ, ერთიანად გახელებული, აგუგუნებული მკერდით ცდილობდა თავის შეკავებას. კიდევ ერთხელ გაუხედა ქვის ღობესთან ამაყად მდგარ ადამიანებს და გადაწყვიტა: რაღაც არ უნდა დაუჭედეს, გაეცნოს იმ ადამიანებს, გამოელაპარაკოს, გაიგოს, რატომ დგებიან სხვები მუხლებზე, ისინი კი — არა.

აი, ეს გაახსენდა ახლა ტალიბას. ქვის ღობემ გაახსენა.

ხის პატარა სახლი.

მისი სახლი.

სიბნელე.

დააბრახუნა მაგრად. უფრო მაგრად.

სიჩუმე.

მეზობელ სახლიდან გამოიხედეს.

— ვის ეძებთ?

„დედაჩემო“, — უნდა ეთქვა. მაგრამ მას ჯერ კიდევ ორი წლის წინათ შეატყობინეს დედის სიკვდილი.

— მაროს. — წარმოსთქვა ჩუმად.

— დეიდა მაროს? დეიდა მარო დიდხანია მოკვდა. მისი შვილიც, ტალიბაც მოკვდა. ამბობენ ციხეში მოკვდაო.

ტალიბა ათრთოლებული გამოვიდა ჩრდილიდან.

პარმაღზე მდგარმა ხანშიშესულმა ქალმა მზერა დაძაბა.

— რომელი ხარ შენ?!

— ტალიბა ვარ, — თქვა ჩახლეჩილი ხმით, — მაროს შვილი.

ქარი ქროდა, ცივი, ხორკლიანი ქარი.

* * *

შუა დეკემბერი იდგა, როცა მაიამ ყოველგვარი იმედი დაკარგა და ძმების ნებასურვილს დაჰყვა. შესაძლოა, ქორწილი სწორედ იმ ღამეს დაემთხვა, როცა მუხლზე დაჩოქილ ტალიბას საიმედოდ იზოლირებული ციხის ვეება ეზოში წვიმისთვის მიეშვირა სახე.

მევანზე ჭიჭინაძის ერთადერთმა მემკვიდრემ მეცხრე კას შეავლო ხელი — როგორც იქნა, აღისრულა საწადელი. მეფის საკადრისი ქორწილი გადაიხადა. როცა ეკლესიიდან დაბრუნდა, უცებ რაღაცნაირი სევდა შეეპარა, მოიღვენთა და მოდუნდა. ღვინოს მიეძალა. ნეფე იყო. სმა არ შეეფერებოდა. მაგრამ ყანწის გამოცლას თამადას ასწრებდა. მერე მართო დასტოვა დედოფალი, მეორე ოთახში შეკრებილნი მოინახულა. მათთან იმხიარულა და უკვე საკმაოდ შეზარხოშებულსა და დამბალს გაახსენდა თავისი მოვალეობა. სახლი ისევ გუგუნებდა მრავალყამიერით, ისევ ბოლომდე ისმებოდა სასმისები, როცა ლაღუშამ თავისი საოცნებო დედოფალი საწოლ ოთახში გაიყვანა, ხელში აიტაცა და მაღალ, რბილ საწოლზე დაუშვა. ჩაქრა სინათლე. მაიაც გადამთვრალი მამაკაცის სუნის ექა. მაგრამ სიტყვა არ უთქვამს და არც განძრეულა, როცა ეს სუნი კიდევ უფრო ახლოს იგრძნო... განთიადი ძლივს ახელდა თვალებს, როცა ამღვნი ლოდინისა და ახდენილი ოცნებისაგან მოქანცულ ლაღუშას ძილი მოერია. ზურგზე გაწვა და ფეხები გაჩაჩხა. მაია კბილს კბილზე აჭერდა. ძლივს იმაგრებდა ბოლმას. იგი საოცარი მოთმინებით იტანდა ლაღუშას აღერსს, არც განძრეულა, არც ამოუოხრებია. მაგრამ ეტყობა, დაგუბებუ-

ლმა ბოლმამ მაინც იპოვა ბზარი და გარეთ გამოჟონა. ძილბურანში გახ-
ვეულ ლადუშას ქალის ქვითინი შემოესმა. ლადუშამ თვალი გააღია.
ქალი ერთიანად თრთოდა. ლადუშა მოფხიზლდა. ამ ქვითინის შემთხვევა-
სთვის გასაგები იყო და უცებ მამაკაცის მომეტებული სიხარულის კომ-
კი ერთბაშად დაიფუშა.

— გაჩუმდი! რა გატირებს! — შეაქანჯალა ქალი.

ლადუშას ბრაზი ახრჩობდა.

— გაჩუმდი-მეთქი! — იყვირა მან, — ჩაძლდა შენი რაინდი. ხომ
გაიგე, ჩაძლდა-მეთქი!

— მაგრამ მე ხომ ცოცხალი ვარ, — გულამოსკვნით წარმოსთქვა
ქალმა.

— ტფუ! — შეიკურთხა ლადუშამ. — აღარაა საშველი! — და გვე-
რდი იბრუნა.

* * *

„ყველაფერი გათავდა, — ფიქრობდა ტალიბა, — რიღასთვის უნდა
ვიცხოვრო?“ ადგილს ვერ პოულობდა. მაიას დავიწყებას ცდილობდა. ამ-
აოდ. ზოგჯერ ბოლმით გადამთვრალსა და გაცოფებულს ლადუშას გვერ-
დით დაწოლილი მაია ესიზმრებოდა. წამოვარდებოდა. ოთახიდან ოთახ-
ში იწყებდა ბორიალს. სასოწარკვეთა იპყრობდა. ტანზე იცვამდა. გარეთ,
შორს ამ სახლისაგან! თითქოს ვინმე მისდევდა.

მაგრამ ის, რასაც იგი გაუბოძდა, თვით მასში იყო მოკალათებული.
ამას რომ მიხვდა, მერე სულ დაკარგა მოსვენება.

მარტის ბოლოს ლადუშა ჭიჭინაძეს საწყობები ჩამოერთვა. „რევო-
ლუციური მთავრობის სახელით!“ — უთხრეს ტყავის ქულაჯიანმა მამა-
კაცებმა მევახშის მემკვიდრეს. ლადუშა გაყვითლდა, ენა წაერთვა. „მე
ვიჩივლებ...“ — ამოღეჭა ბოლოს. „იჩივლეთ“, — მოუჭრა ცივად მაღალ-
მა, ერთიანად გაჭაღარავებულმა მამაკაცმა.

ლადუშამ მზერა დაძაბა. იცნო და თან ვერ იცნო ეს ჯმუხი მამაკაცი.
დააკვირდა: ზანტი მიმოხვრა, ვეება მუშტები, ტყავის ქულაჯის ქვე-
მოთ — მაუზერი.

იგი უხმოდ გავიდა საწყობიდან.

„იჩივლეთ“, — უწიოდა ყურში ცივად ნასროლი სიტყვა.

ლადუშას გონება უცებ განათდა, მერე მოინისლა და გვიბნარევ,
არამყარ ხილვაში ჩამოიქნა ტალიბას სახე.

უცებ ცივმა ოფლმა დაასხა.

— ღმერთო! — იყვირა მთელი სხეულით, — ღმერთო, ნუთუ ისაა?!

ახრჩობდა რაღაცნაირი შურდალი, დაგუდული ბოლმა.

ამ ბოლმის დახრჩობა ღვინოში თუ შეიძლებოდა მხოლოდ. მაგრამ
ორპირის შიში და დაბალღამებული გული არ იკარებდა ღვინოს. იჭდა

მაიას ძმებთან ერთად, ერთიანად დაძაბული, თვალმდებლურად უყურებდა წვერ-გაუპარსავი.

— რა უნდა ვქნათ, ჰა? — წარამარა ეკითხებოდა ცოლისძმებთან ერთად.
— აბა, რა ვიცით, — იმეუშნებოდნენ ნირწამხდარი ცოლისძმები.

მათაც ეშინოდათ. „წარმოგიდგენია, — ფიქრობდნენ ცალ-ცალკე. — ეს უნიფხვო ტალიბა ახალი მთავრობის კაცად მოგვევლინა. მთელი ნავსადგურის ბატონ-პატრონია. ჩვენ კი მკვდარი ვვგეგონა“.

— აჰ, მოკვდაო? — ველარ მოითმინა ბოლოს ერთმა. ლადუშას მიაჩერდა. ლადუშამ თავი აარიდა. მკვდარი ტალიბას მნახველი რუსი სწორედ მისი მოყვანილი იყო.

— ერთი მაგისიცი... — შეიღრინა მეორემ. მაგრამ ეს გინება ძლიერი მუშტის წინაშე მოდრეკილი კაცის ამოხვრას უფრო გავდა.

— სადაა შენი ინგლისი? — იკითხა ერთმა ძმამ.

— სადაა შენი აღორძინებული საქართველო? — იკითხა მეორე ძმამ.


— უჰ, მაგათი! — ღმერთმა უწყის, ვისი მისამართით შეიკურთხა ლადუშამ. ერთი ცხადი გახდა — ქონებასთან ერთად პატივისცემაც დაჰკარგა. ცოლისძმები ამრეზილად უყურებდნენ.

— რა უნდა ვქნა ახლა მე? — იკითხა ბოლოს ლადუშამ.

— აბა, რა ვიცით, — შეიმუშვნენ უხალისოდ ცოლისძმები. — რა-ღაცას ვიზამთ. ხომ არ გაგწირავთ?!

მერე იგი მარტოდმარტო მიბიჯებდა სანაპიროზე. ძმებმა უხასიათობა მოიმიზეზეს—მათ თავისი სადარდებელი ჰქონდათ. არც დაუძალებია. ბუნებით მხდალი როდი იყო. ნავსადგურის ბოლოს ერთბაშად რკინიგზა იწყებოდა. ლადუშა შედგა. საოცრად მოტეხილად, გამოფიტულად წარმოიდგინა თავი. ახლა მას აღარაფერი და აღარავინ გააჩნდა ქვეყანაზე. ცოლი?... ჰო, ცოლი... სასაცილო იყო, მაგრამ როცა ცოლზე ჩამოუვდებდნენ სიტყვას, რაღაცნაირი უსიამო გრძნობა იპყრობდა. ანდა ჰყავდა კი ცოლი?! ქალთან წოლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი საბოლოოდ შენ გეკუთვნის. ეს იცის ლადუშამ. განსაკუთრებით მაიამ აგრძნობინა ეს. ჰო...

მთვარე არ ჩანდა. ანდა რა ემთვარებოდა? ზანტად მიაღაჩებდა. საკუთარი გულისძგერა ესმოდა. დაგ-დუგ, დაგ-დუგ, დაგ-დუგ... სიბნელეში რკინიგზის რელსები მისაშველებლად გაწვდილ ხელებს გავდნენ. დაგ-დუგ, დაგ-დუგ... გული მატარებელივით გარბოდა რელსებზე. განძელებს შორის მაზუთი ესხა. წებოვანი სითხით გაპოხილი ხვინჭა ლანჩებს ეკვროდა. წამით შედგა. „იჩივლეთ!“ გაახსენდა გამყინავი ხმით ნასროლი სიტყვა. ეს იყო გამარჯვებული, მაგრამ დაღლილი კაცის სიტყვა. ვისთან უნდა იჩივლოს? ყველაფერი დამთავრდა. ყველაფერი დასრულდა. პალმების აფრიალებული კენწეროები მომთენთავად ზღუოდნენ. ლადუშას პალმების ბედი შეეხარბა, მაგნოლიების ბედი შეეხარბა. ადამიანი, გულ-

ხარბია, გულრძო, მიუწვდომელის დასაკუთრებას ლამობს მუდამ. 
ერიდება სიფლიდეს. ხომ არ ერიდება, ლადუშა? ხომ არ ერიდება? ქარი
მღუღღა. ეს იყო ცივი, საჩეჩელა ქარი, ფოთის მხრიდან რომ ქარიშხალი
დამ და სულს ჰყინავს.

ისე მიაბიჯებდა, თითქოს წინ სიცარიელე იყო და უკანაც ვეება სი-
ციელეს სტოვებდა. ეს სიცარიელე უსაშველოდ იზრდებოდა და ჩანთქმას
უპირებდა. ეგონა — სადაცა წავიქცევო.

მაგრამ ლადუშა ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, ჯერ კიდევ სუნთქავდა.

ასეთი დამცირება არასოდეს უგრძნია. მაია კიდევ ჰო, მაგრამ ცო-
ლისძმები... ასეთი ორგულობა... როგორ უმტყუნეს... პა, პა, პა! რატომღაც
აეკვიატა: „ვინ გაჰყიდა ქრისტე?.. ვინ?“ თვითონაც ვერ მიმხვდარიყო,
რად იმეორებდა ამას უთავბოლოდ. თანაც ქვეშეცნეულად გრძნობდა —
შურისგება ჯერ კიდევ წინ იყო, ამ მდუმარე რკინიგზის გადაღმა, ამ მო-
ფართხუნე ხეთა გასაჰკრეტში... იქით, მრუმე სახლებს შორის უხილავად
ჩასაფრებული.

„პაი, როგორ გაფრინდა ჩემი ახალგაზრდობა...“ მღეროდნენ სადღაც.
რა საცოდავად კვნესის არღანი. იჰაჰება მომღერალი. მერე? გაფრინდეს
მერე. მაინც არ დარდობს ლადუშა. მაინც არ ტირის. მოსახდენი მოხდა.
ხომ მოხდა, ლადუშა? თვითონაც გაუკვირდა — ნუთუ ამას მე ვფიქრო-
ბო. უცებ აიქნია ხელი. ხორკლიანი ქარი გაეხახუნა ხელზე. — რა სისუ-
ლელეა, — თქვა უცებ, — რაღაც უნდა ვიღონო...

ისევე ბლანტედ მიაბიჯებდა. მის ზურგს უკან პორტი ხრჩოლავდა —
საოცრად ახლობელი და ამავე დროს საოცრად უცხო. ირგვლივ სულ
მტრები იყვნენ დადარაჯებულნი. მტრები... მტრები... მტრები... რეიდზე
საახალწლო ნაძვისხესავით გადაბჟღიალებული გემები იდგნენ. ხვალ სა-
მხედრო პარადი იქნება.

გავიქცე? საით? — ჯანდაბასა და კურმუხეთში... არა, უფრო შორს...

უზარმაზარი, ბოროტი ტალღა ნელნელა, ფაფარზე მოქცეული ათასი
უხსენებლით დაიძრა მისკენ და წელამდე შეუდგა. მერე წვეთ-წვეთად,
წყაბუნით გაუვსო გული.

მაშ გაღაწყდა. წავალ. ოღონდ მანამდე მაიას მოველაპარაკები. რაც
არ უნდა იყოს, ცოლია.

შინ გვიან მივიდა. კარს ფეხი გაჰკრა.

წინა ოთახში მოსამსახურე ქალი იჯდა. როგორც კი გამოიხედა, იგრ-
ძნო, რომ მაიაზე მიჩენილ მოსამსახურეს რაღაც სათქმელი ჰქონდა.

— ჰო, რა მოხდა კიდევ? — ჰკითხა ჩუმად.

— სა-ში-ნე-ლე-ბა! — დამარცვლით, ჩუმად უთხრა მოსამსახურემ.

უაზრო, არაფრისმთქმელი თვალებით მიაჩერდა.

— ჰო, გისმენ! — ნერწყვი გადაყლაპა ლადუშამ.

— ქალბატონი მთელი დღე ტიროდა...

— ერთი შენაც! — ჩაიქნია ხელი ლადუშამ.

— ცხოვრება დავიღუპეო, ტიროდა. მე სულელი, რა მწარეა...
ტყუესო...

— ერთი მაგისი დედაც.... — შეუკუროთხა ლადუშამ.

— ამ დილით, ბატონო, ვიღაც ტალიბას ჩამოსვლა გაუგია.

— მერე მე რაში მენადვლება იმ ვიღაც ტალიბას ჩამოსვლა?

— მისი საქმრო ყოფილა! თურმე!

ლადუშამ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს პირველად ესმოდა.

— ვისი, ქალო? — ჰკითხა უცებ შეცვლილი ხმით, — ჩემი მაიასი?

მოსამსახურემ თავი დაუქნია.

ადრე ჩაგუბებული ბოროტება ნელ-ნელა შეირხა, აშმაშურდა და
გულის ნაპირებს მიაწვა.

— სად არის ახლა?

— თავის ოთახშია.

ლადუშა ბანცალით გაჰყვა დერეფანს. ფარდას წამოედო, ხელზე
დაიხვია, ჩამოგლიჯა. მოსამსახურე ქალმა ამოიკვნესა: „აჰ!“ „ტფუ!“ მო-
უხედა ლადუშამ და ფარდა დაუტოვა...

ვიდრე მაიას ოთახში შევიდოდა, სარკმელთან შეჩერდა. ქუჩაში გა-
დაიხვია. ქალაქს ეძინა. ეძინა თავის საწუხარით, იმედით, სიხარულით...
ლადუშას მთელი ცხოვრება ამ ქალაქთან იყო დაკავშირებული, მის ვი-
წრო ქუჩებთან, მის საყავეებთან, მხიარულ და მარად საქმიან მეთევზე-
ებთან... ეს იყო მისი მშობლიური ქალაქი. იყო და აღარ არის. მას სძუ-
ლდა ეს ქალაქი, რადგან უსაზღვრო სიხარულთან ერთად მოულოდნელი სი-
მწარე აგვმა. ღია სარკმელთან იდგა ლადუშა. საწყობებისა და უფლებე-
ბის დაკარგვით გაბერილი გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ტირილი მოუნდა.
„უუჰ“. მოკუმშა მუშტი და მის წინ მდგომ უხილავ მტერს ღღუზა თი-
თქოს. თითებმა გაიტყაცუნეს.

„ვაი, ცხოვრებაჲ! — მოწოლილი ცრემლი გაგუდვას უპირებდა! ლა-
დუშას, — ფეხბურდლა ტალიბა ჭკეყნის ბატონ-პატრონი გახდა“...

მოსამსახურე ქალის დაგესლილი მხერა გაახსენდა.

მაშ, საქმრო ჩამოუვიდა, ა?!

დახე, თურმე რაში ყოფილა საქმე?!

დახე!

მე კი არ ვიცოდი!

კარი შეაღო.

მაია საწოლზე იჯდა. ლამაზი, ლადუშას საყვარელი, წვიმის სურნე-
ლით გაჟღენთილი თმა მუხლებზე დაეფინა. კისერი მოედრიცა. რომელი-

დაც წერტილს მისჩერებოდა უაზროდ. გრძნობდა, ახლა მისთვისაც თავრებულიყო ყველაფერი. კედლისა და ფანჯრის წყრთილს შორის მართლაც თავსებული არე თხელი ნისლით შეზავებულ დაფად ეჩვენებოდა. ფანჯრაზე განუწყვეტლივ მოძრაობდნენ ნიღბები, უსახურნი, უხამსნი. მაგრამ რაღაც ფარული, ქვეშეცნეული ხმა კარნახობდა — ამ ნიღბების უკან ლაღუშა იდგა.

მას არ გაუგონია კარის კრიალი. მაგრამ ლაპარაკი კი ჩაესმა — დაუეჭოილი, შიშითა და ღვარძლით შეზავებული. ცხელი სუნთქვა იგრძნო. უცებ ასწია თავი. ასეთი სუნთქვა იგრძნო მან ქორწინების პირველ ღამესაც. იმუნიტეტმა თუ თავის დაცვის ინსტინქტმა მოაფხიზლა, ფიქრებიდან გამოარკვია. მის წინ ქმარი იდგა, ქმარი! მაიამ უცებ აიფარა სახეზე ხელები. იგი ლაღუშას სახემ, უფრო კი ნიღაბმა შეაშინა. ლაღუშა სწორედ იმ სახიჩარ, უხამს ნიღაბს ამოფარებოდა.

— მაშ, ჩამოგივიდა ჰა? — ჰკითხა ნიღაბმა.

— არამზადებო! — ამოიკვნესა ქალმა. ამოიკვნესა კი არა, ნათქვამს ბალღადი ამოატანა.

მან იგრძნო, როგორ წვდნენ თმაში, როგორ წამოსწიეს და როგორ გაიყო ბნელი ოთახი ორად...

ლაღუშა ახლა იატაკზე დავარდნილ ქალს მუცელში ურტყამდა ფეხებს. „აი, შენ, აი შენ! მე გაჩვენებ შენს ტალიბას! ესეც შენ!“ მაგრამ უცებ იგრძნო, რომ ცოლს კი არა, მოწოლილ ბოდმას, დამცირებას, თავის უსუსურობას და სიგლახეს უსწორებდა ანგარიშს. ქალი იწმანებოდა, იგრიხებოდა, კვნესოდა... იყვირებდა, ეგონა ლაღუშას. მოტყუედა. ქალს სახეზე ცეცხლი მოედო. ტუჩის ფოსოებში ღუფი მოადგა... „მოგკალი!“ გაუელვა ლაღუშას და ერთბაშად გამოფხიზლდა.

— ელპიტე! — დაიძახა მან. საკუთარი ხმა ეუცხოვა.

— რა იყო, ბატონო! — მაშინვე შემოიჭვრიტა მოსამსახურე ქალმა.

— წყალი!

— რა მოხდა? — გაკვირვებით იკითხა ელპიტემ.

— ცუდად არის მგონი, მოდი, მიხედ.

ის ღამე მაიასთვის სიზმარს უფრო გავდა. გავარვარებულ რკინაზე ედო თავი, ფეხებით კი ყინულს ეხებოდა. მაია ხედავდა ბუნდოვან ხაზებს, კედლიდან რომ ეშვებოდნენ. ეს ხაზები იატაკზე როკავდნენ, ერთმანეთში იგლისებოდნენ და ამ ასიორებულ ხილვისაგან გული უწუხდებოდა. „მიშველეთ!“ — კვნესოდა. იგი ვერ ხედავდა საწოლთან ჩამომჯდარ ადამიანებს. გრძნობდა მხოლოდ — რაღაც მძიმე, უსაშველო, გაჰყელტით ემუქრებოდა. საფეთქლები! როგორ გუგუნებდნენ საფეთქლები! ამ გუგუნისაგანაც უწუხდა გული. წამი... კიდევ წამი... გათავდა, კიდევ ერთი ასეთი

წამი და ველარ გაძლებს. ამას რომ მიხვდა, უცებ ოთახის უფროსი მღვრიე უბეებიდან გამოიწვერა და მერე ერთ მთლიან ზოლად ჩამოიქნა სინათლე. ქალმა შვებით ამოისუნთქა.

ექიმი ახალდაბადებული მკვდარი ბავშვი ზეწარში გაახვია.

ლადუშას შიშმა ასი ყური და ასი თვალი გამოიბა. მან არ იცოდა, გადარჩებოდა თუ არა ქალი. არც ექიმი იცოდა. ექიმი თავი გააქან-გამოაქანა, ამოიოხრა და სადღაც, ლადუშას იქით გაიხედა.

„გათავდა, — გაუელვა ლადუშას. ახლა მართლა გათავდა ყველაფერი!.. ეს წყეული ახალი მთავრობა ციხეს მაკმარებს?!“

თავის ოთახში ჩაიკეტა. არავინ იცოდა, რას აკეთებდა იგი იქ. ვერც მოსამსახურე ქალმა დაადგინა. განთიადი ძლივს იდგამდა ფეხს, როცა ცოლს მიაკითხა.

— სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით! — წასჩურჩულა ექიმი.

— რაღაც უნდა ვიღონოთ! — უაზროდ წაიდუდუნა ლადუშამ.

— თავს ზევით ძალა არაა, — თვალი აარიდა ექიმი.

— გთხოვთ! — საბოლოოდ ჩაეხლიჩა ლადუშას ხმა.

იგი ერთხანს კიდევ უყურებდა სულთმობრძავ ქალს, მერე ქუდი დაიხურა და უხმაურო, შემპარავი ნაბიჯით გაემართა კარისაკენ.

ის დღე სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე იდო მაია.

მეორე დილით სიცხე ერთბაშად მინავლდა. ზაფრანასავით გაყვითლებულმა ქალმა თავი წამოსწია. ექიმი რომ დაინახა, დიდხანს, დაჟინებით იგონებდა რაღაცას. სიტყვა არ უთქვამს. ასევე უთქმელად მოსვლა ქათმის შემთბარი თათარიახნი და ძილს მინებდა.

— აწი აღარაფერი უჭირს, — შვებით ამოისუნთქა ექიმი და მოსამსახურე ქალი ლადუშას მოსაძებნად გაგზავნა.

მაგრამ ლადუშა აღარსად ჩანდა.

ცამ ჩაყლაბა თუ მიწამ, იმ დღის აქეთია მისი კვალიც არავის უნახავს.

* * *

დიდხანს ებრძოდა ტალიბა სეიდიშვილი საკუთარ თავს. უჭირდა. ზოგჯერ ხელიც ჩაუქნევია, რისთვის ვიკლავ თავსო. მაგრამ მაშინვე გაახსენდებოდა ციხის ვეება ეზო, რუხი კედელი და თბროშო წვიმაში ამაყად მდგარი პატიმრები. მათ გარდა თითქმის ყველამ დაიხოქა. ტალიბაჰაც დაიხოქა — ზედამხედველის სიტყვა კანონად მიაჩნდა. და უცებ საშინელი, გამანადგურებელი განცდა დაეუფლა — რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, ისიც გამხდარიყო ასეთი, შეურყეველი, უშიშარი, ამაყი. მუხლისთავები აეწვა. რა საზიზღრობა იყო ასე დაიხოქილი დგომა! თითქოს აღამიანი არც იყავი, თითქოს საკუთარი პატიმროყვარეობა არ გაგაჩნდა — იყო მხოლოდ საპატიმროს სქელუა ზედამხედველი და მისი ბრძანება. ბრძანების შეუს-

რულებლობისათვის გსჯიდნენ. მაგრამ რა უნდა ყოფილიყო მუხლებზე დგომაზე მეტი სასჯელი?! რა?! უცებ წამოდგა და უცებვე იღრეკა და დაშეშდა. ერთი! ორი! სამი!.. ითვლიდა თავისთვის ტალიბამ და დაშეშდა. ერთი! ორი! სამი!.. პატიმრები ზრი-
ალებდნენ, გუგუნებდნენ, ყვიროდნენ. ჩხარაჩხური გაჰქონდა ბორკი-
ლებს. წუთი მარადისობად იქცა და ამ მარადისობის შემდეგ ტალიბამ
დაინახა — მის გარშემო არცერთი პატიმარი აღარ იდგა მუხლებზე...

ლამით იგი „განსაკუთრებულ“ დამნაშავეთა განყოფილებაში გადა-
იყვანეს.

ამის გახსენება ყოველთვის მხნეობას ჰმატებდა. პარტიულ ამხანაგებს
აოცებდათ მისი გულმოდგინება, აოცებდათ ენერგია, რომელსაც ღმერთ-
მა უწყის საიდან იღებდა საპატიმროს კედლებში ჯანგაბეზილი და დაჯე-
ჯვილი კაცი. „დაისვენე, — ეუბნებოდნენ, — გამოიძინე“. იგი ხელს
ჩაიქნევდა. „ჩემს საქმეს ვინდა გააკეთებს?!“ საქმე კი მართლა ბევრი
იყო. ტალიბას გამოცდილება აკლდა. ამიტომ დღე და ღამე ასწორებდა
შრომაში. მაიას ლალატი მიყენებული ტკივილი იშვიათად თუ გაახსენე-
ბდა თავს. ისიც მაიას ძმებს თუ გადაეყრებოდა სადმე, ან ლალუშას უგ-
ზო-უცვლოდ გაქრობაზე ჩამოუგდებდა ვინმე სიტყვას. ტალიბა ყოველთ-
ვის უხერხულად შეიშმუშნებოდა, ანდა ისეთ გამომეტყველებას მიიღებ-
და, თითქოს ეს ყველაფერი ვიღაც გარეშეს, სრულიად უცხო ადამიანს
ეხებოდა.

მაგრამ იმ დღეს...

ტალიბა თავის სამუშაო ოთახში იჯდა. ის იყო თათბირი დაამთავრა.
მუშათა საბინაო საკითხს იხილავდნენ. უჭირდა ხალხს. წელებზე ფეხს
იდგამდნენ. პური აკლდათ, ნახშირი, ტანსაცმელი... ითმენდნენ. მაგრამ
პარტიის კალთას შეფარებულ ნაძირალებს სწორედ მათი მოთმენა აოცე-
ბდათ და განგაშს სტეხდნენ, პარტიასა და მუშებს შორის განხეთქილების
ჩამოგდება უნდოდათ.

არ ჩაუვიდათ ფეხი.

აი, ამაზე ფიქრობდა ტალიბა. იჯდა თამბაქოს სუნით გაყვანილ კა-
ბინეტში და მაგიდაზე დაყრილ ქაღალდებს აწესრიგებდა. კარი გაიღო;
ოთახში თანამემწემ შემოიხედა.

— თქვენთან ვიღაც მოქალაქეა...

— ვინ არის? — თანამემწესაკენ არც გაუხედია ტალიბას.

ოთახში ვიღაც შემოვიდა. ტალიბამ საქალაღდე უჯრაში შეინახა და
თავი ასწია.

თვლებს არ დაუჯერა — ტყავის მძიმე სავარძელთან მაია იდგა.

იდგა მოშვებული, უპეებჩალურჯებული, შეცვლილი. იერილა თუ

შერჩენოდა აღრინდელი მაიასი. ოდესღაც ნაზი სახე გაუხეშებოდა, თითქოს ყვირთელი საღებავი გადაესვათ. მშრალი, დამსკდარი ტუჩები შენაგან დაძაბულობაზე მეტყველებდნენ. მხოლოდ გრძელი, ფახულა წვეწავები და ლურჯი, დიდრონი თვალები არ შეცვლოდა.

ტალიბამ ძლივს დაითქვა სული — ეგონა, აი, ახლა, აი, ახლა გასკდება გულიო. მაგრამ მოწოლილი გრძნობის მოთოკვა შესძლო. მაიას მუქ თვალებში უცნაურმა ნაპერწკალმა გაიციმციმა. რას ნიშნავდა ეს? მაიას თვალებში აბრწყინებული შუქი გამოწვევად მიიღო ტალიბამ. ამან გააღიზიანა. მართლაც: მაია იდგა მის წინ მაღალი, მოქნილი. ტალიბამ მაშინვე შენიშნა — თეძოები დამრგვალებოდა, ვიწრო წელს მუტში დაიტევდი. მაგრამ ეს აღარ იყო ის ამაყი და ნაზი მაია, რომელიც ტალიბას უყვარდა.

ტალიბა დუმდა.

დუმდა მაიაც.

რამდენ ხანს გაგრძელდა ეს დუმილი?

ერთ წამს? ნახევარ წუთს? წუთს?

იღგნენ ასე ერთმანეთის პირისპირ და ბოლოს ტალიბამ იკითხა:

— რატომ მოხვედი? — მან შენიშნა — ნერვიულობისაგან სახე დაუნაოჭდა მაიას. ანდა იქნებ ეს უკვე უჩუმიად წამოპარებული სიბერეც იყო? და მას უცებ შეეშინდა — ჩქარა სულ ჩაქრება, დაღრება მაიას სილამაზე.

— ისე მოვედი, უბრალოდ, ვიფიქრე, გავუვლი, ვნახავ, თვალს შევავლებ... — უცნაურად გაიცინა და ნაოჭებიც ერთბაშად გაუქრა.

— კარგი, — ხმა ჩაეხრინწა ტალიბას. — ხომ მნახე, წადი. არ მინდა აქ გნახონ. — და ჩურჩულით დაუმატა: — წადი!

მაიას ტუჩები აუთრთოლდა. თვალებში ცრემლი მოაწვა.

— მაპატიე! მოვედი, ვიფიქრე, პატიებას ვთხოვ-მეთქი! მაპატიე. დიდი დღე მაინც არ დამრჩენია. არ მინდა ჯავრად ჩამყვეს.

ტალიბას სიცილი წასკდა.

— რა ადვილი სათქმელია „მაპატიე“. მაგრამ რით გადამიხდი ციხეში, ქვის იატაკზე გატარებულ წლებს?! მე მხოლოდ შენზე ვფიქრობდი, შენ მედექი თვალწინ და ამან გადამარჩინა. მე ახლაც...

მას უნდოდა ეთქვა, მე ახლაც შენზე ვფიქრობო, მაგრამ დროულად გადაყლაპა სიტყვა. სიმწრისაგან ნაკბენი ტუჩი გაულურჯდა.

მაია უძრავად იდგა.

— არასოდეს არ გაპატიებ! გესმის? არასოდეს!

მას ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ეტყოდა: „ასეა, მე ციხეში მალპობდნენ, შენი დარდი მაგიყებდა, შენ კი... ტფუ!“ ამას, რა თქმა უნდა, იგი არ ეტყვის მაიას, არ ეტყვის. რომ უთხრას, გულს მოიფხანს, ხორ-

კლიანი სიტყვით იარას მოიქეჩავს და შვებას იგრძნობს. მაგრამ უნდა თუ
შვება ტალიბას? უნდა?

მან ზიზღით გახედა მაიას. მაიას რაღაცის თქმა უნდოდა და მიტოვდა.
ბა. უკეთ, ტალიბამ არ აცალა.

— სინდისმა როგორ არ შეგაწუხა, ა?!

მაიას თვალეში ისევ გაიციმციმეს უცნაურმა ნაპერწკლებმა.

ახლა მისთვის ცხადი გახდა — ის, რასაც იგი ამ შეხვედრიდან ელო-
და, მხოლოდ ერთი სიტყვით გადაიღობა: „წადი!“ მაგრამ ტალიბამ განა
იცოდა, რა დღეა ქალის გულში?

— კარგი, წავალ, — თვალები ნაღვლიანად დახუჭა მაიამ, თითქოს
საკუთარ სულში ჩაიხედა. ათრთოლებულმა მიაშურა კარს. რაც შეიძლე-
ბა სწრაფად, რაც შეიძლება მალე გაშორდეს აქაურობას, რათა ტალიბამ
არ დაინახოს მის სახეზე ჩამოგორებული ცრემლი. მას არც დერეფანში
მდგომი მდივნისათვის შეუხედავს. არც ქვედა სართულზე გაჯგმული კა-
რისკაცისათვის, ამოსვლისას ასე დაეინებოთ რომ თხოვდა საბუთებს.

როცა დერეფანში ნაბიჯების ხმა მიწყდა, ტალიბა გამოერკვა.

„რა სულელი ვარ! — წამოვარდა ზეზე, — რა სულელი ვარ!“

დერეფანში გავარდა.

მაია აღარსად ჩანდა.

„იქნებ ასე უკეთესიცაა?!“ — გაუელვა.

მაგრამ ღამით, როცა მარტო დარჩა საკუთარ თავთან, ისევ შეიპყრო
ადრინდელმა, გიჟურმა სურვილმა (კარგა ხანია აღარ მოსვლია ეს) — მა-
იას თმებში ჩაემაღა თავი, მაიას მკერდის სიხსურვალე ეგრძნო, მაიას უბ-
ეებთან გაჩენილი ნაოჭებისათვის გადაესვა ხელი, გაესწორებინა...

წამოდგა. წლების მანძილზე ნათმენი და დაგუბებული სურვილი
მთელ სხეულში ჩაწოლილ ტკივილზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

იქნებ უჭირს, ა? იქნებ სხვა გზა არ ჰქონდა, რახან ჩემთან მოვიდა?!

— თვითონაც უკვირდა, რატომ ფიქრობდა ასე. — იქნებ უჭირს და მე
ხელი ვკარი?

ცხადია, იცოდა...

ოღონდ შინ დახვედროდა, ოღონდ...

პილოზის ნაცვლად

ერთი წლის შემდეგ ტალიბა სეიდიშვილი მეთევზეთა ახალჩამოყალი-
ბებული ამხანაგობის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. პირველად ეგონა —
მეთევზეებთან ადვილად გამოვნახავ საერთო ენასო. მოტყუვდა. ახლა იგი
იშვიათად ბრუნდებოდა თავის პატარა, ღარიბულ ოთახში. ნაევებსა და
კარკაპებზე ნათრევს მხოლოდ ერთი გარემოება გვრიდა შვებას — შინ

მაია ელოდა, ელოდა მყუდროება, მაგიდაზე გაწყობილი ვახშამი და თბილი, სუფთა ლოგინი.

შინ იშვიათად დაილაპარაკებდა. ანდა რაზე უნდა ესაუბრა? თავისი საფიქრალი ჰქონდა, ტალიბას — თავისი. როგორც ვთქვი, ბუღალდ ცხოვრობდნენ: ხის დაბალი ტახტი, ხის გრძელი მაგიდა, რამდენიმე დაწნული სკამი (კონტრაბანდისტების ჩამონართმევი) და ორკარიანი კარადა შეადგენდა მთელს მათ ავლადიდებას. ჰო, დამავიწყდა, კედელზე ლენინის პორტრეტი ეკიდა. მაიამ არ იცოდა ვინ იყო ეს კაცი. მაგრამ რადგან ტალიბამ ასე სათუთად მოათავსა იგი ძვირფას ჩარჩოში, მაშასადამე საპატივცემულოც ყოფილა.

ტალიბას ეგონა — მაიას სიახლოვე ტკივილს გამიქრობსო, უარესი მოხდა. ეს ტკივილი კიდევ უფრო გაღრმავდა და გაიტოტა. ამიტომ ღამით მაიას ისე მძლავრად მოიმწყვდევდა მკლავებში, ძვლები ტკაცუნებდნენ. ისე მაგრად დაეწაფებოდა ბაგეებზე, სუნთქვა შეეკვრებოდა. ამ გაუთავებელი, უკიდევანო ალერსით უნდოდა თავისი სატკივრისათვის ეპოვა მალამო. ამ მალამოს ძებნაში უმოწყალოდ, უფერულად გარბოდნენ დღეები.

ერთ დღით, ტალიბა აღარ წასულა სამუშაოზე. გვიან გაიღვიძა. საწოლთან მაია ეჯდა. ტალიბამ გვერდულად ახედა ქალს. ნაძალადევად გაიღვიძა და წამოიწია. გუმანით იგრძნო, ქალს რაღაც სათქმელი ჰქონდა.

— ჰო, გისმენ...

— რა უნდა ვქნა მე? — ჰკითხა ქალმა.

— როგორ თუ რა უნდა ქნა? — გაცდა მამაკაცი.

— როცა შენ არა ხარ, მე ვზივარ და გელოდები. მთელი უბახი ვაქრეფილია. ყველა მუშაობს. მე რატომ უნდა ვიჯდო? შინ? ვზივარ და გელოდები. ხოლო როცა სახლში ხარ, გამოლაპარაკებასაც მამადლი. ასე მგონია, ჩქარა ლაპარაკიც დამავიწყდება.

ტალიბამ უღიმღამოდ გაიღვიძა. სარკმლიდან დაინახა — უზარმაზარი, თეთრი ღრუბელი მიცურავდა ცაზე. „ქარი იქნება“, — დაასკვნა.

— მაშ შინ ჯდომა მოგებზრდა? — გაღიზიანება დაეტყო ხმაში.

— რა ვქნა, — ამოიოხრა ქალმა, — იქნებ ჩემთვისაც გამოგეძებნა რამე. შენ იცი, მე მუშაობა მიყვარს.

— მაინც?

— უშენოდ ვერ მოვიფიქრებ. როგორც შენ იტყვი, ისე მოვიქცევი.

— კარგი, მოვიფიქრებ. — მოწყალებასავით გაიღო ტალიბამ.

ღუმილი ჩამოწვა. ტალიბა უხალისოდ იცვამდა ტანზე და მაიას უყურებდა. ჩაფიქრებული იჯდა ქალი. წაბლისფერი თმა მომნუსხველად ზიმ-ზიმებდა დილის სინათლეზე. ტუჩები უთრთოდა. თითებით კაბის ღილს აწვალებდა.

— მითხარი, — მობრუნდა უცებ, — ხომ გეზიზღები? ხომ?

ტალიბამ თავი აარიდა.

— მოიგონებ შენაც!

— რატომ მომაკითხე, მაშინ? — არ მოეშვა ქალი. ახლა მთელი სხე-
ული უცაცხაობდა. — გეზიზღებოდი და რატომ მომაკითხე?

ტალიბა ფეხსაცმლის ზონრებს ისკვნიდა.

ქალი მის ფართო მხარს დასცქეროდა — თავდახრილს ხალათი დაჭი-
მვოდა და კიდევ უფრო მძაფრად უმხელდა დაბურცულ კუნთებს.

— შენ არასოდეს მეუბნები, რა გაქვს გულში... რა გიტრიალებს...
მაცოდინა მაინც...

ტალიბა სწრაფად წამოდგა. ცდილობდა, არ შეეხედა ქალისათვის.

— იცი შენ! — მიუგო ცივად.

ქალმა მწარედ გაიცინა.

— მაშ, არ მაპატიე... ისევ ძველს ეპოტინები...

ტალიბა დუმდა. მკერდის სიღრმეში რაღაც ჩაწყდა და გადატრიალდა.

— მე სულელს კი რა მეგონა... რატომ არ ჩავაღვლი მაშინ, რა-
ტომ... ათასჯერ ბედნიერი ვქნებოდი. მაგრამ სულ ვფიქრობდი, — აი,
ახლა, აი, ახლა მომაკითხავს-მეთქი.

— ხომ მოგაკითხე!

— ნეტა არ მოგეკითხა. ვიქნებოდი ჩემთვის. მარტოდ. სიკვდილს და-
ველოდებოდი.

— უკეთესი იყო, მე რომ დამლოდებოდი...

— მე გელოდი... — ენაზე იკბინა მაიამ. უკეთესი კი იყო, არ ეთ-
ქვა. ტალიბა გაფითრდა.

— კარგად კი მელოდი! — და უცებ იფეთქა. — რატომ ვერ მოით-
მინე, რატომ! აი, ასე დამემართა მეც. მეგონა, არაფერი მიშველიდა. მე-
გონა ციხიდან ველარ გამოვალწვედი. მაგრამ მაინც გადავრჩი. ხომ ხე-
დავ? მეყო ძალა. შენ კი... ნახე თბილი ლოგინი და ჩაწექი... ეეჰ! რატომ
იღუპებიან ადამიანები, რატომ იძირებიან? იმიტომ რომ ნებისყოფა არ
ყოფნით, შინაგანი ძალა...

— რომელ შინაგან ძალაზე მელაპარაკები! — ხმას აუწია მაიამ. —
მომკლეს, მომთენთეს, სული ამომხადეს... თან მთელი ქალაქი მიმტკიცე-
ბდა, რომ შენ... რა უნდა მექნა...

— არაფერი. ლადუშასთან დაწოლილიყავი! — თვითონაც გაუჟვირ-
და, რა ღვარძლიანად ამოსკდა გულიდან ეს სიტყვები.

მაიამ ნალვლიანად მოხედა ტალიბას. თვალები გაუმკრთალდა, ჩაუქრა.

— ეეჰ! რა იცი, შენ, რა! ან რა გესმის! — წარმოსთქვა წყნარად. —
ცოდვას იღებ თავზე. იცი, რა ცხოვრება მქონდა? გეკითხა ერთი მისთ-

ვის! გეკითხა სხვებისთვის... მაგრამ შენ არ გცალია! საკუთარ ფიქროდ მხოლოდ... მხოლოდ საკუთარი ტკივილით საზღვრავ ფერს...



— ჰო, — თქვა ბოლოს ტალიბამ. — ჰო! — დაუმატა მერე

— იქნებ დავცილდეთ?

ტალიბა შეცბა.

— რა სისულელეა, — თქვა ისე, თითქოს საუბარი უბრალო რამეს ეხებოდა. — მე ვერ შეეძლება... ვერ ავიტან.

— მაშ, რატომ მაწვალებ? რატომ მტანჯავ? — ცრემლი მოერია მაის და თვალებშიც დაუბრუნდა აღრინდელი შუქი.

— მე ალბათ გიყი ვარ, — თქვა ტალიბამ. — გასაკვირია, განა? განა არ ვიცი, რომ წარსულს ვერაფერს უშველი? ვიცი, რომ შენ არაფერში არ ხარ დამნაშავე. მართლაც, რა უნდა გექნა? მკვდარს ხომ არ დამიწყებდი ლოდინს? ახალგაზრდა იყავი, ცხოვრება გინდოდა...

ტალიბა გაფითრებული იდგა, ხმა ისე დაწვრილებოდა, მაიას ძლივს ესმოდა მისი ნათქვამი.

— ნუ ამბობ ასე, — მუდართა და თანაგრძნობით აღმოხდა ქალს, — უმჯობესია მლანძღე, მაგინე. მაგრე კი ნუ ამბობ.

მან არ იცოდა, როგორ შეშველებოდა ტალიბას, როგორ შეემსუბუქებია ადრე მიყენებული ტკივილი. უცებ თავისი უმწეობა იგრძნო და დაღუძდა. ტალიბამ მხრები მოწურა. უღონოდ დაეშვა საწოლზე. ქალი დიდი, წყლიანი თვალებით დასჩერებოდა. იგი სიცოცხლეს არ დაიშურებდა ერთი უბრალო სიტყვისათვის, რომელიც ტალიბას დაამშვიდებდა. მაგრამ ასეთი სიტყვის პოვნა ახლა ძნელი იყო.

ღამით ისინი დიდხანს და მოთმინებით ერიდებოდნენ ერთმანეთს.

ქალი კედელს ეკვროდა, მამაკაცი — საწოლის კიდეს. სირცხვილი თუ მამაკაცისათვის შეუფერებელი საქციელი აწუხებდა. აღარ ახსოვს, როდის ჩასთვლიმა, მაგრამ როცა გაეღვიძა, ქალის დამატორობელი, მაცდუნებელი მხურვალეობა იგრძნო.

— შენს გარდა არავინ მყავს ქვეყანაზე, — წასჩურჩულა ქალმა საოცრად დამდუღრული ხმით. — შენ იცი ეს, იცი...

ტალიბამ საოცარი სინაზითა და ალერსით აიკრა იგი მკერდზე.

— მეც... — თქვა მან ყრუდ, — მხოლოდ შენ მყავხარ... სხვა არც არავინ მეყოლება. ეს შენც იცი...

— მაშ, რაღად მაწვალებ? — თავი ტალიბას მკერდს მიაყრდნო ქალმა.

ტალიბა ღუმიდა. იგი ფრთხილად ეფერებოდა თმაზე, ლოყაზე, ტუჩებზე, ზურგზე...

მათი ალერსი განთიადმა შეაჩერა.

ტალიბას მეთევზეები ელოდნენ. იმ დღეს ისინი პირველად გადოდნენ ზღვაში.

სამი დღის შემდეგ ტალიბა ერთიანად ნაგვემი, ძალაგამოცდილი მკერდით კმაყოფილი დაბრუნდა თევზაობიდან. როგორც იყო, საქმე დამთავრდა. მაია უჩვეულოდ გამოცოცხლებული დახვდა. აღრინდელი ჩამკვდარი ოთახი ახლა ერთიანად ქათქათებდა, მაგიდაზე — ყვავილები, ჭერზე იაფფასიანი ქორკანდელი, საწოლთან — პაწია ნოხი. ხოლო მაიას თვალები!..

— რაშია საქმე? მოხდა რამე?

— არაფერი, უბრალოდ, შენ გხვდები...

როცა სინათლე ჩააქრეს, ქალმა დიდხანს ვერ მოისვენა, წვრილებდა...

— არ იტყვი, რა დაგეძარათ?

ქალი დუმდა. ეტყობა, თავისთავს ებრძოდა.

— მე ვიცი, — თქვა მან ბოლოს, — შენ გძულვარ. მაგრამ იქნებ არც ბავშვი გინდა ჩემგან?

ტალიბამ ჩაიცინა. მაიამ მისი ქირქილი გაიგონა. — თითქოს ნიავეა ჩაუქროლა ყურის ბიბილოსთან.

— რად გაჩუმდი? — არ მოეშვა ქალი.

— ეგ ბედნიერება, ეტყობა, შორსაა ჩვენგან. — ამოიოხრა ტალიბამ.

— რატომ?! — უცებ ზანზალაკებმა გაიწვკრიალეს მაიას ხმაში. — ვითომ, რატომო, ჰა?

— ახლა სულ ველარაფერს ვხვდები! — სიხარულით აცეცებული ქალი მაგრად მიიკრა, მერე უცებ წამოვარდა, ლამპა აანთო და ქალს გაბრწყინებული თვალებით დააცქერდა.

ქალი კი სულ უფრო და უფრო ხმამაღლა იცინოდა. სარკმლიდან ერთიანად გადაკაშკაშებული ცა ჩანდა. სადღაც, მოშორებით ზღვა იყო და ზღვის შხუილი გარკვევით აღწევდა მათ ოთახამდე.

ს ა თ ქ მ ე ლ ი

სადღაც,
სიღრმეში გაჩნდა სათქმელი —
არც ცეცხლი აკლდა,
არც ფერი აკლდა.
თითქოს
გაგლიჯა გულის სარკველი,
თითქოს
სამყარო აფორიაქდა...

ლექსის ჟინია გადაუჭრელი
ან აგონია.
ნუ გეშინია — გადავურჩები?
არა მგონია!

მიხეილ გოჩიძე

მ მ მ გ გ ი ღ რ მ

ომი დამთავრდა. დაბრუნდნენ ჯარისკაცები. ბევრი ყავარჯნით დაბრუნდა, უხელოდაც... მაგრამ სიცოცხლე მაინც ჩამოიტანეს. ჩვენი ეზოს ბიჭებიდან ამირანი არ დაბრუნებულა. მას არც მეგობრის მიერ გათხრილი სამარე ღირსებია, დასავლეთიდან მოვარდნილ ხანძარში ჩაიფერფლა.

ერთადერთი შვილის დაკარგვას დედამ ველარ გაუძლო და თან გადაჰყვა. ლევანის დიდ სახლში საშინელმა მდუმარებამ დაისადგურა. ღია ფანჯრებიდან ვხედავდით, ვეება კაცი როგორ დააბოტებდა ოთახიდან ოთახში, თითქოს რაღაცას დაეძებდა, მაგრამ რაკი ვერ პოულობდა, ისევ თავიდან იწყებდა ძებნას.

შემდეგ ლევანი შორეული ცურვის ტანკერზე მოეწყო ბოცმანად. მისი გემი ბათუმის ნავსადგურს ხუთ თვეში ერთხელ თუ მოადგებოდა. დაუსრულებელი მოგზაურობით იქარებდა შემოწოლილ ვარამს.

იმხანად თბილისში გადავედი საცხოვრებლად. ჯერ იყო და უნივერსიტეტი დავამთავრე. შემდეგ ასპირანტურა. ცხოვრებამ ხან საით გადამისროლა, ხან საით. ბათუმში ათი წლის შემდეგ ჩამოვედი. ლევანის სახლის კარი უცნობმა ქალმა ვამიღო. სახლის პატრონი მოვიკითხე. — მოხუცმა ცურვას თავი დაანება, ჩაქვში ზღვის სანაპიროზე დასახლდაო, მითხრა.

სიტყვა „მოხუცმა“ უცნაურად იმოქმედა. ლევანი მეხსიერებაში ჩამრჩა ბრგე, გოლიათური აღნაგობის მამაკაცად, დიდრონი შავი თვალებით, საფეთქლებთან ოდნავ შეჭადრაკებული შავი თმით, ბუბუნა ბარიტონით. ჩანს ოკეანეებთან ჭიდილში დაიღალა და, როგორც ჩანდაზმულობით ჩამოწერილმა ხომალდმა, თავისთვის მოსძებნა მყუდრო ნავთსაყუდელი.

მისამართი ჩავიწერე, ტაქსი დავიჭირავე და ჩაქვისაკენ გავემართე.

ვენახის ტალავერთი დაბურულ ეზოს მივადექი. ტალავებს იქეთ მოჩანდა თეთრად მოქათათი პატარა, მაგრამ კოხტა კოტეჯი. კოტეჯის აივანი ზღვას გასცქეროდა. ზღვა იქვე, ხელის გაწვდენაზე, მშვენიერად კავდა ფერადი ქვიშით აელვარებულ ნაპირს.

აივნის კიბეს აყუევი. მოხუცი დასაკეც სავარძელში მიწოლილიყო და თვლიდა. ტანზე მეზღვაურის ზოლებიანი მაისურა ეცვა, ხელი კალთაში ედო, ხელში ჩანავლებული ჩიბუხი ეჭირა. იგი ერთიანად გადათეთრებულიყო, ჯიუტი, მალლა ავარცხნილი თმა გასთხელებოდა, მსუქანი, მზემოკიდებული სახე ნაოჭებით დაღაროდა.

მივუახლოვდი. იატაკის ჭრიალზე თვალები გაახილა. — ამას ვის ვხედავ, — ტკბილად დაიბუბუნა, გოლიათური ტანით წამოიმართა, კუნთ-მაგარი მკლავები გაშალა და მის ვაჟკაცურ მეკრდში ჩავიკარგე.

დავსხედით, ერთმანეთი მოვიკითხეთ.

— დავძაბუნდი. ძველებურად აღარც მკლავი შემორჩილება, აღარც თვალი მიჭრის. ჰოდა, ლევან ყარამანოვიჩ, დროა დაისვენო, მითხრეს. მეც ავდექი და ნაპირს მოვავშურე.

— ბათუმი რატომ მიატოვეთ?

— ქალაქის ხმაურს ვეღარ ვიტან. გონებასაც დასვენება უნდა ისევ, როგორც ჩემს ბებერ ძელებს. ესეც არ იყოს, ზღვას ისე შევეჩვიე, თუ არ ვხედავ, მის სიახლოეს თუ არ ვგრძნობ, ასე მგონია, სული შემეხუთება. მთელი სიცოცხლე ზღვას შევალე, გული მაინც ვერ შევაჯერე. ჩემთვის აქ ჯობს, ხან ბოსტანში ვიქცევ თავს, ხან ნავით ზღვაზე გავდივარ და იმდენ თევზს ვიჭერ, მეზობლებსაც ყოფნით.

დასავლეთის მხრიდან გრილი ნიაეი უბერავდა, ნიავეს ზღვის საამო სურხელება მოჰქონდა.

ლევანი ტკბილი ღიღინით წამოდგა, მოდი, ერთად წავიქეიფოთო, მითხრა, ოთახში შემიპატიჟა, მაცივრიდან ხილი და სასმელები გამოიტანა.

იგი ერთობ შეცვლილი მეჩვენა. სიტყვაც არ დაუძრავს განვლილ მწუხარებაზე, ცდილობდა მხიარული განწყობილება შეექმნა.

სანამ მოხუცი მაგიდასთან ფუსფუსებდა, ოთახი შევათვალიერე. კედლიდან ამირანის სურათმა შემომღიმა. საითაც წავედი, სურათმა თვალი გამომაყოლა, თითქოს მანიშნებდა, რაღაც სათქმელი მაქვსო. მთელს ტანში უცნაურად განცრა. ისევ სურათს დავუბრუნდი.

— ეჰ, ჩემი ბიჭი — მოხუცი მომიახლოვდა, მხარზე ხელი მომხვია, თან ისე ღრმად ამოიხვნეშა, გულიც თან ამოაყოლა.

სევდა რომ არ გამეახლებინა, ადგილი მოვინაცვლე. სხვა სურათს დავაკვირდი. გემბანზე ცამეტოდე წლის ხუჭუქთმიანი ბიჭუნა იდგა, შევნოდა ტანზე მომდგარი მეზღვაურის ფორმა.

— შენ მას არ იცნობ? — მკითხა მოხუცმა.

— არა. ვინ არის?

— ჩემი შვილია.

— როგორ თუ შვილი? — გამიკვირდა.

— ჩამოვვდეთ. ყველაფერს მოგიყვები.

საზამთრო დაჭრა, თითო კონიაკი გადავკარით.

— ერთხელ ინდოეთიდან სუეცის არხით ვბრუნდებოდით, — დაიწყო მოხუცმა, — ჩვენმა ხომალდმა პორტსაიდში ჩაუშვა ღუზა. რამდენიმე მეზღვაური ქალაქის ქუჩებს დავუყვით. გზაჯვარედინთან პატარა ფარდული ხილით იყო სავსე. მაშინ ეგვიპტეში ფრანგული ფრანკითაც შეიძლებოდა ვაჭრობა და ინგლისური სტერლინგებითაც. უცხოეთის ვალუტა ბლომად გვქონდა. ხილს თეთრ ჩაღმაში გახვეული, ორმოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული სათვალისანი ნოქარი ჰყიდდა. სანამ ხილს ვარჩევდი, ვგრძნობდი, ნოქარი მაკვირდებოდა, მაგრამ მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ასე იციან არაბებმა, საბჭოთა მეზღვაურებს გულთბილად ეკიდებიან. როცა ფულს ვიხდიდი, ნოქარმა ჩვენებურად მკითხა, ქართველი ხომ არა ხარო. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა; არაბი წმინდა ქართულით ალაპარაკდა. რის არაბი, რომელი არაბი, ბათუმელი ლომთაძე ვარ. ობლად აღვიზარდე, თექვსმეტი წლის ვიყავი ცეცხლფარეშად გემზე რომ მოვეწყვე. 1921 წელს ჩვენმა გემმა გზაბნეული მენშევიკები ჩაიყვანა საფრანგეთში. გემი უკან აღარ გამოღშვეს. უცხოებაში მეხუთებოდა სული, მაგრამ ვინ იყო გამკითხავი. ორი წლის შემდეგ გემი გაჰყიდეს და მე ქუჩაში აღმოვჩნდი ულუკმაპუროდ. თურქეთამდე ძლივს მივალწიე, გადაწყვეტილი მქონდა, რაღაც უნდა დამეძღომოდა, საზღვარზე გადავსულიყავი. დამიჭირეს და სამი წელი ციხეში ჩამკეტეს. თურქეთში ხელმოცარული ირანისაკენ გავემართე, არც იქ გამიმართლა. ბოლოს არაბეთში მოვხვდი, ფრანგ ვაჭარს დავუდექი ხელზე მოსამსახურედ. ჩემი ბედი აგორებულ ქვას დაემსგავსა. თითქმის ოც წელზე მეტი გავატარე ხეტიალში, იმხანად პორტსაიდში. ჩემსავით გზაბნეულ ქართველებს გავეცანი, გვარად იშხნელებს. ერთი ქალი ჰყავდათ. იგი თვალში მომივიდა. ჩვენი ბედი ასე დავუკავშირეთ ერთმანეთს. სიმამრმა თავშესაფარიც მომცა და ეს დუქანიც დამითმო. ლუკმა პური არ მიჭირს, მაგრამ ეჰ... ერთი ჩვენს ქვეყანაზე მომავლებნა თვალი და მერე თუგინდ მომკლავ, ინატრა ცრემლმორეულმა. — შე კაცო თვალის მოვლება რას შველის, სამუდამოდ წამოდი-მეთქი ვუარჩიე. — ნეტავი შეიძლებოდეს, მთელი ოჯახით დღესვე ავიბარგებო, მითხრა. აღვუთქვი, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით ვეცდებოდი სამშობლოში დაბრუნების ნებართვა აეღო. გახარებულმა სახლში მიგვიპატრუა. დიასახლისმა ქართული სტუმართმოყვარეობით გავვიშალა სუფრა.

ოთახში ფეხშიშველი, ხუჭუტომიანი, მზემოკიდებული ბიჭი შემოიღალა და გაუბედავად ზღურბლთან გაჩერდა. ბიჭმა ერთხელ კი შეგვა-

თვალიერა არწივისებური თვალებით და უმაღლესი თავი დახარა.

— ჩემი შვილია, მოდი აქ ერეკლე! — მამა ქართულად გამოვიტყუა — რაკა.

ბიჭი ორიოდ ნაბიჯზე მოგვიახლოვდა. ხელი გავუწოდე. მკერდზე მივიხუტე.

— მამ, ქართული იცი, ჩემო ერეკლე?

— დიახ, ბატონო, წერაც ვიცი და კითხვაც.

— ყოჩაღ. — მოუწონე. გამოირკვა, რომ ბიჭი შეგირდად მუშაობდა ეგვიპტელ ვაჭართან, ანგარიში კარგად იცოდა, არაბულ სკოლაში ესწავლა.

შუალამით ჩვენი გემი გადიოდა. მასპინძლებს გამოვეითხოვე. აღვუთქვი, რომ ყველაფერს ვიღონებდი სამშობლოში მათ დასაბრუნებლად. მამა-შვილმა ნავსადგურამდე გამაცილეს.

ერთი წლის შემდეგ ნასერმა სუეცის არხის ნაციონალიზაცია გამოაცხადა. საპასუხოდ ინგლის-საფრანგეთის არმადებმა პორტსაიდსა და ეგვიპტის სხვა ზღვისპირა ქალაქებს ყუმბარების სეტყვა დააყარეს.

დაზარალებულთა დასახმარებლად ხომალდებით საწვავი, სურსათი, საშენი მასალა და მედიკამენტები ჩავიტანეთ. ლომთაძის ოჯახში უბედურება დამხვდა. ყუმბარებს სახლი ნაცარტუტად ექცია, ცოლ-ქმარი ნანგრევებში დაღუპულიყვნენ. მიუსაფარი ბიჭი რომელიღაც თავმესაფარში ითევდა ღამეს.

შუალღამედ ერეკლე აღმოაჩინეს. ბიჭი გამხდარი მეჩვენა, თვლებში შიში ჩასდგომოდა. იგი უმაღლესი ჩემად ჩავთვალე, მკერდში ჩავიკარი, აშლილ თმებზე მივუალერსე. ზოელი სწეული უცნაური სიტბოთი ამევსო, ასე მეგონა, ღმერთმა ამირანი დამიბრუნა.

— ჩემო ერეკლე, — ბიჭს განზრახული გავუმხილე. — შენ ობოლი ხარ, პატრონი გჭირდება, მე შვილი არ მყავს, თუ კი მოისურვებ, შენ იქნები ჩემი შვილი. საქართველოში წაგიყვან, გასწავლი, შენს ნამდვილ სამშობლოს დაუბრუნებდი.

ბიჭს პასუხი არ დაუყოვნებია, ეტყობოდა აღრეწეა გადაწყვეტილი, „თქვენთან წამოვალ“ მითხრა.

ოჰ, საოცარი განცდა დამეუფლა, ჩვილმეტი წლის ვარამისაგან დაწურულმა გულმა ერთბაშად იგრძნო შვება. მეჩვენებოდა, რომ ჩემთვის ახალი ცხოვრება იწყებოდა, ვხედავდი რომ წუთისოფლიდან უკვალოდ აღარ გავქრებოდი. აბა, რა იყო ჩემი მანამდეელი ყოფნა; არ იქნა, მარტოობას თავი ვერ დავაღწიე, საშინელ ფიქრებს ვერსად გავექეცი, სევდამ ნაადრევად დამაძაბუნა. მართალი გითხრა, დიდხანს ვფიქრობდი ვინმე შვილად ამეყვანა, მაგრამ არც იმის თავი მქონდა, ჩვილი აღმეზარდა, არც მშობლებიანი მინდოდა, ნაშვილებს თვალი სულ ღვიძლი მშობლებისავენ ექნებოდა.

პირველ ხანებში ერეკლეს აზრდელივით თან დაედევდი, ისე დაეცა კალბდო, როგორც დედა დაჰკანკალებს ველზე გასულ შვილს. მისი ნებაზე მიუღწევი. იმავე წელიწადს ინტერნატში მივაბარე, შესასწავლად. კი აღმოაჩნდა, ჩქარა აითვისა ყველაფერი, პედაგოგებიც შევლოდნენ. წელს საზღვაო სასწავლებელში მიიღეს, ზღვა იტაცებს. — მოხუცმა სურათს აპხედა, — ისეთი ბიჭი დადგა, ისეთი... — თვალეები შუქით გაუნათლა.

სასმისები შევავსეთ. ერეკლე ვადღეგრძელებო.

— ცხოვრება წინათ რა მღორედ მიედინებოდა, ხშირად დროის გაგების თავიც არ მქონდა. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა რა დღე იყო, ან რა რიცხვი, არსად მიმეჩქარებოდა, აღარაფერი მახარებდა. ვიცი, ასე არ უნდა დამეყარა ფარხმალი, მაგრამ რა ვქნა, ნამდვილად ასე იყო. არ იქნა, ძალა ვერ მოვიკრიბე, რომ უკუღმართ ბედს შევბრძოლებოდი. ახლა კი... ახლა მთელი საუკუნე მინდა ვიცოცხლო, ვუყურო ჩემი შვილის ბედნიერებას, სხვების ბედნიერებას.

საღამომდე დავრჩი მოხუცთან.

* * *

ხუთი წლის შემდეგ ისევ ჩავედი ბათუმში. ცოლ-შვილი ზღვისპირა სასტუმროში დავაბინავე. მე ავტომატქანა დავიჭირავე და ლევანის სანახავად გავეშურე.

ბალიდან ტკბილი ლილინი მომესმა. ღობის იქით გადავიხედე, ლევანი ყვავილებს რწყავდა. ზოგჯერ ლილის შეწყვეტდა და იქვე ჩაცუცქულ შავ ნაგაზს გამოელაპარაკებოდა.

— მასპინძელო! — ჭიშკრიდან გადავძახე.

ვეღრო დადგა, ტანსაცმელი შეისწორა და შესახვედრად გამოემართა. უმაღლესი მიცნო, გადამეხვია. როგორც კი მის მკლავებში მოვხვდი, ნაგაზმა ღრენით თავი შეგვასესენა.

— არაბა, იქეთ! — გაუწყრა ნაგაზს.

მოხუცს არ დასტყობოდა განვლილი წლები, იგი უფრო მხნედ გამოიყურებოდა.

სახლში შევედი. არაბაც სრულფასოვანი ოჯახის წევრით ფეხდაფეხ მოგვეკვა, სავარძელთან ჩემს გვერდით ჩაცუცქდა, თვალეებში ახლოდან ჩამხედა, პირი ღაღო და სახეში თბილი ოხშივარი შემატრქვია. დაახლოების ნიშნად იძულებული გავხდი თავზე ხელი გადამესვა. ალერსს საპასუხო ალერსი მოჰყვა, ნაგაზი მთელი ტანით წამოიძვრა და ფეხები კალთაში ჩამიწყო.

— უყურე შენ, მოფერება დედაკაცივით უყვარს, მოშორდი, ძაღლი!
— შეუწყრა მოხუცი.
არაბა ზანტად დაემორჩილა პატრონს, მაგრამ შორს არ წასვლას
ვე ჩაუტყდა.

— ერეკლემ მოიყვანა, არაბა დაარქვა, ჯერ ორი წლისაც არ არის.
აშკარა იყო, ერეკლეს წყალობით არაბა ოჯახში შეუზღუდველი უფ-
ლებით სარგებლობდა.

— ისეთი ბიჭი დადგა, ვარსკვლავს ეთამაშება. ასე მგონია, ერეკლეს
აღზრდით ქვეყანას უფრო დიდი საქმე გავუეეთე, ვიდრე ორმოცი წლის
სამსახურიო.

— ახლა სად არის?

— ჩემს ტანკერზე მოეწყო, შვილივით მიიღეს. გაზაფხულზე ოდესამდე
მეც გამასერიანს. გემზე თვალეზუფუნა რადისტი გოგონა გამაცნო. გულ-
ში ჩამივარდა, წინააღმდეგი თუ არ იქნები დავქორწინდებითო, მითხრა. აბა,
რა მექნა. უფრო გამახარებდა. ჩვენებურზე დაქორწინებულიყო, მაგრამ
რაც არის არის, თვითონ იყოს ბედნიერი და მე მათი კარგად ყოფნაც
მეყოფა.

— ხშირად ჩამოდის?

— იშვიათად. წუხელ ოდესიდან დეგეშა მივიღე, სამ დღეში მანდ
ვიქნებითო. მთელი ეკიპაჟი დაუბატიყვებია ქორწილში. კარგ დროს ჩამოხ-
ვედი. ბათუმის რომელიმე რესტორანში ისეთ ქორწილს გავაჩაღებ, მთე-
ლმა ქალაქმა გაიგოს.

ოთახში ჩამოცხა.

— ივლისი თავისას შვება. ზღვაზე გავიდეთ, თევზაობა არ გენატრება?

— ცოლ-შვილი მელოდება. საღამოს გეწვევით.

— აუცილებლად მოიყვანე, ახალი თევზით გაგიმასპინძლებით.

მოხუცმა გამგზავრების თადარიგი დაიჭირა. ნაპირზე ჩავყევი. ფარ-
დულიდან ნავი გამოათრია, პლაჟიდან ბიჭები მოაწყდნენ და წამოგვეშე-
ლნენ. არაბამ კიხოზე მოიკალათა. მოხუცმა ჩანთა მოტივტივე ნავში ჩააგ-
დო, შემდეგ თვითონ გადააბოტა, ჯერ ნიჩბებით შეცურა, შემდეგ მოტორი
ჩართო, ნავი სიღრმეში გაიჭრა.

ქალაქში დავბრუნდი, შუადღისას პაპანაქება სიცხე დაიჭირა. ცოლ-
შვილი პლაჟიდან წამოვიყვანე და სასტუმროს შევაფარეთ თავი.

საშინელმა ჭექაქუხილმა გამომადვიდა. მოვარდნილი ქარიშხალი. შე-
ნობას აზანზარებდა. ცის გრგვინვას უერთდებოდა გაცოფებული ზღვის
მძლავრი გუგუნი. ყალყზე შემდგარი ზვირთები საშინელი ძალით აწყლე-
ბოდა ნაპირს.

მოხუცი ლევანი! უმაღლე გამცრა ტანში, მოასწრებდა დაბრუნებას,

დროულად შენიშნავდა ამინდის შეცვლას? საათს დავხედე. ჯერ ხუთი
არ იყო. მაშინვე ჩავიცვი.

ავტომატურად დავიჭირავე და ჩაქვისაქენ გავეშურე. შორიდან ჩემს
შენიშვნას, რომ მოხუცი ლევანის ეზო და სანაპირო ხალხით იყო სავსე. არც
წვიმას ერიდებოდნენ, არც ქარიშხალს, შეშფოთებულნი გაჰყურებდნენ
აზავებულ სტიქიას.

ჯებირზე მდგარ ხალხს შევეუერთდი.

— იქით გახედეთ, ზღვის სიღრმეში, დაახლოებით ნახევარ კილო-
მეტრზე — ხელით მანიშნა უცნობმა ახალგაზრდამ.

დავაკვირდი, მაგრამ ვერაფერი შევნიშნე. აბოზოქრებული სტიქია
მთელი ძალით ნაპირისაკენ მოისწრაფოდა, ტალღა ტალღას მოსდევდა, ჯე-
ბირს აწყდებოდა და ჰაერში იჭრებოდა. სანაპირო რძისფერ ქაფში
ცურავდა.

ვიღაცამ დურბინი მათხოვა. უფრო ბეჯითად დავაკვირდი. აგორე-
ბულ ტალღაზე წამით შევავლე თვალი ადამიანსა და ძაღლს. ზვირთი ჩვენ-
სკენ რომ წამოვიდა, მის უკან ზღვამ უბე გაიხსნა და განწირულნი სა-
დღაც ჩაიკარგნენ. მეორე წუთში იგივე სურათი განმეორდა. მოხუცი მა-
შველ რგოლს ჩასკიდებოდა. იგი ოდნავადაც არ ცდილობდა ნაპირს მოახ-
ლოებოდა, ეტყობოდა, არაქათისაგან დაცლილი იყო.

— ქარიშხალი მოულოდნელად ამოიჭრა — ხმაურში ჩამძახა ვიღაც
შუახნის მამაკაცმა, — ალბათ ეძინა, თორემ ამინდის შეცვლას ადრევე შე-
ნიშნავდა. ასე იცის, ნავს ნებაზე მიუშვებს. თავს რეზინის რგოლს მიადებს
და ჩაიძინებს. დედის კალთასავით ენდობა ზღვას.

ნუთუ ადამიანი ასე, ჩვენს თვალწინ უნდა დაიღუბოს?

— ერეკლემ ორჯერ სინჯა ზღვაში გაედწია, მაგრამ კინალამ დაიღუბა.

— როგორ, ერეკლე აქ არის?

— სამი საათის წინ საცოლესთან ერთად ჩამოფრინდა. ეკიპაჟს წინა-
სწარ გამოეშვა, საქორწინო სუფრა გაშლილი დაგვახვედრეთო. აქ ჩამო-
სულთ ასეთი სურათი დახვდათ. აი, ისიც.

იქით გავიხედე.

სპორტულ ტრუსისამარა ჯებირზე იდგა ახოვანი, მზემოკიდებული
ჭაბუკი, შავი, ხუჭუჭი თმა მალალ შუბლზე ჩამოსწეწოდა, დიდრონი მკაც-
რი თვალებით გასცქეროდა გაცოფებულ სტიქიას. ბიჭებს მისთვის წელზე
თოკი შემოებათ. მკვლავებზე, ფეხებზე, მთელს ტანზე სისხლი სდიოდა.

ზღვაზე დაწოლილი ლეგა ღრუბლები ქარმა ახვეტა, ზევით აიტაცა
და ნაპირისაკენ გამოაქანა. სანაპიროს გუგუნით მოაწყდა წვიმის ნიაღვა-
რი. დელგმა ორიოდ წუთს გაგრძელდა. გაავებულმა ბუნებამ თითქოს
გული იჯერაო, ქარიშხალი მინელდა, ღრუბლებიც გაიცრია. აფორია-
ქებული ზღვა მაინც არ დაცხრა, ტორტმანებდა და გუგუნებდა.

— ერთხელ კიდევ ვცადოთ, იქნებ ცოცხლებს მივუსწროთ. —

ზღვის სმაურში ერეკლემ გასცახა ბიჭებს. წელზე თოკი მოისინჯა, ჯემბირის
კიბეს ჩაჰყვა.

— ოი, ერეკლე პოგებნეც! — ჩემს გვერდით ელადამ ამოიყვია. იქათ მივიხედე. ზღურობზე იდგა ოციოდე წლის ქვართმანაი ქალიშვილი, ზღვისფერ, გაფართოებულ თვალებში უსაზღვრო შიში ჩას-
დგომოდა, ნერვიული დაძაბულობა მთელს სხეულზე მოსდებოდა.

მოაწყდა ტალღა და სანაპიროზე გაიშალა. ერეკლე ნაბიჯნაბიჯ გვერ-
დულად მიჰყვა უკუქცეულ დინებას. დინება ზოგჯერ პლაჟს მთლიანად
ამიშველებდა, მაშინ ერეკლე მთელი ძალით გარბოდა სიღრმისაკენ, მაგრამ
ეს იყო წამიერი შეღავათი, ათიოდე ნაბიჯის გადადგმას ძლივს ასწრებდა,
მოვარდნილი ტალღა გზას უჭრიდა და უკან მოაქანებდა. არ იქნა, პლაჟს
ვერ გააღწია. მარცხით გაბოროტებულ ჭაბუკს, ეტყობა ნებისყოფა
უმტყუნა. მან უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, სხარტი ნახტომით უკუ-
ქცეულ ტალღაში ჩაყვინთა და... ჩაიკარგა. ამღვრეულ, აქავებულ წყალში
ვერსად დავლანდეთ. შემდეგ ტალღების შეჯახების ადგილას რაღაც ძალამ
ზევით ამოისროლა და ვონდაკარგული ისევ სიღრმეში ჩაითრია.

— ოი მამა! — ამოიგმინა ჯებირზე მდგარმა ქალიშვილმა. ხელი ძლივს შეეშველე, გულწასული მუხლებში ჩაიკეცა.

სანამ ქალიშვილს ექიმი შევლოდა ბიჭებმა ღონეობილი ერეკლე თოკით ტალღებს გამოსტაცეს და ჯებირთან მოიყვანეს. მისუსტებული ქალიშვილი ერეკლესაქენ გადაიწია და შუბლზე სისხლი მოსწმინდა.

— ვერტმფრენი! — დაიძახა ვილაძამ.

იქით გავიხედეთ. ბათუმის მხრიდან სანაპიროს მოჰყვებოდა ვერტ-მფრეხი. მოახლოვებულმა მფრინავმა ხალხის თავზე წრე შემოხაზა.

ერეკლეს იმედი მიეცა, ფეხზე წამოიჭრა, თვალები ცეცხლით აევსო. დაბის მილიციელმა ზუშხუნის გასროლით მფრინავს მიმართულება და განწირულთა ადგილსამყოფელი აჩვენა.

ვერტმფრენი სიღრმეში შეიჭრა, განწირულნი აღმოაჩინა, კიბე დაუშვა, თვითონაც იმდენად დაიწია, იფიქრებდით, საცა ტალღებში ჩაინთქმებო.

ერთ ადგილას გამოკიდებული ვერტმფრენი დიდხანს ზუზუნებდა, მოხუცი კიბეს არ აჰყოლია, ეტყობოდა იმის არაქათი არ ჰქონდა, თოკს ჩასჭიდებოდა. იმ წუთში შეიძლება მოხუცი სულს ეყრებოდა.

აფორიაქებული ერეკლე ადგილს ვერ პოულობდა, ყოველი წამი აღამიანის სიცოცხლეს წყვეტდა. მან ხალხს თხოვა, ოციოდ მეტრით მოშორებოდნენ, ჯებირზე მარტოდ დაეტოვებინათ. ამავე დროს ორთავე ხელში თეთრი პერანგები დაიჭირა და პერანგების ფრიალით მფრინავს ნიშანი მისცა მასთან მისულიყო. არც აჰან უშველა. მაშინ მილიციელი განმარტოებით მდგარ ერეკლესთან მიიჭრა და მაშუქების სროლა ასტეხა.

როგორც იქნა, მფრინავი, მათ მიუხვდა; კურსი ნაპირისაკენ აიწია, ერეკლე ვერტმფრენის კიბეს ჩაეჭიდა და გამოკიდებული ზღვის სიღრმეში შეჰყვა.

ზღვა ისევ გუგუნებდა და ბობოქრობდა. ხან სახიფათოდ გახსნიდა უბეს, ხან ტალღაზე ამოიჩნევდა მოხუცსა და ძალღს.

ერეკლე წყალში მოტივტივეებს წაადგა თავს. მფრინავმა უკეთ მოუ-მარჯვა კიბე. ბინოკლით გარკვევით დავინახე ერეკლე ცალი ხელით რო-გორ წვდა გრძნობადაკარგულ მოხუცს. ხმამაღლადაც ჩაჰყვიროდა, მაგრამ მოხუცს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, ძაშველ რგოლს ჩაბლა-ჰვებოდა და თავი ტალღებში ჩაეჭინდრა. ერეკლემ მარჯვენა ხელი წელზე მოხვია, მაგრამ ვერ მოერია, მაშინ უკეთ ჩაიხლართა კიბის საფეხურებში, მეორე ხელიც გაინთავისუფლა, მოხუცს ორივე ხელით შემოეჭდო, წამო-სწია და მფრინავს ანიშნა დაძრულიყო.

ვერტმფრენი მძიმედ აიწია, ტალღებს ასცილდა. ჰაერში გამოკიდებუ-ლი ერეკლე რაღაცას მთელ ხმით გაჰყვიროდა, ალბათ ითხოვდა, ვერტ-მფრენი სწრაფად წაეყვანა, მაგრამ მისი ხმა ძრავის გუგუნში ინთქმებოდა. შემდეგ ყვირილი შეწყვიტა, ეტყობოდა, ძალა ელეოდა, იმის საშუალებაც არ ჰქონდა, თუნდ ერთი წამით შეესვენა. და აი არაქათგამოცლილი, გრძნობადაკარგული მოხუცთან ერთად სანაპიროსთან კიბეს მოწყდა. მოხუცს ხელი შეაშველეს, ერეკლე სილაზე დაენარცხა.

დაბინდული გონებრიდან ბურუსი რომ გაეფანტა, ძლივს გასაგონად ამოილაპარაკა „არაბა გადამირჩინეთ“. იმ მომენტში არაბა უკვე ზღვიდან გამოჰყავდათ.

მოხუცი ლევანი ორი საათის შემდეგ მოვიდა გონს, ერეკლე და რძა-ლი როგორც კი შენაშნა, სახეზე აბილი, ალერსიანი ღიმილი გადაეფინა. წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო, მაშინ რაღაც გაუგებარი სიტყვები ამოილულულა.

ერეკლემ ტახტთან ჩაიმუხლა.

— მამა, გინდა რაიმე თქვა? ჯერ თავს ძალას ნუ დაატან. ჩვენ შუა დღისას ჩამოვფრინდით, წინასწარ გამოგვიშვებს, სუფრა მზად დავგახვედ-რო, გვითხრეს. შენ კარგად ხარ, არ შეშინდე.

მოხუცს ღიმილით ისევ გაებადრა სახე, რძალს ახედა, რაღაც გაუგე-ბარი სიტყვები ამოილულულა.

ექიმი გვერდზე გავიყვანე და მდგომარეობა ვკითხე. ჩვენ ერეკლეს შემოგვიერთდა.

— მარცხენა კიდურების დამბლა განუვითარდა, ენაც წაერთვა, პულ-საცია დარღვეული აქვს, გული ძლივსა მუშაობს, ვფიქრობ, ადრე მიკ-როინფარქტი გადაუტანია. მდგომარეობა მეტისმეტად რთულია, გულის ოდნავ შეტევასაც ვერ გაუძლებს.

ერეკლე მაშინვე ქალაქში გაემგზავრა და ცნობილი ექიმები ამოიყვანა. კონსილიუმმა დაადსტურა ადგილობრივი ექიმის დასკვნა.

იმ დამით მოხუცს არ მოეშორებია. განთიადამდე უძრავად იწევდა ეძინა, ზოგჯერ შეგუბებული სუნთქვა ყელში მოაწვებოდა და ხანადაც ლეზბდა. ექიმი ყოველ ნახევარ საათში უსინჯავდა პულსს, ორგანიზმს ნემსებით ამაგრებდა. განთიადზე გამოიღვიძა, უფრო მხნედ გამოიყურებოდა, მეტყველების უნარიც დაუბრუნდა.

— ქვასავით მაგარი ვარ, ასე ადვილად არ გავქრები. — მშვილად, დარწმუნებით ამოილაპარაკა. — ეგ ოხერი, ცალ ხელსა და ფეხს ვერ ვიმორჩილებ.

ექიმმა გააფრთხილა, თავს ძალას ნუ დაატანდა, მისთვის მოძრაობა დამოუბველი იყო.

შემდეგ ისევ საუბრის ხასიათზე დადგა. მოხოვა ერეკლე დამერწმუნებია, რომ ქორწილი არ გადაეღო. დავხმარებოდი, რესტორანი შემერჩია და სუფრაც გამეშალა.

ოთახში ერეკლე ფეხაკრეფით შემოვიდა, მოხუცი გაღვიძებული რომ ნახა, საწოლთან ჩამოჯდა, დაღარულ შუბლზე ალერსით გადაუსვა ხელი, რაკი ზღვას გადაურჩი, აწი აღარაფერს გავიჭარვებო, უთხრა.

— მოდი, შეილო, ჩამეხვიე, შენი ჭეხება ძალას მმატებს.

ერეკლე ფრთხილად დაემხო მოხუცის მკერდზე, სახე, თვალები დაუკოცნა.

შემდეგ ისევ ქორწილზე ჩამოვარდა საუბარი.

ერეკლე ადვილად დავითანხმე მოხუცის სურვილი შეგვესრულებინა.

— ქორწილის შემდეგ სვეტლანა აქ დატოვე, შეილო, ზღვა ქალის საქმე არ არის.

— კარგი. მამა, მაგ სურვილს შეგისრულებ. ვიცი, გემინია. საქართველო არ მივატოვო, გეფიცები სხვაგან ბინას არ დავიდებ, მხოლოდ ერთსა გთხოვ: გემს სვეტლანას დედა ჩამოჰყვება, სხვა არავინ გააჩნია. წინააღმდეგი თუ არ იქნები, აქ დარჩება, შენც მიგხედავს. საქართველოში ნამყოფია, სიამოვნებით გადმოვსახლდებიო, მითხრა.

— ოჰ, შეილო, მაგას რა ჯობს, თუ კი სხვა ბუდეს არ გაიჩენთ და ყველანი ჩემთან იქნებით.

მოხუცი კმაყოფილი დარჩა ერეკლესთან საუბრით. მთელი დღე რძალსა და შვილობილს თვალთაგან არ იცილებდა.

სალამოს მე და ერეკლე ბათუმში ჩავედით. გადაწყდა, სუფრა „მერცხალში“ გავვეშალა.

ხომალდი მესამე დღეს ჩამოვიდა. მოხუცმა ქორწილში მახლობლებიც დაბატიყა. ყველაფერი მზად იყო. დიდებული სუფრა გაიშალა.

თამადა როგორც კი შეუდგა თავის საქმეს, მე ავტომატქანაში ჩავჯექი და ჩაქვისაკენ გავემართე.

მოხუცს გაუკვირდა ჩემი დანახვა.

დავამშვიდე, ყველაფერი რიგზეა, მე ღვინოს გავუბიძგე და თქვენთან იმიტომ წამოვედი-მეთქი, ვუთხარი.

— კარგია, რომ ჩემთან ხარ, რაღაც ამ საღამოთი ცუდად ვგრძნობ თავს, თითქოს ძარღვებში სისხლი მეყინება. უხეირო მოტორის მსგავსად გულიც ძლივს მუშაობს.

მაშინვე კაცი ექიმთან ვაფრინე.

სახეზე დავაკვირდი, გულმა რეჩხი მიყო. თვალის უბეები შესიებოდა, ლაჟღავნა სახეზე ავადმყოფური სილუბრე მოსდებოდა.

— ქორწილში, ალბათ, ჩემს საღვთგვრძელოსაც შესვამენ. კარგ ბიჭს ვუტოვებ ქვეყანას. აწი თუ კი რაიმე მომივა... ეჰ, რაც იქნება, იქნება. დიდხანს ვებრძოლე ბედს, შვიდი ათეული წელი მაწევს მხრებზე.

სუნთქვა დაუმძიმდა, ლაპარაკი გაუძნელდა, სიტყვებს დამარცვლით ამბობდა.

--- საქმე თუ წახდეს, ცოლთან დამასაფლავეთ. საფლავიც წინდაწინ გავიკეთე, უკრაინის შავი მარმარილოთი. ჩემს ბიჭს ნუ დაივიწყებ, ზოგჯერ...


— აბა, რას ამბობთ, ბიძია ლევან. ორიოდ კვირაში ადგებით.

ექიმი შემოვიდა. პულსი გაუსინჯა, თავი საეჭვოდ გადააქნია. უმაღლე ამპულებს მივარდა.

ჰაერი არ მყოფნისო, ძლივს ამოილაპარაკა. გვთხოვა, სასთუმალი აგვემალეებინა. სურვილი შევეუსრულეთ. ხანდაზმით სუნთქავდა. მიბნედილი თვალებით გადმოგვხედა, თითქოს ბურანიდან გვიყურებდა.


— მივ-დი-ვარ. — გადაფითრებულ ტუჩებში გამოსცრა. შემდეგ ტუჩებზე შვილის სახელი შეეყინა.

წავიდა. წავიდა იმედით. წავიდა ისე, რომ ოჯახის ფუძე არ მოუშლია.



ნ ა ტ ვ რ ა

მზე გიდელივით ეკიდა ცაზე,
მიწას ლოკავდა ცეცხლის ენებით,
ატმებს და ვაშლებს
მტვერი ნისლივით —
ეფინებოდა უჩინარ ფრთებით.
ბროწეულივით სკდებოდა მიწა
და ოხშივარი ძღვა ყანაში,
ნეტავ აქ იყოს ბათუმის წვიმა,
ჭადრის ფოთლებზე თამაშ-თამაშით.



შოთა ქაჩიძე

ახლის დამამკვიდრებელი იუმორი

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, ალმანახ „ტალღაში“, რომელიც ბათუმში გამოდიოდა, დაიბეჭდა პატარა იუმორისტული მოთხრობა „ბარნაბას მამალი“. ეს იყო უწყინარი შინაარსის ნაწარმოები, მაგრამ მაინც გამოიწვია ახრთა სხვადასხვაობა. ზოგმა იგი უმნიშვნელო მოთხრობად მიიჩნია, სხვებმა კი დევ კარგი მომავალი უწინასწარმეტყველეს მის ავტორს, მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის ჯერ კიდევ უცნობ ახალგაზრდა მწერალს ალექსანდრე სამსონიას.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღეს ალექსანდრე სამსონია ერთ-ერთი პოპულარული იუმორისტი მწერალია საქართველოში. მისი მოთხრობები დიდი ტირაჟით გამოდის. მათ ხალხით და ინტერესით კითხულობენ. ეს არ აიხსნება მარტო იმით, რომ

იუმორი ყველას იზიდავს — დიდსაც და პატარასაც. მთავარია მწერლის იდეურ - კლასობრივი პოზიცია, მისი იდეალი და, რა თქმა უნდა, მხატვრული ნიჭი.

ცდება, ვინც ფიქრობს, თითქმის იუმორისტ მწერალს არავითარი იდეალი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, რამდენადაც მისი საქმეა გამოამხეუროს უარყოფითი და დასცინოს, დაგმოს იგი. ამ შეხედულების მიმდევრებს, როგორც ჩანს, ავიწყდებათ, რომ ყოველგვარი უარყოფა ამავე დროს საპირისპიროს მტკიცებაც არის. თუ თქვენ, მაგალითად, უარყოფთ ორპირობას, ლალატს, უპატიოსნობას, განა ცხადი არ არის, რომ ამით იცავთ, ამკვიდრებთ პირდაპირობას, ერთგულებას, პატიოსნებას?

მამასადამე, იუმორისტი მწერალსაც აქვს იდეალი, ვისი სახელი-

თაც იგი ამხილებს და კიცხავს, ოღონდ სხვებისაგან განსხვავებით მას თავისებურად ხატავს. თუ ჩვეულებრივ იდეალს გადმოვეცემენ პირდაპირ, დადებითის სახით, პოზიტიურად, იუმორისტი ამჯობინებს იგი დახატოს „შებრუნებულად“, არაპირდაპირ, ნეგატიურად.

იდეალის ასე გადმოცემა, ცხადია, ერთგვარად აძნელებს მის აღქმას, რამდენადაც მკითხველი უშუალოდ ვერ ხედავს იდეალს და თვითონ უნდა წარმოიდგინოს იგი ასახულის „შებრუნებით“, მისი უარყოფის გზით. ალ. სამსონია ყოველთვის ითვალისწინებს ამ სიძნელეს და ცდილობს რაც შეიძლება მკაფიოდ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ასახული მოვლენებისა და ადამიანებისადმი — ვის თანაუგრძნობს და ვის კიცხავს, ვინ მოსწონს და ვინ არ მოსწონს. პოზიციის ასეთი სიცხადე და გარკვეულობა ეხმარება მკითხველს ღრმად ჩასწვდეს მწერლის ჩანაფიქრს, შეუცდომლად წარმოიდგინოს მისი იდეალი, რომელიც აქვე უნდა ითქვას, მთლიანად შეესაბამება ხალხის იდეალს.

ამ ნიადაგზე იქმნება მწერლისა და მკითხველის მჭიდრო სულიერი კონტაქტი. მათ არა მარტო მშვენიერად ესმით ერთმანეთისა, არამედ საერთო იდეალი, საერთო იდეური პოზიციაც აქვთ. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ნიშანდობლივად უნდა მივი-

ჩნიოთ და ბევრად განაპირობებს მწერლის პოპულარობას.

ცნობილია, რომ იუმორი მხოლოდ მაშინ მხილება და გაკიცხება. ადამიანი ძნელად იტანს დაცინვას, გამახარავებას და, რასაკვირველია, გაუბრუნების მას, არ სურს სასაცილო იყოს სხვების თვალში. ამის გამო იუმორი და სატირა ხშირად უფრო ძლიერად მოქმედებს მის საქციელზე, ვიდრე შეგონება ან დადებითი მაგალითი, აიძულებს გახედეს უკეთესი, განთავისუფლდეს ძველი, დრომოჭმული წარმოდგენებისაგან, დაძლიოს ცუდი, უარყოფითი ჩვევები.

მაგრამ მხილებაც არის და მხილებაც. ზოგი გესლიანი, გულღარძლიანია, ზოგი კი არა. ალ. სამსონიას იუმორი რბილი, გულითადი და როგორღაც მეგობრულია, იშვიათად თუ გადადის სატირაში, თუმცა არ აკლია საზოგადოებრივი სიმწვავე. ეს, ცხადია, შემთხვევითი არ არის, თავისი სოციალური საფუძველი აქვს, თავისი მასაზრდოებელი წყარო გააჩნია.

საქმე ის არის, რომ უარყოფითი, რომელიც მწერალს გამოაქვს სამზეოზე, არ არის ჩვენი სინამდვილის პროდუქტი, მისი პირმო. პირიქით, იგი ეწინააღმდეგება, უპირისპირდება საზოგადოების ზნეობრივ ნორმებს და თავისი არსით წარმოადგენს ძველის გადმონაშთს ახალ, სოციალისტურ გარემოში. მეორე მხრივ, თვით ის ადამიანები, რომლებსაც მწერალი ამხილებს და დასცინის

ამა თუ იმ უარყოფითი თვისებებისათვის, ხშირად სრულიადაც არ არიან უარყოფითნი, მათ სულითა და გულით სურთ ემსახურონ კეთილს, კეთილი საქმე თესონ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო სავსებით საწინააღმდეგო შედეგს იღებენ. სევასტი კიკაბიძეს სურდა სასახელო შვილი აღეზარდა („ჩემი შვილი სიმონი“), არანაკლებ სწადდა სიმონს მოწინავე ყოფილიყო („ზღვა, მზე და სიყვარული“), ხოლო თორნიკეს („სტუმარ-მასპინძლობა“) — ღირსეული პატივი ეცა სტუმრისათვის; კეთილი განზრახვა ამოძრავებდათ ლიტერატურის მასწავლებელსა და პიონერგელმძღვანელს, როცა პატარა რეზიკოს სიტყვა დაუწერეს („ჩვენ ნიჭიერები ვართ“), მაგრამ საწადელს ვერც ერთმა ვერ მიაღწია.

აი ამისათვის — მიზნისა და ქცევის, მოქმედების შედეგის შეუსაბამობისათვის დასცინის მწერალი თავის გმირებს, მაგრამ უგესლოდ, მეგობრულად, გულისტკივილითაც კი, რამდენადაც ისინი არსებითად კეთილი ადამიანები არიან, სიკეთეს ესწრაფვიან და, თუ იმას ვერ აკეთებენ, რაც სურთ, მხოლოდ იმიტომ, რომ სჩადიან შეცდომას, აკლიათ ცოდნა, გამოცდილება, არ ყოფნათ ნებისყოფა. საკმარისია მათ შეიგნონ, როგორ უნდა იქცეოდნენ, რომ სწორ გზას გაჰყვნენ, ერთმანეთს შეუხამონ განზრახვა და მოქმედება, არ დააშორიშორონ

ისინი. ეს ალ. სამსონიას მტკიცე პოზიციაა, ურყევი რწმენა, რომელიც ემყარება კეთილშეშობას, ადამიანის ნდობას, სიყვარულს და განსაზღვრავს მისი იუმორის ხასიათსაც.

მკითხველს მოსწონს ასეთი გულღია, უგესლო იუმორი, იგი გრძნობს, რომ მწერალს უყვარს ადამიანები, აწუხებს მათი ბედი და, თუ ზოგიერთს დასცინის, მხოლოდ იმიტომ, რომ სურს უკლებლივ ყველანი იყონ ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები, პატიოსნად ასრულებდნენ თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას ქვეყნისა და ოჯახის წინაშე. ამის გამო მკითხველი მასში სამართლიანად ხედავს კეთილისმკოფეულს, გულითად მრჩეველსა და მეგობარს. თავისთავად ცხადია, ეს ზრდის ინტერესს მწერლის მოთხრობებისადმი, აფართოებს მისი მკითხველების აუდიტორიას და იგი სულ უფროდაუფრო მრავალრიცხოვანი ხდება.

ალ. სამსონიას იუმორის მთავარი ღირსება მაინც მწვავე საზოგადოებრივი ყდერადობაა. იგი ცხოვრების სიბრძნეს ეწყვილება, ხალხის გულისტკმას ემსახურება და მიზნად აქვს არა უბრალო თავშექცევა-გართობა, არამედ სინამდვილის უარყოფითი მოვლენების მხილება და აღმოფხვრა, ადამიანთა მორალური სახის სრულყოფა, მათი გამსჭვალვა ამაღლებული კომუნისტური იდეალებით.

ამავე დროს ალ. სამსონიას იუმორისტულ მოთხრობებს თვალსაჩინო მხატვრული ღირსება აქვთ, მწერალი კარგად ფლობს ქართულ სიტყვას და უნარი შესწევს გამოკვეთოს მკაფიო, შთაბეჭდავი ხასიათები, მოგვცეს პოვლენის საკმაოდ სრული სურათი. მისი დიალოგი სხარტი, ლაკონური და მეტყველია, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მოქმედზე და ახასიათებს მას როგორც ადამიანს. დიალოგშივე ვლინდება მწერლის მდიდარი იუმორისტული ნიჭი, თუმცა მოსწრებული სიტყვა-პასუხი სრულიადაც არ არის მისი იუმორის მთავარი ელემენტი. სიცილს უპირატესად და უპირველეს ყოვლისა იწვევს შესაბამისი პერსონაჟთა საქციელსა და განზრახვას შორის, ე. ი. სიტუაცია, რომელშიც მოქმედი პირები უნებლიეთ, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ აღმოჩნდებიან. ასეა ალ. სამსონიას ბევრ მოთხრობაში, ასეა „სტუმარ-მასპინძლობაშიც“, მწერლის ერთ-ერთ საუკეთესო ნოველაში.

„სტუმარ-მასპინძლობის“ თემა. ერთი შეხედვით, შეიძლება უმნიშვნელოდ და დრომოკმულადაც კი მოგეჩვენოთ. მართლაც, საქართველო ზომ ძველითგანვე განთქმულია სტუმართმოყვარეობით და ვის ვის, მაგრამ ქართველ კაცს თითქოს ზედმეტი ავტორიოთ როგორ უმასპინძლოს სტუმარს. ესეც რომ არ იყოს, ყველა ოჯახი ისე იღებს სტუმარს,

როგორც სურს და შეუძლია. ეს მისი კერძო საქმეა და რა ხელი აქვთ მასთან სხვებს, თუნდაც სოზოგადოებას? აქ საკამათოა, სოზოგადოებრივად ღირებული თითქოს არაფერია, ნამდვილად კი ასე როდია. საზოგადოება არასოდეს არ ყოფილა გულგრილი სტუმარ-მასპინძლობის წესისადმი, მით უმეტეს არ შეიძლება გულგრილი იყოს ახლა, როცა ჩვენი ხალხის ყოფაში დამკვიდრდა ხუთდღიანი სამუშაო კვირა, როცა ადამიანებს გაცილებით მეტი თავისუფალი დრო რჩებათ, ვიდრე წინათ, და ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა, სტუმარიანობაც გახშირდა. ასეთ ვითარებაში სრულიადაც არ არის სულერთი, როგორ მივიღებთ სტუმარს, ნათესავ-მეგობრებს ოჯახში. ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და, მაშასადამე, მწერალი უმნიშვნელო კი არა, უაღრესად აქტუალურ და საჭირობოროტო, სადღეისო პრობლემას აღძრავს.

საქმე ის არის, რომ ამ ბოლო დროს მომრავლდნენ ადამიანები, რომლებიც ოდესღაც ფეოდალურ-პარაზიტულ წრეში გავრცელებულ სტუმარ-მასპინძლობის წესს უძველეს ქართულ ტრადიციად ასაღებენ და ჩვენს დროში აღადგენენ მას. მათი გავლენით სულ უფროდაუფრო იკიდებს ფეხს მისწრაფება — სტუმარს, ვინც არ უნდა იყოს იგი, ახლობელი თუ შორეული, აუცილებლად გაუშალონ მდიდრულზე მდიდრუ-

ლი სუფრა, თვალი მოსჭრან ქონებით და, როგორც წესი, უგრძნობოდ დაათრონ იგი. ასე ცვლის მეგობრულ შეხვედრა-გართობას ღვინის დაძალება და ლოთობა, გულღია მასპინძლობას და სტუმრის ნამდვილ პატივისცემას — თავმომწონეობა და გულწვიადობა სიმდიდრით.

თორნიკე, ნოველის „სტუმარ-მასპინძლობის“ გმირი, ერთი იმათგანია, ვისაც ოჯახის ღირსებად მიაჩნია თუ სტუმარს ღვინო დააძალა და უგონოდ დაათრო. ამავე დროს თორნიკე არსებითად კეთილი კაცია, სულითა და გულით სურს ასიამოვნოს, პატივი სცეს სტუმარს. „რომ მოხვედი და მასიამოვნე, ცას რომ გამოვეკარი სიხარულით, ახლა უპატივცემულოდ რომ გაგიშვა, სადაური წესია?“, — სავსებით გულწრფელად ეუბნება იგი აბესალომს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ თორნიკემ არ იცის, როგორ სცეს პატივი სტუმარს და შეცდომით ჰგონია, თითქოს მასპინძლის მოვალეობას ღირსეულად მოიხდის, თუ დაათრო იგი, „კისერი მოტეხა“.

თორნიკეს არაფერი საერთო არა აქვს უქნარა, პარაზიტ ადამიანებთან, დროსტარება და ქეიფი სიცოცხლის უმაღლეს მიზნად რომ მიაჩნიათ, მაგრამ მისი შეგნება ბევრად ჩამორჩება მისსავე ეკონომიურ მდგომარეობას, მატერიალურ შესაძლებლობას. მას შეუძლია შეიძინოს ძვირფასი წიგნები და ყიდულობს კიდეცაც,

მაგრამ არა იმიტომ, რომ წიგნთხოს და ცოდნა გაიმდიდროს, არამედ თაროს დასამუფუფუნად და თავმოსაწონებლად. თორნიკეს გულწრფელად სიამოვნებს სტუმრის გაოცება — „სად იშოვე ეს დიკენსი?“ თუმცა არც კი გადაუშლია წიგნი და, თუ მაინც შეიძინა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელი საშოვნელი იყო და „ფერიც ლამაზი აქვს, წითლის გვერდით უხდება დადება“.

ქრა დასანანია ადამიანის ასეთი სულიერი სიღატაკე, გონებრივი შეზღუდულობა, მით უმეტეს, რომ მატერიალური მდგომარეობა, დრო საშუალებას აძლევს გაიმდიდროს ცოდნა, სულიერი ინტერესები, იყოს საზოგადოების ყოველმხრივ სასარგებლო და მოწინავე წევრი. კიდევ უფრო უარესია, რომ თორნიკე არავითარ უხერხულობას არ გრძნობს, როცა სტუმარი იმ წიგნზე ჩამოუგდებს სიტყვას, რომელიც შეძენით შეუძენია, მაგრამ თურმე არათუ არ წაუკითხავს, არც კი გადაუფურცლავს. კიდევ მეტი, იგი აგდებულად ეკიდება წიგნს, ცოდნას და თავი მოაქვს არა სულიერი, არამედ მატერიალური სიმდიდრით. „კაცო, — ეუბნება იგი სტუმარს, — ბიბლიოთეკაში მოხვედი შენ თუ ჩემს ოჯახში?.. მაგი წიგნი დადევი სადაც იყო და შენ სუფრასთან დამიჯექი“. უნებლიეთ გაგონდებათ ნეტარხსენებული ლუარსაბ თათქარიძე, რომელიც თავმომწონედ ამბობდა:

„მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი წიგნი რა ვაქცის ხელობა!“

ასე იბადება წინააღმდეგობა განზრახვასა და მოქმედების შედეგს შორის და ადამიანი, რომელიც მხოლოდ პატივისცემას იმსახურებს თავისი სუბიექტური მისწრაფებით, ხდება სასაცილო, დაცივნის ობიექტი. როგორც ვთქვით, ეს არის ალ. სამსონიას იუმორის განმსაზღვრელი თავისებურება, რომელიც განაპირობებს მწერლის დამოკიდებულებას თავისი გმირებისადმი. თუ, ერთი მხრივ, იგი თანაუგრძნობს მათ კეთილი სურვილებისა და მისწრაფებებისათვის, მეორე მხრივ, ამხილებს და დასცინის იმის გამო, რომ თავიანთი ქცევით, მოქმედებით, პრაქტიკული საქმიანობათ სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იღებენ, მაგრამ დასცინის მეგობრულად, გულისტკივილით.

ეს იმიტაც აიხსნება, რომ ალ. სამსონიას მოთხრობათა პერსონაჟები ჩვენი თანამედროვენი არიან. უმთავრესად ახალგაზრდები, რომელთა მსოფლმხედველობა და ხასიათი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულა. ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მაჭრობის“, დადუღების, ძიების პერიოდში არიან. ასეთ დროს ყოველთვის მოსალოდნელია შეცდომა, გზის არევა და მწერალს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნია მიუთითოს ახალგაზრდობას ზოგიერთ არსებით შეცდომა-

ზე, დაეხმაროს ცხოვრების სწორი გზის, იდეალის არჩევაში. განსაკუთრებით აღელვებს სამსონიას ახალგაზრდობის წარმართული მისწრაფება — თავი აარიდოს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, იცხოვროს უზარუნველად, მხოლოდ პირადული სიამოვნებისათვის. ასეთი ახალგაზრდები ხშირად ეფარებიან „ორიგინალობის“, „თანამედროვეობის“ ნიღაბს და სცნობენ მხოლოდ საკუთარ სურვილებს, ამასთან უგულებელყოფენ ყოველგვარ პასუხისმგებლობას როგორც ოჯახის, ისე მთელი საზოგადოების წინაშე; სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი მაქსიმალურად სარგებლობენ შვილისა და მოქალაქის უფლებებით, მაგრამ არ სურთ თავი შეიზღუდონ რაიმე მოვალეობით („ზღვა, მზე და სიყვარული“, „ჩემი შვილი სიმონი“).

და აი აქ თითქოს თავისთავად იბადება კითხვა: რა მიზეზია, რომ ქვეყანაში, სადაც ადამიანთა ურთიერთობას განსაზღვრავს კოლექტივიზმის პრინციპი, თავი წაპოყვეს, გაჩნდნენ ასეთი ეგოისტები, ინდივიდუალისტები? მწერალს მიაჩნია, რომ ბრალის ძირითადი სიმძიმე უნდა იკისრონ მშობლებმა, რომლებიც სწორად ვერ წარმართავენ ბავშვის აღზრდას ოჯახში და სავსებით უნებლიეთ უნერგავენ მას საბჭოთა ადამიანისათვის სრულიად უცხო, შეუფერებელ ჩვევებს.

ახლა თითქმის ყველა ოჯახს



აქვს საშუალება არაფერი მოაკ-
ლოს ბავშვს, ბევრს კი შეუძლია
ფუფუნებით აცხოვროს იგი. და
გაჩნდნენ საოცრად „გულჩვილი“
მშობლები, რომლებიც ცივ ნია-
საც კი არ აკარებენ შვილებს,
ყველა სურვილსა თუ ჭირვეუ-
ლობას უყოყმანოდ და დაუყოვნე-
ბლივ უსრულებენ მათ. ბავშვი
სულ უფრო რწმუნდება, რომ
მისი სურვილი, მისი სიტყვა, კა-
ნონია ოჯახში, მას ვერავინ გადა-
უშვია, ვერავინ გადაუდგება წინ და
თანდათან, თითქოს შეუმჩნევლად
ხდება არა მარტო ჭირვეული და
თავნება, არამედ დესპოტიც. ამას
ისიც ემატება, რომ „გულჩვილი“
მშობლები არც გოგონას, არც
ბიჭს შინ, ოჯახში არაფერს არ აკ-
ეთებინებენ, თვით უმნიშვნელო
საქმესაც კი, არ უნერგავენ შრო-
მის სიყვარულს. პირიქით, უქმნი-
ან შთაბეჭდილებას, რომ შეუძლი-
ათ თავი აარიდონ მას (ლონდა,
სიმონი და სხვ.). ასე ხდება ბავ-
შვი ზარმაცი, უქნარა, თანდათან
ეჩვევა იმ აზრს, რომ მის მაგივ-
რად სხვები უნდა შრომობდნენ.

ამგვარი „აღზრდის“ ნაყოფს,
როგორც წესი, მშობლები მოგვი-
ანებით იმკიან, როცა ბავშვები
სრულ ასაკში შედიან (პროფესო-
რი ზიდაშელი, სევასტი კიკაბიძე).
ისინი უკვე ცხადად ხედავენ თა-
ვიანთ შეცდომას, მაგრამ აღარ
შეუძლიათ მისი გამოსწორება,
აღარ შეუძლიათ ზეგავლენა მოა-
ხდინონ შვილებზე, დაიბრუხონ
დაკარგული ძალა და ავტორიტე-

ტი. „ჰაი, გიდი, დამიბრუნა ერთი
ჩემი ახალგაზრდობა!“, — ზრუნავს
დი? — არა, ვარსკვლავებს არ
ჩამოვიტანდი ციდან. მე მხოლოდ
მეორე ბიჭს გავაჩენდი, — ერთ-
მა არ ივარგა, იმას მაინც კაცად
გამოვიყვანდი“, ამბობს სევასტი
კიკაბიძე, მოთხრობის „ჩემი შვი-
ლი სიმონი“ მთავარი მოქმედი
პირი. ეს დაგვიანებული სიხანუ-
ლი, რა თქმა უნდა, საქმეს ვე-
ლარ შევლის, არაფერს არ ცვლის,
მაგრამ მნიშვნელოვანია თვით შე-
ცდომის აღიარების ფაქტი. იგი
ცხადყოფს შეუსაბამობას სევას-
ტი კიკაბიძის სუბიექტურ მისწ-
რაფებასა და ობიექტურ შედეგს
შორის. მას მთელი არსებით სუ-
რდა ისეთი შვილი აღეზარდა,
ოჯახსა და სოფელს რომ გამოს-
დგომოდა, მაგრამ მისი სიმონი
არც სოფლისა აღმოჩნდა და არც
ოჯახისა.

ძირითადად ახალგაზრდების
ცხოვრებას ასახავს ალ. სამსონი-
ას ბევრი სხვა მოთხრობაც, მაგ-
რამ ვერ ვიტყვით, რომ ყველა
მათგანი ერთნაირი ღირსებისა
იყოს. ზოგჯერ მწერალი ღალა-
ტობს საკუთარ იდეურ-ესთეტი-
კურ პოზიციას, ზედმეტად იტა-
ცებს თვით იუმორი, მისწრაფება
გააცინოს მკითხველი. ყველაზე
რელიეფურად ეს ტენდენცია ჩანს
ვრცელ მოთხრობაში „ბურთი,
მოედანი და მაყურებელი“. მარ-
თალია, მასში არაერთი შესანიშნა-
ვი ეპიზოდი და მეტად საინტერე-
სო ხასიათია, მაგრამ აკლია კომ-
პოზიციური მთლიანობა და სა-

ზოგადოებრივი ღირებულება. არ-
სებითად იგი წარმოადგენს ცალ-
კეული ნოველების კრებულს,
რომლებსაც აერთიანებს თემა —
ფეხბურთი და არა მოქმედება.
ამავე დროს ზოგიერთ ნოველას
საფუძვლად უდევს ანეკდოტური
ამბავი და შეთხზულია ერთი მი-
ზნით — გააცინოს, გაართოს მკი-
თხველი, ეს კი, როგორც ვთქვით,
ეწინააღმდეგება თვით მწერლის
იდეურ-ესთეტიკურ პოზიციას.

ბოლო წლებში ალ. სამსონიამ
რამდენიმე დრამატურგიული ნა-
წარმოებიც შექმნა. დიდ წარმა-
ტება ზედა მის პირველსავე პიე-
სას „ჩემი შვილი სიმონი“, რომე-
ლიც წარმოადგენს ამავე სახელ-
წოდების მოთხრობის ინსცენირე-
ბას. იგი ბათუმის თეატრის სცე-
ნაზე დადგა ახალგაზრდა რეჟი-
სორმა გ. ჟორდანიამ. სპექტაკლი
დიდად მოეწონა მაყურებელს.
იგი თითქმის სამასჯერ წარმოად-
გინეს და დარბაზი მუდამ სავსე
იყო ხალხით. განსაკუთრებით დი-
დი შთაბეჭდილება დატოვა სპე-
ქტაკლმა ახალგაზრდობაზე, რომე-
ლმაც მასში სამართლიანად დაი-
ნახა ამაღელვებელი და მიმზიდ-
ველი იდეა, თავისი ავ-კარგი.

ახალგაზრდობის ცხოვრებას მი-
უძღვნა ალ. სამსონიამ თავისი მე-
ორე პიესაც „ზღვა და სიყვარუ-
ლი“. მართალია, მასში დრამა-
ტურგიულად ყველაფერი რიგზე
არ არის (უპირატესად დრამის
მეორე ნაწილში), მაგრამ თეატრს
მაინც მისცა საშუალება შეექმნა
დიდი აღმზრდელობითი მნიშვნე-

ლობის სპექტაკლი (რეჟისორი
აბაშიძე). იგი უჩვენებს რიგში თე-
ატრალურ ფესტივალზე, მისთვის
ვის კრემლის თეატრში გასტო-
ლების დროს და ყველგან საქა-
ოდ მაღალი შეფასება დაიმსახუ-
რა.

რით მიიზიდა სპექტაკლმა
„ზღვა და სიყვარული“ ჩვენი
ახალგაზრდობა?

უპირველეს ყოვლისა იმით,
რომ დრამატურგმა გაბედულად
აღძრა ჩვენი დროის საჭირბორო-
ტო საკითხები, დამაჯერებლად,
მდიდარი ცხოვრებისეული მასა-
ლის მომარჯვებით გვიჩვენა ორი
განსხვავებული ხასიათი, ორი დი-
ამეტრალურად საწინააღმდეგო
შეხედულება, ორი თვალსაზრისი
ცხოვრების წინააღმდეგ და გზაზე.
ერთ თვალსაზრისს გამოხატავს და
იცავს გურამი, ხოლო მეორეს —
მისივე თანაკლასელი ელგუჯა.

გურამი ღიწვი, დაკვირვებული
ახალგაზრდაა. იგი სერიოზულად
უყურებს ცხოვრებას და საშუა-
ლო სკოლის დამთავრებისთანავე
ირჩევს თავის გზას, რომელსაც
მტკიცედ მიჰყვება. თვით სიყვა-
რულიც კი ვერ აიძულებს მას
უღალატოს მიზანს, ერთხელ და
სამუდამოდ რომ მიიჩნია სიცოც-
ხლის, არსებობის აზრად. პირად
ბედნიერებას იგი ეძებს და პოუ-
ლობს ხალხის საკეთილდღეო პა-
ტიოსან შრომაში. მისი სკოლის
მეგობარი ელგუჯაც მტკიცე ნები-
სყოფის ახალგაზრდაა, ისიც შეუ-
პოვრად იცავს თავის იდეალს, მა-

გრამ გურამისაგან განსხვავებით იოლ ცხოვრებას ეტრფის, არ უყვარს შრომა და ფუჭი ილუზიებით შეპყრობილი ოცნებობს ბუნოს-აირესსა და მონტევიდეოზე, თეთრ ხელთათმანებსა და კაბარეებზე. იგი შეცდომით ფიქრობს, თითქოს აღმართ-დაღმართები მხოლოდ ჩვენშია, უცხოეთში ცხოვრება კი ნების პროსპექტად წარმოუდგენია.

საიდან, როგორ გაჩნდა ამ ორი თანამედროვე ახალგაზრდის შეგნებაში ასეთი სრულიად განსხვავებული იდეალები?

დრამატურგი უპასუხოდ არ ტოვებს ამ კითხვას. მისი აზრით, გადამწყვეტ როლს აქ ასრულებს ოჯახი, ოჯახური გარემო. ელგუჯა მატერიალურად სავსებით უზრუნველყოფილია, ზედმეტადაც კი. უპატიოსნო გზით გამდიდრებული „მამიკო“ მას უზომოდ ანებივრებს და ელგუჯაც მიეჩვია უზრუნველ ცხოვრებას, უქმ დროსტარებას და თანდათან დაკარგა საბჭოთა ახალგაზრდის სახე, გაიჟლინა მეშჩანურ-ფუქსავატური ფსიქოლოგიით. სულ სხვა ვითარებაში იზრდებოდა გურამი. იგი თვითონ იწალდავს გზას ცხოვრებაში, არაფერს იღებს მზამზარეულად. ეს გარემოება განსაზღვრავს მათს შეგნებასაც და ადგილსაც საზოგადოებაში, მათს მორალურ-ფსიქოლოგიურ სამყაროს. ამდენად, სკოლის ამხანაგების — გურამისა და ელგუჯას პირადი შეტაკება მათი გზების გაყრის შემდეგ ორი განსხვავებული იდეალ-

ის, ორი რადიკალურად დაპირისპირებული მორალური სამყაროს ჭიდილად გვესახება და უკანასკნელში გარკვეულ სოციალურ შინაარსს იღებს.

რაკი ასეა, გასაგებია, რომ გურამისა და ელგუჯას ორთაბრძოლის შედეგი არ არის დამოკიდებული მარტო მათს პირადულ ღირსებაზე. ელგუჯა, როგორც ვთქვით, მამაცობითა და გაბედულებით, ერთხელ არჩეული იდეალისადმი ერთგულებით სრულიადაც არ ჩამოუვარდება გურამს, მაგრამ თუ მაინც მარცხდება, ეს იმიტომ, რომ თვით ჩვენი საზოგადოებრივი გარემო, ცხოვრების განვითარების ტენდენცია მის მეტოქეს უჭერდა მხარს. აქ საგულისხმოა ორი მომენტი: რამდენადაც ელგუჯას არ ჰქონდა მაღალი იდეალები, მისი გაბედულება და მამაცობა მოჩვენებითია, არ ეყრდნობა შინაგან სულიერ სიმტკიცეს და არსებითად განწირული, სასოწარკვეთილი ადამიანის გაბედულება და მამაცობაა. მაგრამ თავისი ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში, როცა ხელს იღებს საზღვარგარეთ გაქცევაზე, იგი ნამდვილ გამირობას იჩენს. ამით მან გურამთან პირად შეტაკებაში განცდილი მარცხი საკუთარ თავზე დიდ გამარჯვებად გადააქცია და სპექტაკლის ფინალში ელგუჯა დაძარცვებული, გათელილი და გახადგურებული კი არა, გამარჯვებული და მოზეიმე ადამიანია.

არანაკლებ საინტერესოა ნუგზარის მხატვრული სახე, რომელშიც

თითქოს კონდენსირებულია ზოგიერთი ახალგაზრდა ადამიანის განწყობილება, მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. ნუგზარს მხოლოდ ერთი ინტერესი, ერთი მისწრაფება ამოძრავებს — სრული მატერიალური უზრუნველყოფა. მაგრამ როგორ შეასხას ხორცი თავის ოცნებას? ერთი გზაა პატიოსანი შრომა, მეორე — თაღლითობა. ნუგზარი ამ უკანასკნელს ირჩევს, „ბიზნესმენი“ ანუ სპეკულანტი ხდება, მაგრამ არა იმიტომ, თითქოს არ იცოდეს, რომ უცხოური ძონძებითა და სიგარეტებით ვაჭრობა ჭუჭყიანი საქმეა. არა, იცის და მშვენივრადაც იცის, მაგრამ უბრალოდ ნებისყოფა არ ყოფნის ქარხანაში ან სხვაგან იმუშაოს, ერთ ადგილზე გაძლოს რვა საათს. და მაინც, ნუგზარი არ არის ელგუჯას „დუმბლიორი“, მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებაა. მთავარი მათგან ის არის, რომ ნუგზარს სრულებით არ იტაცებს უცხოეთი და გულწრფელად უყვარს თავისი სამშობლო, თუმცა ვერ ხვდება, რომ თავისი „ბიზნესით“ შეურაცხყოფს მის ღირსებას.

ნუგზარის დახასიათება სრული არ იქნება, თუ იმასაც არ ვიტყვით, რომ იგი მხდალი და მშიშარაა, როგორც ყველა უნებისყოფი კაცი. და მით უფრო დასაფასებელია მისი გაბედული გადაწყვეტილება — არათუ გაჰყოლოდა უცხოეთში ელგუჯას, არამედ ე-

ბილებინა იგი კიდევაც მეგობრების წინაშე. ამით მან იხსნა თავისი სკოლის მეგობარი.


როგორც ვხედავთ, აღმსარებელი ნიამ თავის პიესაში აღძრა ჩვენი ახალგაზრდობის ზოგიერთი არსებითი ხასიათის პრობლემა და ხაზი გაუსვა საბჭოთა საზოგადოების დიდ აღმზრდელობითს როლს. ოჯახური აღზრდის ნაკლოვანებათა მიუხედავად, ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში გზას აცდენილი ახალგაზრდები პოულობენ შინაგან ძალას დაძლიონ ცდუნება, გაიმარჯვონ საკუთარ თავზე. და ეს არის ჩვენი სოციალისტური გარემოს გავლენის პირდაპირი შედეგი.

„ზღვა და სიყვარული“ იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მასში ალ. სამსონიამ პირველად გამოიყენა ე. წ. კონტრასტების მეთოდი და სცადა თავისი იდეალი წარმოედგინა პირდაპირ, პოზიტიურად, დადებითის სახით, ე. ი. აირჩია თავისივე მოთხრობებისა და პირველი პიესისაგან („ჩემი შვილი სიმონი“) განსხვავებული პრინციპი. მანერის ასეთ მკვეთრად შეცვლას ზოგიერთი არასასურველი შედეგი მოჰყვა. ჩვენი აზრით, სწორედ ამით აიხსნება, რომ „ზღვა და სიყვარული“ თავისი მხატვრული დონით უთუოდ ჩამორჩება მწერლის როგორც პირველ კომედიას („ჩემი შვილი სიმონი“), ისე მოთხრობებსაც. იგი იდეის ილუსტრაცია უფრო არის, ვიდრე ცხოვრების

უშუალო სურათები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან მოვლენებსა და ადამიანებზე, აღძრავენ ამა თუ იმ იდეას. ამითვე აიხსნება, რომ დრამატურგი ვერ ასცდა საკმაოდ გავრცელებულ სენს და დადებითი გმირები (გურამი, ხათუნა და სხვ.) სწორ-ხაზობრივად, რამდენადმე სქემატურად დახატა, მოაკლო ძათ ფსიქოლოგიური სიღრმე და სულიერი სიმდიდრე. ისინი ერთფე-

როვანი და სხვებთან შედარებით (ელგუჯა, ნანა და სხვ.) უსიცოცხლონი ჩანან.

ალექსანდრე სამსონია ჯერ კიდევ ახალგაზრდა შემოქმედია და მისგან მომავალში გაცილებით მეტს მოველით. იმედია, იგი ზოლოდინს გაგვიმართლებს, თუ კი მტკიცედ გაჰყვება უკვე არჩეულ გზას და საზოგადოებრივ სიმძაფრეს შემატებს თავის იუმორს.



პასუსი ოპონენტებს

მიმდინარე წელს ჟურნალ „ქორობში“ (№ 2) გამოქვეყნდა პ. ცქვიტარიას, ა. სურგულაძისა და შ. ჯაფარიძის წერილი ჰემს წიგნზე „ნარკვევები ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან (1890-1921 წ. წ.)“, რომელიც გამოიცა ბათუმში 1971 წლის დამდეგს.

წერილის ავტორები ამტკიცებენ, რომ ჰემს წიგნს გააჩნია „სერიოზული ნაკლოვანებანი“, მასში დაშვებულია „არსებითი ხასიათის შეცდომები“, გვხვდება „გაუგებრობანი“.

ამ ბრალდებათა არაობიექტურობა თვალში გეცემათ წერილში მოცემულ დებულებათა უბრალო შეპირისპირებითაც კი. დასაწყისში ოპონენტები საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ ჰემ მიერ არქივებსა და ბიბლიოთეკებში გაწეულ მუშაობას, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გამოვალინე საყურადღებო დოკუმენტები, რომელთა ნაწილს, მათივე აღიარებით, პირველად გაეცნენ მეცნიერული წრეები. შემდგომ წერილის

ავტორები ჩამოთვლიან ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის „კარგად შესწავლილ“ და „დეტალურად გადმოცემულ“ რიგ საკითხებს. და ის, რასაც ავტორები მიიჩნევენ ჰემი წიგნის დადებით მხარედ, შეადგენს მთელი ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს.

მაგრამ წერილის დასასრულს იხინი უარყოფით დასკვნებს აკეთებენ მთელი წიგნის შესახებ, პირწმინდად ხაზი გადაუსვეს ყველაფერ დადებითს და სახელი გამოიტყხეს, როგორც ავტორს.

წერილის ავტორები ჰემს შრომას უწოდებენ „ზერელესა და ნაჩქარევს“ მაშინ, როცა 14 წელიწადი მოვანდომე ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის კვლევას, ვსწავლობდი მასალებს 14 არქივსა და ბიბლიოთეკაში, გადავთვალიერე 4.000-ზე მეტი საცავი ერთეული არქივებში და ასობით წიგნი, ბროშურა, სტატია და დისერტაცია, რასაც მოწმობს წიგნში მოტანილი მრავალრიცხოვანი მითითება.

მაინც რაზე აგებენ წერილის ავტორები თავიანთ ნეგატიურ დასკვნებს ჩემი წიგნის შესახებ?

1. ოპონენტები ბრალს მდებენ იმაში, რომ „მიეჩქმალე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები“. განსაკუთრებით აღშფოთებული არიან ავტორები, მათ შორის ჩემი მთავარი ოპონენტი პ. ცქვიტარია, იმის გამო, რომ ჩემს წიგნში მივუთითებ არა მის „ორტომიან შრომას“, არამედ სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატს. ჩანს, საკმარისად ვერ შევუწყვე ხელი პ. ცქვიტარიას შრომების პოპულარიზაციას! ამიტომ ჩემი წიგნი აღმოჩნდა „ზერელე“. უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის, ძალიან რომ არ გვეცეს თვალში პ. ცქვიტარიას შრომების წამოწევა, ავტორები წერენ, რომ მე არ მივუთითებ ჩემს წიგნში სხვა ავტორების ნაშრომებს. მაგრამ ყველაფერი ეს თეთრი ძაფით არის ნაკერი, მტყნარი სიცრუეა. ჩემი წიგნის მე-6 გვერდზე ნათქვამია:

„საბჭოთა აქარის არსებობის 50 წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი უკანასკნელ 15 წელიწადში, მეცნიერებმა არსებითი წვლილი შეიტანეს მისი კომუნისტური ორგანიზაციის საკითხების შესწავლაში. ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის რევოლუციამდე-ლი ისტორიიდან ცნობებსა და ცალკეული პრობლემების გამოკვლევას ჩვენ ვპოულობთ პარტიულ მოღვაწეთა... და ისტორიკოსთა... შრომებში“ და ჩამოთვლი-

ლია 52 მკვლევარი... შემდეგ შეხები იმ ავტორებს, რომლებიც სპეციალურად წერდნენ ისტორიაზე და თავიანთ შრომებში განიხილავდნენ ამ კუთხის ისტორიის ხანგრძლივ პერიოდს. შემდეგ გადავიდეთ სწორედ ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის შესწავლის დარგში არსებული ვითარების დახასიათებაზე. სად არის აქ ქართული ისტორიოგრაფიის დაკნინება ან მიჩქმალვა? მონოგრაფიაში, მისი მოცულობის შეზღუდულობის გამო შეუძლებელი იყო დწვრილებით გავერჩია ყველა ავტორის ნაშრომი. ეს რამდენადმე შეიძლება გაკეთდეს დისერტაციაში. რომელიმე ავტორით დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუძლია იპოვოს შესაბამისი ნაშრომი და შეისწავლოს იგი. რაც შეეხება ჩემს ძიერ პ. ცქვიტარიას ავტორეფერატისა და არა მისი წიგნების მითითებას, ეს გამოწვეულია იმით, რომ მხოლოდ მისი ავტორეფერატია გამოცემული რუსულ ენაზე. რაკი ჩემი წიგნი გამოვიდა რუსულად, მას წაიკითხვენ არა მარტო საქართველოში, ამიტომ მკითხველებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, თუ ამის სურვილი ექნებათ, ჩემი მითითებების კვალობაზე გაეცნონ პირველწყაროებს, რასაც ისინი ვერ შესძლებდნენ, რომ მიმეთითებინა პ. ცქვიტარიას მხოლოდ ქართულად გამოცემული შრომა.

ამგვარად, აქ არავითარი „ქარ-

თული ისტორიოგრაფიის დაკნინება“ არ არის, არამედ არის ჩემით უკმაყოფილო პ. ცქვიტარია, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი დამსახურება ჩემს წიგნში საკმარისად არ არის წარმოდგენილი.

2. წერილის ავტორები ამტკიცებენ, რომ ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიაზე „დაცულია დისერტაციები და გამოქვეყნებულია შრომები“. მათ არ მოსწონთ მტკიცება, რომ ჩემი წიგნი „წარმოადგენს ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის 1890-1921 წ. წ. ისტორიის სისტემატური კვლევისა და გადმოცემის პირველ ცდას“. ამის მიუხედავად, არავითარი სხვა გამოქვეყნებული შრომები ამ, წმინდა ისტორიულ-პარტიულ თემაზე, არ არსებულა და წერილის ავტორებსაც მათი დასახელება არ შეუძლიათ. „შრომებსა და დისერტაციებში“ ისინი კვლავაც პ. ცქვიტარიას ნაშრომს გულისხმობენ. ჩემი წიგნის მე-6 გვერდზე სპეციალურად დავახასიათე პ. ცქვიტარიას ნაშრომი. მისი შრომების საკმაოდ მაღალ შეფასებასთან ერთად აღვნიშნე, რომ მათში „არ ჩანს ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის არც სისტემატური კვლევა და გადმოცემა... არც რიგი შინაპარტიული პრობლემების ანალიზი“. აქი მისი შრომა ასახავს აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიას და არა ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიას. აი ამ სამართლიანმა მტკიც-

ებამ განსაკუთრებით განსაზღვრა პ. ცქვიტარია, რომელსაც მიაჩნია, რომ მის წიგნებში „დამტკიცებულია ით და თანამიმდევრულად გაშუქებულია რევოლუციური მოძრაობა აჭარასა და ბათუმში და ისტორია კომუნისტური ორგანიზაციისა, რომელიც უშუალო ხელმძღვანელი იყო ამ მოძრაობისა“.

აი საიდან მომდინარეობს ბრალდებანი „დამახინჯებათა“ და „არსებით შეცდომათა“ შესახებ.

როგორღა შევათავსოთ ეს მტკიცება წერილის ავტორთა სიტყვებთან, რომ ი. ჩულოკმა გამოავლინა „არაერთი საყურადღებო მასალა, რომელთა ნაწილი დღემდე უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში. ამის საფუძველზე მან სწორად გააშუქა ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციისა და 1890-1921 წლების რევოლუციური მოძრაობის ისტორიის რიგი საკითხები. კარგადაა შესწავლილი ბათუმში მუშათა მოძრაობის წარმოშობა და მარქსიზმის გავრცელება, რსდმპ ბათუმის კომიტეტის რევოლუციური მუშაობა ქალაქის სამხედრო გარნიზონის ნაწილებში, გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საქმიანობა გლეხობაში. დეტალურადაა განხილული ბოლშევიკების საგამომცემლო მოღვაწეობა, რსდმპ ბათუმის კომიტეტის სოხუმისა და სოჭის ჯგუფების მუშაობა, სამხედრო ორგანიზაციის საბრძოლო საქმიანობა რუსეთის პირველი რევოლუციისა და 1919-1920 წლების პერიოდში,

შინაპარტიული ბრძოლა ბოლშე-
ვიკებსა და მენშევიკებს შორის,
ქართველი სოციალ-დემოკრატე-
ბის მოღვაწეობა რუსეთის სხვადა-
სხვა ქალაქების რევოლუციურ
ორგანიზაციებში და სხვ“.

ჩანს, ყველაფერი არ ყოფილა
„დაწვრილებით და თანმიმდევრუ-
ლად“ გამოკვლეული პ. ცქვიტა-
რიას შრომებში. მას არა აქვს
გამოკვლეული ორგანიზაციის ში-
ნაპარტიული მოღვაწეობა, არა
აქვს რიგი შინაპარტიული პრობ-
ლემების ანალიზი, არ გამოუყე-
ნებია უმნიშვნელოვანესი პარტი-
ული დოკუმენტები, მათ შორის
რსდმპ ბათუმის კომიტეტის დო-
კუმენტებიც კი. პ. ცქვიტარი
ვერ ხედავს მთელ რიგ სიძნელე-
ებსა და შეცდომებს ორგანიზა-
ციის საქმიანობაში. მის შრომებ-
ში არ არის ნაჩვენები თვით ორ-
განიზაციის მუშაობა.

თუ კი პ. ცქვიტარიას ბათუმის
კომუნისტური ორგანიზაციის ის-
ტორიის „დაწვრილებითი და თან-
მიმდევრული“ კვლევისა და გად-
მოცემის პრეტენზია აქვს, მაშინ
რატომ არ არის მის შრომებში
ეს საკითხები გაშუქებული?

ამგვარად, პ. ცქვიტარია ერთ-
მანეთში ურევს ისტორიული მე-
ცნიერების ორი დარგის საკვლევ
საგნებს (რევოლუციური მოძ-
რაობის ისტორიასა და სკკპ ის-
ტორიას), ან უგულებელყოფს ის-
ტორიულ-პარტიულ მეცნიერებას,
როგორც საგანს. მის შრომებში
პარტიული ორგანიზაციის მუშა-
ობა დაყვანილია გაფიცვების, დე-

მონსტრაციების, სხვა რევოლუცი-
ური და მუშათა მოძრაობის გე-
ლმძღვანელობამდე. ისტორიული
პარტიული კვლევისათვის უნდა
არ კმარა: უნდა გადმოსცე პარ-
ტიული ორგანიზაციის ისტორია,
ეს ისტორია წარმოადგინო არა
როგორც გაფიცვების, დემონს-
ტრაციების ან აჯანყებათა ფონი,
არა როგორც საღდაც მიღწა
მოქმედი, არამედ, პირიქით, უნდა
უჩვენო, თუ როგორ იღვწოდა
თვითონ ორგანიზაცია, როგორ
აღმოცენდა იგი, რას აკეთებდა,
როგორ ახორციელებდა ბათუმში
ვ. ი. ლენინის იდეებს, როგორ მუ-
შაობდა, და არა უბრალოდ დეკ-
ლარაციულად განაცხადო: ბათუ-
მის კომიტეტი ხელმძღვანელობ-
და... ბათუმის კომიტეტმა მიუთო-
თა... და ა. შ. რას, როგორ და რა-
ტომ აკეთებდა პარტიული ორგა-
ნიზაცია — აი საგანი ისტორიულ-
პარტიული მეცნიერებისა, რომე-
ლსაც, ცხადია, პ. ცქვიტარიას წი-
გნები არ მიეკუთვნება. სწორედ
ამიტომ დავწერე ჩემი წიგნის წი-
ნასიტყვაობაში, რომ „პ. ცქვიტა-
რია ასეთ მიზანს არ ისახავდა“.

3. წერილის ავტორები მადანა-
შაულებენ „ბათუმის რევოლუცი-
ური მოძრაობის ისტორიის დაკ-
ნინების“ ცდაში და აცხადებენ,
რომ ეს „განსაკუთრებით რელიე-
ფურად ჩანს რსდმპ ბათუმის კო-
მიტეტის შექმნის საკითხებში“. ამ
ბრალდება-იარლიყის მიღმა
იმალეა არა სხვა რამე, თუ არა
პ. ცქვიტარიას და ა. სურგულაძის
მისწრაფება, დაიცვან მცდარი

შეხედულებანი რსდმპ ბათუმის
კომიტეტის შექმნის საკითხში.
ჩემს ოპონენტებს დაჩემებული
აქვთ, რომ სწორედ 1901 წლის
31 დეკემბერს შეიქმნა ბათუმის
კომიტეტი ან, როგორც ახლა უმ-
ატებენ, სხვა ხელმძღვანელი ცენ-
ტრი (ადრე თავიანთ შრომებში
პ. ცქვიტარია და ა. სურგულაძე
პირდაპირ წერდნენ, რომ რსდმპ
ბათუმის კომიტეტი შეიქმნა 1901
წლის 31 დეკემბერს, აქ კი ცდი-
ლობენ გადადგან „ნაბიჯი წინ“.
რაკი არა აქვთ შესაძლებლობა და-
იცვან თავიანთი მცდარი შეხედუ-
ლება პირდაპირ, ისინი მიმართა-
ვენ შემოვლითს მანევრს და „ბათ-
უმის კომიტეტს“ ცვლიან რომე-
ლიდაც „სხვა ხელმძღვანელი ცე-
ნტრით“).

დიახ, მე ნამდვილად გადა-
ვწყვიტე გადამესიხა ისტორიულ-
პარტიულ ლიტერატურაში არსე-
ბული, ჩემი აზრით, არამეცნიერ-
ული წარმოდგენა რსდმპ ბათუმის
კომიტეტის შექმნის შესახებ და,
რა თქმა უნდა, სრულებით არ
დამიკნინებია ბათუმის რევოლუ-
ციური მოძრაობის ისტორია, პი-
რიქით, ვუჩვენე, თუ როგორ იქმ-
ნებოდა სინამდვილეში რსდმპ ბა-
თუმის კომიტეტი.

უფრო დაწვრილებით გავერკ-
ვეთ ამ საკითხში. უპირველეს ყო-
ვლისა, სრულიად არ უარვყოფ,
1901 წლის 31 დეკემბრის კრების
თვალსაჩინო მნიშვნელობას. მაგ-
რამ შეიძლება კი ვამტკიცოთ,
რომ იმ საღამოს გაფორმდა რსდმპ
ბათუმის კომიტეტი, თუ სხვა რო-

მელიმე ხელმძღვანელი ცენტრი?
შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ,
რომ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლე-
ვი მოხდა უცხად, ერთ-ერთი
ერთ კრებაზე, ბათუმში 1901
წლის 31 დეკემბერს? არსებობს
თუ არა რაიმე პარტიული ან თუნ-
დაც სხვა იმდროინდელი წყარო,
რომელიც ისტორიკოსს უფლებას
აძლევს 1901 წლის 31 დეკემბერი
მიიჩნიოს რსდმპ ბათუმის კომი-
ტეტის, ან რომელიმე სხვა ხელმ-
ძღვანელი ცენტრის შექმნის თა-
რილად? ასეთი საბუთები არ არსე-
ბობს, რასაც აღიარებენ თვით ჩე-
მი ოპონენტებიც. ისინი ამტკიცე-
ბენ, რომ ასეთ შემთხვევაში
„მკლევარებმა უნდა გამოიყენონ
უფრო გვიანდელი დროის მასა-
ლები“. და ასეთ მასალებად თვლი-
ან ს. თოდრიას (1923) და 30-იანი
წლების სხვათა მოგონებებს. ახ-
ლავე უნდა ითქვას, რომ დამოწ-
მება ს. თოდრიას მოგონებებისა
„რიჟრაჟიდან გათენებამდე“, რო-
მელიც გამოქვეყნდა ჟურნალ
„რევოლუციის მატრიანეში“ № 3,
1923 წ., საესებით მოკლებულია
საფუძვლიანობას. ს. თოდრიას
მოგონებები კი არ ეთანხმება, პი-
რიქით ეწინააღმდეგება ჩემს ოპო-
ნენტებს; როცა იგი ლაპარაკობს
1901 წლის 31 დეკემბრის კრე-
ბის თაობაზე და მაღალ შეფასებას
აძლევს ამ კრებას, რომელსაც მი-
სი სიტყვით ესწრებოდნენ ქალაქ-
ის საწარმოთა წარმომადგენლები
და სადაც ი. სტალინმა წარმოთქ-
ვა საპროგრამო სიტყვა, არაფერს
წერს ამ კრებაზე რსდმპ ბათუმის

კომიტეტის ან სხვა რომელიმე ცენტრის გაფორმების შესახებ.

30-იანი წლების მოგონებებს კი ტყვეობაში ჰყავდა ბევრი ისტორიკოსი, მით უმეტეს, რომ ყოველთვის თავისუფლად როდი მიუწვდებოდათ ხელი ბევრ საარქივო დოკუმენტთან. მე თვითონ ვიყავი იმ არამეცნიერული კონცეფციის ტყვეობაში და გავიმეორე ის ჩემს წიგნში 1960 წელს.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა თქვა უარი არამეცნიერულ კონცეფციაზე, თუ ეს კონცეფცია იშვა არა თვით მეცნიერებისაგან, არამედ შემოტანილია გარედან! შეიძლება თუ არა რსდმპ ბათუმის კომიტეტის გაფორმების საკითხის გადაწყვეტისას დავეყრდნოთ მხოლოდ 30-იანი წლების მოგონებებს, რომელთა შესახებ ჩემი ოპონენტები ლაპარაკობენ, როგორც „უფრო გვიანდელი დროის მასალებზე“? არა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება! რატომ? იმიტომ, რომ მოგონებანი ყოველთვის შეიცავენ მნიშვნელოვანწილად სუბიექტურ მომენტს, მით უმეტეს მაშინ, თუ დაწერილია მომხდარი ამბებიდან 35 წლის შემდეგ და ისიც აღმინისტრაციული დაწოლით. საქმე ის კი არაა, ვერწმუნოთ თუ არ ვერწმუნოთ ამ მოგონებებს, ეს თითოეული მკითხველის პირადი საქმეა. მაგრამ მეცნიერული საკითხის გადაწყვეტისას, ისტორიული ფაქტის განსაზღვრისას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება

დავეყრდნო მხოლოდ მოგონებებს. მოგონებები შეიძლება გამოიყენონ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სხვა წყაროებს, ან მათი მონაცემები დასტურდება სხვა საბუთებით. ამ შემთხვევაში 30-იანი წლების მეორე ნახევრის მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგება მთელ რიგ საარქივო მასალებს, მათ შორის უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებს, რომლებიც სავსებით იგნორირებული იყო აქამდე. მთავარი ასეთი პარტიული დოკუმენტია რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოხსენება პარტიის II ყრილობისადმი. იგი შედგენილია 1903 წელს. ამ მოხსენებაში ასახულია რსდმპ ბათუმის ორგანიზაციის აღმოცენების პროცესი. მასში ნათქვამია:

„პირველად სოციალ-დემოკრატიული წრე (ბათუმში — ი. ჩ.). დაარსდა 1901 წელს... თავდაპირველად ბათუმში იყო სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. 1902 წელს (ხაზგასმა ჩემია — ი. ჩ.) მას, სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს, სახელი შეეცვალა და ეწოდა რსდმპ ორგანიზაციული კომიტეტი. (იხ. რსდმპ II ყრილობის ოქმები, მოსკოვი, 1959 წ. გვ. 581, 682).

თუ მხოლოდ 1902 წელს აღმოცენდა რსდმპ საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც როგორც მისი სახელწოდება გვიჩვენებს, უნდა შეექმნა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, მაშინ საკითხავია, როგორ შეიძლება 1901 წლის 31 დეკემბერს გა-

ფორმებულიყო ბათუმის კომიტეტი ან რომელიმე ხელმძღვანელი ცენტრი?!

პარტიის II ყრილობისადმი რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოხსენებაშიც კი არც ერთი სიტყვა არ არის თქმული 1901 წლის 31 დეკემბრის შესახებ.

ამგვარად, რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოხსენება, ეს უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტი, გვეხმარება გავერკვეთ იმაში, რომ რსდმპ ბათუმის ორგანიზაციის აღმოცენება და ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს — რსდმპ ბათუმის კომიტეტის გაფორმება არ ყოფილა ერთდროული აქტი, არამედ იყო პროცესი, ამასთან ხანგრძლივი და რთული პროცესი. სხვა პარტიული დოკუმენტები გვიჩვენებს, რომ მთელი 1902 წლის მანძილზე ბათუმში არ არსებობდა არავითარი სხვა ხელმძღვანელი ცენტრი, გარდა რსდმპ საორგანიზაციო კომიტეტისა, რომელიც სათავეში ედგა ბათუმის სოციალ-დემოკრატთა ჯგუფს. ეს დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ 1902 წელს ბათუმში გამოცემული პროკლამაციების ანალიზის საფუძველზე. დღემდე აღმოჩენილ 1902 წლის ყველა პროკლამაციას ხელს აწერს ბათუმის სოციალ-დემოკრატთა ჯგუფი (ან გვხვდება ამ სახელწოდების ზოგიერთი ვარიანტი) და არც ერთ მათგანს არა აქვს რსდმპ ბათუმის კომიტეტის ან სხვა რომელიმე ხელმძღვანელი ცენტრის ხელმოწერა. მხოლოდ

1903 წლის მარტის პროკლამაცია არის ხელმოწერილი პირველად რსდმპ ბათუმის კომიტეტის მიერ და ბოლოს, რსდმპ ბათუმის კომიტეტის გაფორმების დროის არაპირდაპირ დამოწმებად შეიძლება გამოდგეს ქანდაკერიის დოკუმენტები, რომლებშიც მითითებულია, რომ „1903 წლის გაზაფხულზე, ბათუმში შეიქმნა „ფარული საზოგადოება“, რომელმაც თავის თავს უწოდა ბათუმის კომიტეტი“ (იხ. ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახ. არქივი, ფ. 124, 1903 წ. ან. 12, საქმე 1400, ფურ. 27-29).

თუ ამ დოკუმენტებს ურთიერთ შევაჯერებთ, მაშინ ბათუმის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის და მისი ხელმძღვანელი ორგანოს — რსდმპ ბათუმის კომიტეტის აღმოცენება წარმოგვიდგება არა როგორც ერთდროული აქტი, არამედ როგორც პროცესი, ამასთან, ხანგრძლივი პროცესი, რომელმაც მრავალი თვე მოიცვა. ჩემი ოპონენტები სავსებით უგულვებელყოფენ და არც კი იხსენიებენ ჩემს მიერ ჩამოთვლილ დოკუმენტებს. თითქოსდა ისინი სრულიად არ არსებობენ! ოპონენტები განაგრძობენ მტკიცებას 1901 წლის 31 დეკემბრის, როგორც რსდმპ ბათუმის კომიტეტის ან რომელიმე სხვა ხელმძღვანელი ცენტრის შექმნის თარიღის შესახებ. მაგრამ მათ არც კი შეუძლიათ დაასახელონ, რომელი ხელმძღვანელი ცენტრი იყო ეს! რსდმპ საორგანიზაციო კომიტეტს

ისინი არც კი იასენებენ, თითქმის იგი არც არსებულა ბათუმში! ბრმად მიჰყევებიან რა 30-იან წლების მეორე ნახევრის მოგონებებს, არ აანალიზებენ და არ იძლევიან რა მათ ისტორიულ კრიტიკას, არ ახდენენ რა მათ შეპირისპირებას სხვა უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებთან, ისინი 1901 წლის 31 დეკემბრის კრებას მიაწერენ იმას, რაც იქ არ მომხდარა! რატომ? რატომ აღმაშებენ ისტორიას? ნუთუ ის, რომ ბათუმის მარქსისტულ-ლენინური ორგანიზაციის და მისი ხელმძღვანელი ორგანოს — ბათუმის კომიტეტის ჩამოყალიბება იყო პროცესი და არა ერთდროული აქტი, აკნინებს მის მნიშვნელობას ან ამცირებს მის დამსახურებას?! რა თქმა უნდა, არა! ჩვენ მაინც ვხედავთ ბათუმის ლენინელ-ისკრელთა უდიდეს ნამოღვაწარს, ჯეროვნად ვაფასებთ მას, მივესალმებით ბათუმელ რევოლუციონერებს და მათ თავკაცს ი. ბ. სტალინს, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა რსდმპ ბათუმის ორგანიზაციის ფორმირებაში. თვითონ ი. სტალინი არ აზვიადებდა 1901 წლის 31 დეკემბრის კრების მნიშვნელობას. პირიქით, ის ჯერ კიდევ 1902 წელს გამოვიდა იმათ წინააღმდეგ, რომელთაც სწორად ვერ გაეგოთ ბათუმის ისკრული ორგანიზაციის ფორმირების პროცესი. აი რას წერს ფილიპე მახარაძე თავის სტატიაში „ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები II ყრილობის წინააღმდეგ და

შემდეგ“ (იხ. ჟურნალი „პროლეტარსკაია რევოლუცია“ 1903 წ. № 2) განყოფილებაში „ამიერკავკასიის ორგანიზაცია“: „...1902 წელს დაიწყო დიდი გაფიცვები ბათუმის ქარხნებში. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ბათუმში ჯერ კიდევ არ იყო (ხაზგასმა ჩემია — ი. ჩ.). ეს გაფიცვები უმეტეს შემთხვევაში იწყებოდა სტიქიურად... ამხ. სოსო ჩაუდგა ამ საქმეს... 1-მარტიდან როტშილდის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა. მუშებს... სურდათ... გაეგზავნათ დელეგაცია ქარხნის მმართველთან. ამაზე ამხ. სოსომ მუშებს უპასუხა: „ჩვენ ტყუილად დავღუპავთ იმ ამხანაგებს. უმჯობესია, ეს მოთხოვნები ჩამოვწეროთ ქაღალდზე, ხოლო ქვემოთ გავუკეთოთ ხელმოწერა „ბათუმის სოციალ-დემოკრატი მუშათა ჯგუფი“. ეს იმიტომ, ამხანაგებო, დასძინა მან, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ გაფორმებული არ არის კომიტეტი (ხაზგასმა ფ. მახარაძისა) და კიდევ იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ შევსულვართ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, როგორც ცალკე ერთეული...“ მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშებისათვის ამხ. სოსოს განცხადებას, რომ ჩვენ, ე. ი. ბათუმის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, ჯერ კიდევ არ ვიყავით შესული რსდმპ-ში. ეს ეპიზოდი გვიჩვენებს, რომ ბათუმის მუშებს იმ დროს ჯერ კიდევ მცირე გამოცდილება ჰქონდათ კლ-

სობრივი ბრძოლის საკითხებში. ამხ. სოსომ სწორად და უბრალოდ განუმარტა მუშებს პარტიული საკითხები — მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული სტრუქტურა“.

აქედან ჩანს, რომ სტალინს ღრმად ესმოდა პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურა და განუმარტავდა იმათ, ვისაც არ გაეგებოდა შინაპარტიული ცხოვრების რთული საკითხები. ისინი ვინც დაჟინებით იცავენ 1901 წლის 31 დეკემბრის თარიღს, ფიქრობენ, რომ ამით განადიდებენ სტალინს, ამალღებენ მის ავტორიტეტს. ნამდვილად კი გამოდიან სტალინის შეხედულების წინააღმდეგ და ამახინჯებენ ისტორიულ ჭეშმარიტებას. თვითონ სტალინს არცერთ თავის ნაშრომში, მათ შორის სკკპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსშიც, ყურადღება არ გაუმახვილებია 1901 წლის 31 დეკემბრის თარიღისადმი. ეს იყო მნიშვნელოვანი კრება, მაგრამ მაინც იყო მხოლოდ ეპიზოდი ბათუმელ ისრაელთა დიდ ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ საქმიანობაში. ამგვარ თვალსაზრისს მხარს უჭერენ სხვა მეცნიერებიც, მაგალითად, პროფ. ლ. გორგილაძე თავის ნაშრომში „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში“. 1901 წლის 31 დეკემბერს, როგორც რსდმპ ბათუმის კომიტეტის გაფორმების თარიღს, ამჟამად იცავენ მხოლოდ ისინი, რომლებსაც ამაზე დაწერილი აქვთ თავიანთ შრომებში და ახლა

ვაყვაცობა არ ყოფნით, უარს თქვან მასზე. ამ ამხანაგებში რიცხვს ეკუთვნიან ჩემი ოპერაციებიც პ. ცქეიტარია და ა. სულგულაძე. ისინი ეჭვის ქვეშ აყენებენ პუბლიკაციას „პარტიის სათავეებთან“ (ყურნ. „სკკპ ისტორიის საკითხები“, 1963 წ. №3, გვ. 103). ნ. კრუპსკაია 1903 წლის აპრილში წერდა: „არასდროს არ გაგვიგონია, იქაური კომიტეტის შესახებ“ (იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი, ფ. 2. ან. 1, საქმე 984, ფურ. 13). საქმე ეხებოდა რსდმპ ბათუმის კომიტეტს.

ცდილობენ რა დაამტკიცონ, რომ მე „ვაკნინებ“ ბათუმის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას, წერილის ავტორებს, როგორც მაგალითი, ჩემი წიგნიდან მოტანილი აქვთ ის ადგილები, სადაც მე ბათუმში კ. ფრანჩესკის, გ. სოლორავილისა და ი. ლუზინის მიერ შექმნილ პირველ მარქსისტულ ორგანიზაციას ეუწოდებ „გგუფს“ და არა „წრეს“, და თავიანთი აზრის დასამტკიცებლად, რომ ამ ორგანიზაციას აუცილებლად უნდა ეწოდოს „წრე“, ეყრდნობიან ჟანდარმერიის მასალებს. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. მთავარი ის არის, რომ არსებობს დოკუმენტი, რომელშიც გ. ფრანჩესკისა და ი. ლუზინის ორგანიზაცია თავის თავს უწოდებს „გგუფს“ (იხ. ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახ. არქივი, ფ. 102, 1902 წ., ან 3,

საქმე 1205, ფ. 17). აქვე უნდა ითქვას, რომ საგამომძიებლო ხელისუფალნი ამ ორგანიზაციას უწოდებენ „ბათუმის წრეს“, ხოლო ფრჩხილებში წერენ „ჯგუფს“.

ყველაზე უფრო უცნაური ისაა, რომ წერილის ერთ-ერთ ავტორს პ. ცქვიტარიას დაავიწყდა, რომ თვითონ თავის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში გ. ფრანჩესკის მიერ ბათუმში შექმნილ ორგანიზაციას უწოდებს „ჯგუფს“ (იხ. პ. ცქვიტარია, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 1962 წ. გვ. 17-18).

4. ბათუმში ი. ბ. სტალინის როლის შეფასების შესახებ. წერილის ავტორები ბრალს მდებენ ი. ბ. სტალინის როლის დაკნინებაში. ეს ბრალდება, ისევე როგორც წინა ბრალდებები, სავსებით მცდარი და უმართებულოა. აი რას ვწერ ი. ბ. სტალინის შესახებ ჩემს წიგნში:

„ნოემბრის ბოლოს (1901 წ.) ი. სტალინი ჩამოდის ბათუმში... ენერგიულმა რევოლუციონერმა მარქსისტმა ი. სტალინმა ძლიერი გავლენა მოახდინა ბათუმში საქმეების მსვლელობაზე. მან სავსებით უგულებელყო ნ. ჩხეიძისა და ი. რამიშვილის შეხედულება... დაუკავშირდა რა ყველაზე უფრო აქტიურ მუშებს, მათთან ერთად ეწეოდა ორგანიზაციულ და პროპაგანდისტულ მუშაობას რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ბათუმის საერთო საქალაქო ორგანიზაციის გაფორმების მომ-

ზადების მიზნით“. „ი. ბ. სტალინი სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას ეწეოდა ბათუმში დეკემბრის დღემდე — 1902 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში იგი რამდენჯერმე ჩავიდა თბილისში ბათუმის ორგანიზაციის საქმეებზე. ახალგაზრდა პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის სოსოს ენერგიული მოღვაწეობა მოეწონათ ბათუმელ მუშებს და მას მალე „მუშების მოძღვარი“ უწოდეს... ი. ბ. ჯულაშვილი იყო ბათუმელი მუშების მიერ გამართულ არეულობათა მთავარი ხელმძღვანელი“... შემდეგ ვწერ, რომ ი. ბ. სტალინი სათავეში ედგა მუშათა ორგანიზაციას ბათუმში, ხაზგასმით აღვნიშნავ მის მოღვაწეობას 31 დეკემბრის კრებაში. შემდეგ მომაქვს მისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორი ხელმოწერა უნდა გაუკეთდეს ბათუმში გამოშვებულ ფურცლებს. ჩემი წიგნის 54-ე გვერდზე ხაზს ვუსვამ ი. სტალინის კავშირს გლეხებთან და იმას, რომ იგი იყო ქობულეთში გლეხთა სოციალ-დემოკრატიული წრის ჩამოსაყალიბებლად. 67-ე გვერდზე ვწერ იმის თაობაზე თუ როგორ ცდილობდა ი. სტალინი ბათუმელი მუშების უზრუნველყოფას არალეგალური ლიტერატურით. 69-ე გვერდზე ვლაპარაკობ ბათუმის არალეგალური სტამბის შექმნაში ი. სტალინის თაოსნობაზე. 83-ე — მივუთითებ 1902 წლის 9 მარტის ამბებში ი. სტალინის ხელმძღვანელ როლზე. მომაქვს ფა-

ქტი, როცა ი. სტალინმა ხალხი-
დან გაიყვანა დაჭრილი მუშა; ამ-
ით ხაზს ვუსვამ მის მჭიდრო კავ-
შირს მუშებთან და გულისხმიე-
რებას დაჭრილი ადამიანისადმი.
შემდგომ ვწერ ციხიდან მის მიმო-
წერაზე მუშებთან და იმაზე ზრუ-
ნვის შესახებ, რომ ბათუმში კვლავ
ვაც გაგრძელებულიყო სოციალ-
დემოკრატიული საქმიანობა. 85-ე
გვერდზე მივუთითებ სტალინის
დაპატიმრებაზე 1902 წლის 5 აპ-
რილს. 111-ე გვერდზე ვწერ გა-
დასახლებიდან გამოქცეული ი. სტალინის
ბათუმში ჩამოსვლაზე. 121-ე გვერდზე
გადმოვცემ 1905 წელს ბათუმში ი. სტალინის ჩამო-
სვლას და მის მონაწილეობას მე-
ნშევიკების წინააღმდეგ გამართულ
დისკუსიებში. 129-ე გვერ-
დზე მოტანილი მაქვს ი. ბ. სტალინის
წერილი ვ. ი. ლენინისადმი
ბათუმში შინაპარტიული მდგო-
მარეობის შესახებ, ვიმოწმებ
ი. ბ. სტალინის, როგორც ადგი-
ლობრივი კავკასიელი მუშაკის
აზრს თ. ვინოგრადოვას მცდარი
შეხედულების წინააღმდეგ ბათუ-
მში ბოლშევიკების გავლენის სა-
კითხებზე. 260-ე გვერდზე ვწერ
ი. სტალინზე, როგორც ბოლშე-
ვიკური პარტიის თვალსაჩინო
მოღვაწეზე, რომელიც შეყვანილი
იქნა დამფუძნებელი კრების კან-
დიდატთა სიაში კავკასიიდან. 309-ე
გვერდზე აღვნიშნავ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლი-
ტბიუროს წევრის ი. ბ. სტალინის
კავკასიაში გამგზავრებაზე შექმ-
ნილი ვითარების გამოსარკვევად

და კავკასიის პარტიული მუშაკი-
ბისათვის დახმარების აღმოსაჩე-
ნად. ამგვარად, გვერდი არ შეიძენ-
ლია ი. სტალინის მოღვაწეობის
არც ერთი მომენტიისათვის, რომე-
ლიც ბათუმს შეეხებოდა.

სად ჩანს აქ ი. სტალინის და-
კნინება?! ყველგან ი. სტალინი
სათანადოდ მოვიხსენიე. ოპო-
ნენტები მისაყვედურებენ იმას,
რომ ი. სტალინზე ვწერ სხვა მოლ-
ვაწეებთან ერთად. მერე და რა
არის აქ ცუდი ი. სტალინისათვის?
პირიქით. ეს მიუთითებს, რომ იგი
მარტოდ არ იყო, რომ მუშაობდა
რევოლუციონერთა კოლექტივში,
ხოლო ამ კოლექტივს რომ ხელ-
მძღვანელობდა, ხაზგასმით აღვნი-
შნე და მოვიტანე საარქივო დო-
კუმენტი, სადაც მოხსენებულია,
როგორც „მუშების მოძღვარი“. ილაპარაკო სხვა ადამიანებზე, ეს
სრულიადაც არ ნიშნავს ი. სტალი-
ნის როლის დაკნინებას.

დასკვნა. ბრალდება, რომელიც
ოპონენტებმა წამომიყენეს იმის
გამო, რომ თითქოს ჩემს წიგნში
დაკნინებული იყოს ი. სტალინის
როლი, არ შეეფერება სინამდვი-
ლეს, თავიდან ბოლომდე მოგონი-
ლია და ტენდენციური.

5. ბრესტის ზავისადმი ბათუმე-
ლი ბოლშევიკების დამოკიდებუ-
ლების შესახებ. წერილის ავ-
ტორები აცხადებენ: „არასწორად
მიგვაჩნია ავტორის მსჯელობა
ბრესტის ზავისადმი ქართველი
კომუნისტების დამოკიდებულების
საკითხზე“. მათ სწორად მიაჩნიათ
პ. ცეკვიტარიას აზრი იმის შესახებ,

რომ ბათუმელ ბოლშევიკებს 1918 წლის მარტში უნდა დაეცვათ ბათუმი თურქებისაგან, საბჭოთა მთავრობის მიერ ბრესტის ზავის ხელმოწერის მიუხედავად. ისინი იმოწმებენ ს. შაუმიანის გამოსვლას, რომელიც ვითომ ჩემთვის არ არის ცნობილი.

ჩემთვის ცნობილია ს. შაუმიანის ეს გამოსვლა, რომელსაც ოპონენტები იმოწმებენ. ს. შაუმიანის ამ გამოსვლაზე დაყრდნობა სავსებით უსაფუძვლოა, რადგან იგი მიეკუთვნება 1918 წლის ივნისს, როცა ვითარება შეიცვალა და ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მართლაც მოუწოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელებს თავი დაეცვათ თურქთა შემოსევისაგან. რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა ითქვას, რომ ჩემმა ოპონენტებმა გაცხარების გამო, ეტყობათ, ვერ შენიშნეს ჩემს წიგნში 273-ე გვერდზე სპეციალური შენიშვნა ამ საკითხზე. მასში ნათქვამია: „აუცილებელია აღინიშნოს, რომ შემდგომში, როცა თურქებმა უხეშად დაარღვიეს ბრესტის ხელშეკრულება, დაიწყეს წაწევა ამიერკავკასიის სიღრმეში, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა შეცვალა თავისი ტაქტიკა და მოუწოდა მასებს, ებრძოლათ თურქთა შემოსევის წინააღმდეგ“. ამ საკითხშიც ჩანს რამდენად არაობიექტური არიან ოპონენტები, როგორ უგულებელყოფენ იმასაც კი, რაც ნათქვამია წიგნში.

პ. ცქვიტარია თავის შრომებში

არასწორად გადმოგვცემს ბათუმელი ბოლშევიკების განცხადებას ბრესტის ზავის და ბრესტის მოლაპარაკებისადმი. იგი საერთოდ არ აანალიზებს ამ საკითხს და დეკლარაციულად აცხადებს, რომ „1918 წლის მარტში... გადაუდებელ ამოცანად იქცა ბათუმის დაცვა... საქართველოს, მათ შორის ბათუმისა და ბათუმის ოლქის მშრომელებმა განაცხადეს თავიანთი მზადყოფნა, დაიცვან ბათუმის რუსეთის მშრომელებთან მჭიდრო კავშირში“ (იხ. კრ. „ბრძოლა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის“. ბათუმი, 1961 წ. გვ. 16). თავის სხვა ნაშრომში პ. ცქვიტარია წერს, რომ ბრესტის ზავის მიუხედავად, ვ. ი. ლენინი „პირადად“ მომხრე იყო ბათუმის დაცვისაო.

პ. ცქვიტარიას ისე გამოუვიდა, რომ საბჭოთა მთავრობამ ერთი ხელით მოაწერა ბრესტის საზავო ხელშეკრულებას, ხოლო მეორეთი მოუწოდებდა ებრძოლათ მის წინააღმდეგ და დაეცვათ ბათუმი, რომელშიც ბრესტის ხელშეკრულებით დაშვებული იყო თურქეთის ჯარები. პ. ცქვიტარია ვერ ამჩნევს რსდმ(ბ) ბათუმის კომიტეტის ზოგიერთი წევრის მიერ დაშვებულ ტროცისტულ შეცდომებს ბრესტის მოლაპარაკებათა თაობაზე. ამავე დროს პ. ცქვიტარია აიგივებს ბოლშევიკების ტაქტიკას მენშევიკების ტაქტიკასთან — აკი სწორედ მენშევიკები გაჰკიოდნენ ასე ბათუმის დაცვის შესახებ! პ. ცქვიტარია

რია ბოლშევიკებს მიაწერს ბათუმის დაცვის იმავე ტაქტიკას, რომელსაც მენშევიკები აყენებდნენ. ნამდვილად კი ყველაფერი გაცილებით უფრო რთულად წარმოგვიდგება. ეს გახლდათ დრომატული ეპიზოდი ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიაში (1918 წლის მარტი). ბოლშევიკებისათვის მეტად მტკიცე ული იყო ბათუმის დატოვება, სადაც ძალაუფლების ხელში ჩაგდების ზღურბლთან იდგნენ. ამიტომ ზოგიერთი მათგანი მერყეობდა; იცავდა რა ბათუმს თურქეთისაგან, უნდოდა კიდევ „მოსკოვი ფაქტის წინაშე“ დაეყუებინა. მაგრამ 1918 წლის მარტში ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. იმ პერიოდში ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენი და მტრები ჩვენზე ძლიერნი იყვნენ. საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო ხელი მოეწერა ბრესტის ხელშეკრულებისათვის „პასტიტოლეთის ლულის ქვეშ“, გ. ვ. ჩიჩერინის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმართ. ბათუმიდან წასვლა, და არა მარტო ბათუმიდან, იყო იძულებითი და დროებითი მოვლენა. 1918 წლის მარტში სხვა-ნაირად არ შეიძლებოდა. ამიტომ საჭირო იყო დამორჩილებოდნენ ბრესტის ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი მოაწერა საბჭოთა მთავრობამ, და დაეტოვებინათ ბათუმი. ასეთი, სავსებით სწორი, გადაწყვეტილება მიიღო ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კო-

მიტეტმა და თავისი წარმომადგენლის ბ. ლომინაძის მეშვეობით გადასცა ბათუმის კომიტეტს.

3. ცქვიტარია თავის მეგზო არსად მოიხსენიებს სამხარეო კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას და ამ ფაქტს. იგი ცდილობს, ისტორია მოარგოს თავის ტენდენციურ, მცდარ სქემას, აუბრალოებს საქმის ვითარებას.

6. პ. ცქვიტარია აცხადებს, რომ ჩემი წიგნის ერთი ქვეთავი „რევოლუციური მოძრაობა ბათუმში 1904 წელს“ „მოთიანად სხვა მკვლევართა შრომების საფუძველზეა დაწერილი, მაგრამ ი. ჩულოკი მათ საერთოდ არ იმოწმებს“. ამასთან თვითონ პ. ცქვიტარია არ აზუსტებს, რომელი მკვლევარები ჰყავს მხედველობაში. პ. ცქვიტარიას ეს განცხადება სრულიად უსაფუძვლოა. ყველა მოვლენა, რომელიც გადმოცემულია ამ განყოფილებაში, დაწერილია ჩემს მიერ სავსებით დამოუკიდებლად საარქივო მასალებზე დაყრდნობით. რაკი პ. ცქვიტარია იქითკენ გადაჰყავს, რომ ვიღაცისაგან რაღაცა გადავიწერე, მაშინ მას უნდა დაეპტკიცებინა ეს და უაპელაციოდ არ მიეყენებინა ჩრდილი ჩემი ნაშრომისათვის.

7. წერილის ავტორები ამტკიცებენ, რომ ჩემი მტკიცება წიგნში (გვ. 119) ბათუმში რევოლუციური ტალღის დაცემის შესახებ 1905 წლის აპრილიდან მოკიდებული სექტემბრის ჩათვლით, სინამდვილეს არ შეეფერე-

ბა. ისინი ცდილობენ ეს დაამტკიცონ იმით, რომ მოჰყავთ ცალკეული ფაქტები 1905 წლის რევოლუციური ამბებიდან და შემდეგ მიუთითებენ: „ჩვენი აზრით, ნოემბრის ბრძოლები, შემდეგ კი დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება (გაუგებარია, რომელ დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაზეა ლაპარაკი — აკი ბათუმში აჯანყება მოხდა 1905 წლის 20-30 ნოემბერს, 1 დეკემბერს ბარიკადები უკვე დაშლილი იყო. — ი. ჩ.) სწორედ წინათვევებში განვითარებული მოვლენების ლოგიკური შედეგი იყო“.

ვინ ხდის სადაოდ იმ ფაქტს, რომ ნოემბრის აჯანყება წინამორბედი ამბების ლოგიკური შედეგი იყო?! ნუთუ ჩემს წიგნში არის რაიმე მსგავსი?! შემდეგ ნუთუ მე არ მომაქვს რევოლუციური მოძრაობის ფაქტები აპრილში, მაისში, ივნისში (სპეციალურად ვწერ ამ თვეში საყოველთაო გაფიცვების შესახებ) და 1905 წლის ზაფხულის სხვა თვეებში?!

მაგრამ უეჭველად ფაქტს წარმოადგენს მასობრივი საგაფიცო მოძრაობის დაცემა 1905 წლის აპრილ-სექტემბერში, და ჩემს ოპონენტებს არ ძალუძთ უარყონ ეს ფაქტი. თუ 1905 წლის იანვარში ბათუმში მოხდა 7 გაფიცვა, თებერვალში — არა ნაკლებ 4 გაფიცვა და დემონსტრაცია, მარტში — ექვსი, აპრილში კი — ერთი, მაისში მხოლოდ რამდენიმე კრება და მიტინგი გაიმართა, — ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში

გაფიცვები საერთოდ არ ყოფილა. 1905 წლის ოქტომბერში აღინიშნა 8 გაფიცვა, ნოემბერში, მათ შორის პირველი საყოველთაო გაფიცვა ივნისის შემდეგ. ნუთუ ეს მონაცემები არ მოწმობს საგაფიცო მოძრაობის აშკარა დაცემას ბათუმში 1905 წლის აპრილიდან სექტემბრამდე.

წერილში გვხვდება სხვა უმართებულო მტკიცებანი, რომლებიც ვერ არის ფაქტებით შემაგრებული. მასში ბევრ ადგილას დამახინჯებულია ის აზრი, რაც გადმოცემულია ჩემს წიგნში. მაგალითად, წერილის ავტორები უარყოფენ იმას, რომ 1917 წლის ზაფხულში ბოლშევიკებმა არსებითი როლი ითამაშეს ბათუმის პროფკავშირებში. ისინი უგულვებელყოფენ კორესპონდენციებს, რომლებიც გამოქვეყნდა „კავკასკი რაბოჩში“ 1917 წლის ივლისში. იქ ნათქვამია სწორედ ბოლშევიკების მზარდ გავლენაზე ბათუმის პროფკავშირებში. ანდა ისიც ფაქტი არ არის, რომ ჯერ კიდევ 1917 წლის მაისში, ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა პროფკავშირის (ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო მსხვილი პროფკავშირი ბათუმში) საერთო კრებამ, რომელსაც ბოლშევიკი ი. პეცოვი თავმჯდომარეობდა, წამოაყენა ერთ-ერთი მთავარი ბოლშევიკური მოთხოვნა — 8-სათიანი სამუშაო დღე. ნუთუ ეს არ არის ბოლშევიკების მზარდი გავლენის მაჩვენებელი პროფკავშირებში! სრულიად გაუგებარ

რია, რატომ უნდა დავაკვირდეთ ბოლშევიკების როლი ბათუმის პროფკავშირულ მოძრაობაში!

ადგილის უქონლობის გამო ვერ ვპასუხობ წერილის ავტორთა მთელ რიგ სხვა უსაფუძვლო ბრალდებებს და რიგ მეტად საეჭვო მტკიცებებს. ყოველ ნაშრომში შეიძლება იყოს უზუსტობანი და სხვა დაუდევრობანი. ცხადია ასეთები არის ჩემს ნაშრომშიც და მე მაღლიერების გრძნობით მივიღებ კეთილმოსურნე მეცნიერთა კრიტიკას, სამართლიან შენიშვნებს. ჩემი ოპონენტებისათვის მსურდა მეთქვა, რომ ჩემი წიგნი არ არის აჭარის ისტორიის ენციკლოპედია, მე გაცილებით მოკრძალებული მიზანი მქონდა: გამომეცვლია და გადმომეცა აჭარის ისტორიული წარსულის მხოლოდ ერთი მხარე — ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორია 1890-1921 წლებში. ამიტომ, ვფიქრობ, არ შეიძლება ამგვარ ნაშრომს წაუყენო მოთხოვნა, რომ მასში იყოს ყველაფერი რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდანაც და რევოლუციამდელი

აჭარის ეკონომიური, ზოგადი ტორიული და სხვა პრობლემები. ტყუილად როდი მიწოდებთ ნაშრომისათვის ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის სისტემატური კვლევისა და გადმოცემის პირველი ცდა (1890-1921 წ. წ.).

მართალია, თოთხმეტი წელიწადი მოვანდომე ამ თემის შესწავლას, მაგრამ მოვლენ ახალი მკვლევარები და მათ მაღლობა უნდა ვუთხრათ თუ ისინი ისტორიული წარსულის ახალ გვერდებს გადაშლიან. ახალს ისე კი არ უნდა შევხედეთ, როგორც ჩემს წიგნს შეხვდნენ პ. ცქვიტარია, ა. სურგულაძე და შ. ჯაფარიძე.

არავითარი „დამახინჯებანი“ და „გაუგებრობანი“ ან „არსებითი შეცდომები“ ჩემს წიგნში არ არის. ვიმედოვნებ, რომ ეს წერილი აღადგენს ჭეშმარიტებას და „ჭოროხის“ მკითხველებს შესაძლებლობას მისცემს, ობიექტურად შეაფასონ ჟურნალის ფურცლებზე გამართული დისკუსია.

ილია ჩულოკი,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი.

ჩვენ ი. ჩულოკის წიგნის რეცენზირებისა და საჯარო განხილვისას პატივი ვეცით ავტორის ნაღაწს და ვრცლად აღვნიშნეთ ის დადებითი, რაც ნაშრომს გააჩნდა. აქვე მივუთითეთ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. სამწუხაროდ, ი. ჩულოკმა შენიშვნები არ მიიღო. პირიქით, შეტევაზეც გადმოვიდა და საკმაოდ უტიფრული ტონით დაწერილ პასუხში მათ უწოდა „უსაფუძვლო“, „ტენდენციური“... ამასთან, ავტორი კვლავ დაჟინებით იცავს თავის მცდარ მოსაზრებებს, იძლევა პირველწყაროების არასწორ ინტერპრეტაციას, ცდილობს მიაფუჩეჩოს ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები, მიმართავს მეცნიერული ეთიკისათვის შეუფერებელ ხერხებს. ამიტომ იძულებული ვართ მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ზოგიერთ პრინციპულ საკითხზე და დამატებითი მასალის საფუძველზე ვაჩვენოთ ავტორის პოზიციის მცდარობა.

1. რეცენზიაში ი. ჩულოკს ვუსაყვედურეთ ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების უგულებელყოფა. იგი უარყოფს ამას და წერს, რომ წიგნის მე-6 გვერდზე 52 ავტორის სახელი მაქვს ჩამოთვლილი. მართლაც, ნაშრომის შესავალში ამ მკვლევარების მხოლოდ გვარებია დასახელებული. განა ეს საკმარისია?

ცხადია, არა. ი. ჩულოკი მოვალე იყო, მოკლედ მაინც აღენიშნა ამ მკვლევართა წვლილი თემის ცალკეული საკითხების გაშუქებაში, რომ ამის ფონზე ეჩვენებინა თუნდაც საკუთარი დამსახურება. აქ ავტორს თავმდაბლობას ვერ დავწამებთ. აბა რით ავხსნათ, რომ ი. ჩულოკი შემდეგ ერთხელაც არ ასახელებს მის მიერ ჩამოთვლილი ცნობილი ისტორიკოსების ვ. ხაჭაპურიძის, აკ. სურგულაძის, გ. ქვანიას, ვ. ესაიაშვილის, ნ. მახარაძის, მ. ცერცვაძის, ლ. ებანოიძის, ილ. მელქაძის და სხვათა მონოგრაფიებს, აგრეთვე ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ სხვა ნაშრომებსა და სტატიებს, რომლებშიც საინტერესო მასალა და დასკვნებია ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის საკითხებზე.

ი. ჩულოკი აქეთ გვედავება ყველას ნაშრომი დამსახურებისა-მებრ მაქვს გამოყენებულიო, მაგრამ ასეა კი? წიგნის შესავალში წერია: ჩამოთვლილი მკვლევარებიდან აჭარის წარსულს ეხება ა. ბაგელიძის სადოქტორო დისერტაცია „აჭარის ეკონომიური ისტორია (1878-1965)“. რომელშიც ისტორიულ-პარტიული საკითხები განხილულია მოკლედ და გაკვრით (გვ. 6). ჩვენ არ ვაკნინებთ ამ გამოკვლევის მნიშვნელობას, მაგრამ აჭარის ისტორიულ წარ-

სულს უფრო მეტად ეხება ხ. ახ-
ვლედიანის, ვ. სიჭინავას და სხვა-
თა ნაშრომები, რომლებსაც ი. ჩუ-
ლოკი არსად არ ახსენებს.

ავტორი უარყოფს, რომ ბა-
თუმის კომუნისტური ორგანიზა-
ციის შესახებ დაცულია დისერ-
ტაციები და გამოქვეყნებულია
ნაშრომები. რა საბუთით? აქაო-
და, ისინი წმინდა ისტორიულ-პარ-
ტიული ხასიათისა არ არიანო.
განა შეიძლება ჩინური კედლის
გავლება საბჭოთამდელი პერიო-
დის ამსახველ ისტორიულ-პარ-
ტიული და რევოლუციური მოძ-
რაობისადმი მიძღვნილ ლიტერა-
ტურას შორის? ცხადია, არა —
ისინი ავსებენ ერთმანეთს. ეს მან
კარგად იცის, მაგრამ მაინც თავი-
სას ამბობს, რადგან არ სურს და-
სახელება, მაგალითად, მ. ჯიჯიე-
შვილის საკანდიდატო დისერტა-
ციისა „ბრძოლა საბჭოთა ხელი-
სუფლებისათვის აჭარაში“ (გა-
მოიცა 1957 წელს). ამას რომ თა-
ვი დავანებოთ, საკითხავია, ისტო-
რიულ-პარტიულ ლიტერატურას
თუ არა, რომელ დარგს უნდა მი-
ვაკუთვნოთ მ. კუბლაშვილის სა-
კანდიდატო დისერტაცია „ლენი-
ნურ-ისკრული მიმართულების
რსდმპ ბათუმის კომიტეტის შექ-
მნა და მოღვაწეობა (1901-1904
წწ.)“, რომლის ძირითადი ნაწილი
ქართულ და რუსულ ენებზე გა-
მოქვეყნებულია კიდევ? ასევე
შეიძლება გვეთქვას მ. ცერცვა-
ძის მონოგრაფიაზე „საქართვე-
ლოს მუშათა და გლეხთა რევო-
ლუციური მოძრაობის ისტორი-

იდან“ (გამოიცა 1966 წელს) და
შრომებზე „რსდმპ ლენინურ-
ისკრული მიმართულების
მის კომიტეტის 50 წლისთავი“
(1961 წ.) და „1902 წლის ბათუ-
მის პოლიტიკური დემონსტრა-
ცია“ (1952 წ.), აგრეთვე ე. ახო-
ბაძის დისერტაციაზე „ი. ბ. სტა-
ლინის რევოლუციური მოღვაწე-
ობის დასაწყისი“, რომლებშიც
ვრცლად გაშუქებულია რსდმპ
ბათუმის ორგანიზაციის შექმნა,
სტალინის მოღვაწეობის ბათუმის
პერიოდი და სხვ. მაინც გვაინტე-
რესებს, ი. ჩულოკმა თუ იპოვა
ისტორიულ-პარტიული საკით-
ხების მოკლედ და გაკვრით გაშუ-
ქება ეკონომიური პრობლემები-
სადმი მიძღვნილ დისერტაციაში,
როგორ ვერ ნახა ის 1917-1921
წლების რევოლუციური მოძრაო-
ბისა და 1901-1904 წლებში პარ-
ტიული ორგანიზაციის საქმიანო-
ბისადმი მიძღვნილ მონოგრაფიე-
ბში? ნახა, როგორ არ ნახა, მაგ-
რამ პირველის დასახელება მას
აწყობდა, დანარჩენებისა კი —
არა.

შეიძლება ამაზე არ გავვე-
მახვილებინა ყურადღება, რომ
ი. ჩულოკი „პასუხში“ არ ეცადა
ქართული ისტორიოგრაფიის
უგულებელყოფის „დასაბუთე-
ბა“. თურმე, რუს მკითხველს ხე-
ლი არ მიუწვდება ქართულ ნაშ-
რომებზე და ამიტომ არ შეიძლე-
ბა მათი დამოწმება! აი ეს ადგი-
ლი:

...Моя книга издана на русском
языке, ее будут читать не только в

Грузии, и читатели должны иметь возможность, если им это понадобится, ознакомиться с моими ссылками по первоисточнику, чего бы они не смогли сделать, если бы я ссылался на труд... изданный на грузинском языке».

ამ „არგუმენტაციის“ შემდეგ ბუნებრივად გვებადება კითხვა — ი. ჩულოკმა ძალიან შორს ხომ არ შესტოპა?!

2. რეცენზიაში აღნიშნავდით: შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ავტორი ნებით თუ უნებლიეთ აკნინებს ბათუმის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას და მიგუთითებდით სათანადო ფაქტებზე, ურომლისოდ აღნიშნული საკითხი, მართლაც, დაკნინებულად და ღარიბად არის წარმოდგენილი. ი. ჩულოკმა არც ეს შენიშვნა გაიზიარა. აქვს კი საფუძველი? მივმართოთ ფაქტებს (რეცენზიაში აღნიშნულს არ ვიმეორებთ).

ბათუმის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას ი. ჩულოკი იწყებს როტშილდის ქარხანაში 1890 წლის ივლისში მომხდარი გაფიცვით (გვ. 18). ამით ფაქტიურად უარყოფილია მანამდელი 15-წლიანი ბრძოლის საყურადღებო ეპიზოდები. მაგალითად, 1876 წელს ბათუმში მოღვაწეობდნენ ქართველი ხალხოსნები (ე. მჭედლიძე და სხვ.), რომლებმაც უცხოეთიდან საქართველოში შემოიტანეს დიდძალი არალეგალური ლიტერატურა, სცადეს სტამბის შემოტანაც და 1875-1876 წლების აჭარის აჯანყებასთან დაკავშირება, შემუშავეს საიდუმლო

შრიფტი მიმოწერისათვის და 1888 წელს ბათუმის ^{მუშაკლასის} ~~მუშაკლასის~~ დიდ პროპაგანდისტულ ^{გაზეთის} ~~გაზეთის~~ ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდნენ რუსი ხალხოსნებიც — პეტრე შაფრანოვი და თედორე გუზენკო. ყველაფერი ეს ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში (შ. ცაგარეიშვილმა საარქივო დოკუმენტებიც გამოსცა), ი. ჩულოკის წიგნში კი ასახული არაა. თუ ავტორი რევოლუციური მოძრაობის საწყისად მარტო მუშათა გაფიცვას მიიჩნევს, მაშინ უნდა შევახსენოთ, რომ მას ბათუმში აღიღი პქონდა ჯერ კიდევ 1882 და 1889 წლებში (ესეც დიდი ხანია ცნობილია ლიტერატურაში).

ნაშრომში ასევე არაფერია ნათქვამი ჩაქვი-კინტრიშის, ქედის, ბათუმის მოწაფეთა და სხვა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების მოღვაწეობაზე, ართვინის ბოლშევიკური ორგანიზაციისა და მისი ძანსულ-მურღულის ჯგუფის საქმიანობაზე (ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ართვინის ბოლშევიკური ორგანიზაციის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, რისთვისაც იქ მოსკოვიდან სპეციალურად მიავლინა გ. კახანჯიანი), ბათუმის მშრომელთა 15-ათასიან მიტინგზე 1905 წლის ნოემბერში შავრაზმელებთან შეტაკებაში დაღუპულ დოცენტ საბა კლდიაშვილის ცხედრის ჩამოსვენებასთან დაკავშირებით, კინტრიშელ გლეხთა მღელვარე-

ბაზე 1917 წელს, ჯ. ხიმშიაშვილის კონტრრევოლუციურ გამობდომასა და მის ჩაშლაზე, 1917 წლის იანვარ-თებერვლის ამბებზე ბათუმში, ანტანტის ინტერვენციის პერიოდში ბოლშევიკებსა და მეშვეიკებს შორის იდეოლოგიურ ბრძოლაზე, გ. აიოლოს საქმიანობაზე, ბათუმის ოლქის მოსახლეობის 1919-20 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე და ა. შ.

თუ ზემოთქმულს დავუმატებთ რეცენზიაში ამ თვალსაზრისით მოტანილ შენიშვნებსაც, მაშინ, მკითხველო, თავად განსაჯე, არის თუ არა ბათუმის რევოლუციური მოძრაობა ნაშრომში დაკნინებულად წარმოდგენილი?

3. რეცენზიაში აღვნიშნეთ, რომ ნაშრომში დამახინჯებულია ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბების პროცესი. ი. ჩულოკი კვლავ იცავს თავის მცდარ თვალსაზრისს და დაჟინებით იმეორებს, ორგანიზაციის შექმნა 1902 წლის დამლევიდან 1903 წლის გაზაფხულამდე მიმდინარეობდაო. ამით იგი არსებითად უარყოფს ადრე მიღებულ დებულებას 1901 წლის 31 დეკემბერს ბათუმის რევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრის დაარსების შესახებ. ი. ჩულოკის სიტყვით, ეს ფაქტი მოგონილია 30-იან წლებში და ვინმემ ხომ უნდა უარყოს? და უარყო კიდევ ხელის ერთი მოსმით, ყოვლად დაუსაბუთებლად, წყაროების არასწორი ინტერ-

პრეტაციითა და არსებული ისტორიულ-პარტიული ლიტერატურის გაუთვალისწინებლად, რომ ასეა, კარგად ჩანს მისი უსაფუძვლო მსჯელობიდანაც, რომელიც მხოლოდ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრის სახელწოდების ფორმირებას ეხება. საქმეს ვერ შევლის ი. ჩულოკის მიერ პარტიის II ყრილობაზე წარდგენილი რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოხსენებისა და ნ. კრუპსკაიას ბარათის დამოწმება, რადგან ისინი ავტორის სასარგებლოდ კი არა, საწინააღმდეგოდ მეტყველებენ. მივმართოთ მათ.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის მოხსენებაში, წინააღმდეგ ი. ჩულოკის მტკიცებისა, არსად არაა აღნიშნული ორგანიზაციის დაარსება 1902 წელს. მისი გულდასმით გაცნობით ჩანს, რომ იქ ლაპარაკია მხოლოდ სახელწოდების შეცვლაზე. მოხსენებაში ნათქვამია: «В 1902 году социал-демократическая группа переименовалась в Организационный комитет РСДРП». (ხაზი ჩვენია — ავტ.). ეს ციტატა ადასტურებს, რომ ბათუმში რევოლუციური ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ხელმძღვანელობით არსებობდა სახელწოდების შეცვლამდეც, ე. ი. 1902 წლამდეც. ამ შუქზე სავსებით ლოგიკური ჩანს 1901 წლის 31 დეკემბრის კონფერენციის, როგორც ორგანიზაციის დამფუძნებლის, მნიშვნელობა.

ან ავიღოთ ნ. კრუპსკაიას ბარათი (1903 წლის აპრილი). მასში ავტორი წერს, რომ „არაფერი მსმენია აქაური (ბათუმის—ავტ.). კომიტეტის შესახებ“. ნიშნავს თუ არა ეს, რომ რევოლუციური ორგანიზაცია ხელმძღვანელი ცენტრით მანამ არ არსებობდა? ცხადია, არ ნიშნავს. ნ. კრუპსკაიამ კარგად იცოდა II ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის წევრის ი. რადჩენკოს ჩამოსვლა ბათუმში 1902 წლის სექტემბერში (მან ხომ ადგილობრივ ორგანიზაციას გააცნო ყრილობის მიზანი და მისი მოწვევისათვის უკვე ჩატარებული მუშაობა!). და თუ ამის შემდეგ მაინც აღნიშნა არ მსმენია ბათუმის კომიტეტის შესახებო, ეს იმიტომ, რომ საორგანიზაციო კომიტეტს არ შეცვლია სახელი, ან ამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდნენ პარტიულ ცენტრში.

ზემოთქმულის შემდეგ ნათელია: ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია არსებობს 1901 წლის დამლევდიან. ვიმეორებთ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს — რა ერქვა მის ხელმძღვანელ ცენტრს, ან როგორ იცვლებოდა მისი სახელწოდებანი. ფაქტია, რომ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფიც და საორგანიზაციო კომიტეიც, თავის დროზე, კომიტეტის ფუნქციას ასრულებდნენ.

ახლა გავეცნოთ ამ საკითხზე არსებულ ლიტერატურას და ვნახოთ იქ როგორაა იგი გაშუქებული. მივმართოთ „საქართველოს

კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებს“ (გამოცემულია 1971 წ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ) და „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევებს“ (გამოცემულია 1971 წ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ფილიალების მიერ).

პირველ წიგნში რსდმპ ბათუმის კომიტეტის შექმნის შესახებ ნათქვამია (გვ. 84-85):

«В конце декабря 1901 года был поставлен вопрос об оформлении нелегальных рабочих кружков в социал-демократическую организацию ленинско - искровского направления. С этой целью необходимо было **создать конференцию представителей кружков.**

Конференция была созвана после серьезной подготовительной работы 31 декабря 1901 года... Конференция **избрала** социал - демократическую группу, которая впоследствии **оформилась в Батумский Комитет РСДРП.**

Таким образом, к концу 1901 и в начале 1902 года в Закавказье существовали три социал-демократические организации ленинско-искровского направления — Тифлисская, Бакинская и Батумская, возглавлявшиеся **партийными комитетами.** Эти комитеты работали под идейным руководством «Искры», на основе указаний В. И. Ленина». (ხაზი ჩვენია — ავტ.).

ი. ჩულოკის სიტყვით „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევებში“ არაა პირდაპირი მითითება

რსდმპ ბათუმის კომიტეტის შექმნის დროზე (მისი წიგნი, გვ. 7). ესეც უმართებულოა. ამ კოლექტიურ ნაშრომში, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, პირდაპირ და გარკვევით არის ნათქვამი (გვ. 73): „1901 წლის 31 დეკემბერს მოწვეულ იქნა ამ (სოციალ-დემოკრატიული — ავტ.) წრეების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციამ აირჩია ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ლენინურ-ისკრული პიმართულებისა, რომელმაც 1902 წელს რსდმპ ბათუმის კომიტეტის სახელწოდება მიიღო“ (ხაზი ჩვენია — ავტ.).

ვფიქრობთ, საკითხი ნათელია. ამ შეცდომამ ი. ჩულოკი მიიყვანა მეორე, ასევე მცდარ დასკვნამდე. რაკი 1902 წლის დამდეგს ხელმძღვანელი პარტიული ცენტრი არ არსებობდა, მუშათა გამოსვლებსაც სტიქიური ხასიათი ჰქონდაო. საამისოდ იგი იმოწმებს ფ. მახარაძის ერთ-ერთ სტატიას, რომელშიც, სხვათა შორის, დაშვებულია უზუსტობანი.

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში“ ამ საკითხზე ნათქვამია (გვ. 66-67):

«Общий подъем революционного движения с особой силой проявился и в Батуме. Первое крупное выступление батумских рабочих произошло в конце января 1902 года. Это была забастовка на заводе Манташева, организованная Батумской группой РСДРП... 9 марта Батумская группа РСДРП организовала крупную поли-

тическую демонстрацию рабочих... В демонстрации приняло участие около 6 тысяч человек... 12 марта Батумская группа РСДРП организовала в связи с похоронами жертв 9 марта новую пятитысячную политическую демонстрацию... После событий 9 марта стачечное движение в Батуме приняло еще более массовый характер... Батумская демонстрация 9 марта всколыхнула рабочих и крестьянские массы Закавказья. Батумские события, писал М. И. Калинин, мощным эхом отозвались по всей стране, они приобрели все-российское политическое значение». (ხაზი ჩვენია — ავტ.).

„ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევებში“ აღნიშნულია (გვ. 79): „რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ამიერკავკასიის პროლეტარიატმა დაუვიწყარი ფურცლები ჩაწერა 1902 წელს. იანვარ-თებერვალში რსდმპ ბათუმის კომიტეტმა მოაწყო მუშათა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები. ჯერ კიდევ გამოსვლებამდე კომიტეტმა მთელი რიგი არალეგალური კრებები გამართა.

როტშილდის ქარხანაში გაფიცვასთან და 32 მუშის დაპატიმრებასთან დაკავშირებით 1902 წლის 8 მარტს ბათუმის კომიტეტმა მოაწყო მანიფესტაცია... ბათუმის 9 მარტის დემონსტრაციის დახვრეტამ აამოძრავა ამიერკავკასიის და მთელი რუსეთის მუშათა და გლეხთა მასები. 9 მარტის ამებების შემდეგ ბათუმში, თბილისში, ქუთაისში, ფოთში და საქართვე-

ლოს სხვა ქალაქებში ახალი ძალით გაჩაღდა საგაფიცვო მოძრაობა. ბათუმიდან გასახლებულმა მუშებმა — დემონსტრაციის მონაწილეებმა საქართველოს და ამიერკავკასიის სოფლებში გაიტანეს რევოლუციური ბრძოლის ლოზუნგები. ისინი, ნათქვამი იყო „ისკრაში“, „სოფლად რევოლუციური მოძრაობის პიონერები გახდნენ“ (ხაზი ჩვენია — ავტ.).

საკითხი აქაც ნათელია: ყველა სათვის სახელმძღვანელო ისტორიულ-პარტიული ნაშრომების ეს დებულებანი ააშკარაებენ, როგორ „გადასინჯა“ ი. ჩულოკმა ბათუმის პარტიული ორგანიზაციის ისტორიის ზოგიერთი კარდინალურ საკითხი.

სხვათა შორის, საქართველოს კვ. XXIV ყრილობაზე, საფუძვლით სწორად გამახვილეს ყურადღება უკვე დამკვიდრებული ფაქტებისა და მოვლენების გადასინჯვის მცდარ შემთხვევებზე. ამ შუქზე ასევე უარსაყოფია ი. ჩულოკის უსაფუძვლო მსჯელობა ბათუმის რევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრის შექმნისა და 1902 წლის მუშათა მოძრაობის ხასიათის შესახებ, მით უმეტეს, რომ ბათუმის პროლეტარიატის ორგანიზებულ გამოსვლებს მაშინვე, 1902 წელსვე, დიდი შეფასება მისცეს თანამედროვეებმა. კერძოდ, ამ საკითხს მიეძღვნა რუსეთში ბროშურა „ბათუმსკაია ბოინია“, ხოლო გერმანიის სოციალ-დემოკრატების ჟურნალში „ნოი

ცაიტში“ ვრცელი სტატიაც დაიბეჭდა.

4. მოკლედ ი. ბ. სტალინის შესახებ. ი. ჩულოკის განცხადებით, გვერდი არ ამივლია სტალინის მოღვაწეობის არც ერთი მომენტისათვის. მართლაც, წიგნში აღნიშნულია სტალინის გვარი სხვადასხვა მოვლენასთან კავშირში. აი, ერთი მაგალითი: „1902 წლის პირველ თვეებში რსდმპ ბათუმის ორგანიზაციის ყველაზე აქტიური, საქმიანი ხელმძღვანელები იყვნენ მ. გაბუნია, ი. დარახველიძე, ი. სტალინი, კ. კანდელაკი, ს. ლომჯარია, ს. თოდრია“ (გვ. 48). ჩვენს შენიშვნაზე, რომ 1902 წლის დამდეგს ბათუმის ორგანიზაციას თურმე ჰყოლია ექვსი „საქმიანი ხელმძღვანელი“, და მათ შორის სტალინიც, ი. ჩულოკი წერს:

„Что тут плохого для Н. Сталина? Наоборот, это показывает, что он был не один, что он работал в коллективе революционеров“.

აი, თურმე როგორ შეიძლება ყველაფრის „ახსნა-განმარტება!“

5. რეცენზიაში აღვნიშნეთ ი. ჩულოკის მცდარი პოზიცია ბრესტის ზავისადმი ქართველი კომუნისტების დამოკიდებულების შეფასებაში. ავტორმა არც ეს შენიშვნა მაიღო და „პასუხში“ რატომღაც პ. ცქვიტარიას წინააღმდეგ გაილაშქრა. ეს ერთგულ კიდეც ადასტურებს ჩვენს ნათქვამს, რომ ი. ჩულოკი არ იცნობს ქართულ მეცნიერულ ლიტერატურას, თორემ ამ შენიშვნის ავტორობას პ. ცქვიტარიას არ მიაწერდა (ვურჩევთ გულდასმით გაეცნოს პროფ.

ა. სურგულაძის შრომებს, გამოქვეყნებულს ქართულ და რუსულ ენებზე). ამასთან, ი. ჩულოკა ვერ მიხვდა სტ. შაუმიანის ცნობილი სიტყვის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: ბრესტის ზავის მიუხედავად საბჭოთა მთავრობა მიესალმება ბათუმისა და ყარსის შენარჩუნებას, თუ ეს შესაძლებელი იქნება ადგილობრივი ძალებით. ავტორი არ იცნობს სტ. შაუმიანის „სტატიებისა და სიტყვების“ 1924 წლის ბაქოსეულ გამოცემას (გვ. 184-185), თორემ პასუხში არ იტყოდა სტ. შაუმიანს ამის მსგავსი არაფერი უწერიაო.

აი რა თქვა სტ. შაუმიანმა 1918 წლის 7 ივნისს ბაქოს მუშათა, წითელარმიელთა, მატროსთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე:

«Мы, большевики, ни разу не заявляли, даже когда сами подписывали этот договор, что здесь **безусловно нужно его соблюдать**. Мы рассматривали его как навязанный договор, с которым мы должны считаться постольку, поскольку то диктуется тем, что мы не обладаем силами для сопротивления.

Когда перед нами здесь ставился вопрос, как относиться к Брестскому договору, и нужно ли, чтобы с нашей стороны было какое-нибудь заявление о **соблюдении Брестского договора**, наша партия единогласно решила — **никаких заявлений о сдаче Карса, Батума и Ардагана не делать**, и, действительно, мы не сделали ни одного заявления.

Как официальный представитель

Центральной власти, я лично ~~должен был высказать свое мнение~~, но мы не выступили по этому вопросу, полагая, что в Закавказье имеется достаточно сил, чтобы отстоять Карс и Батум.

Мы указывали, что Закавказье находится в таких условиях, что все население, без различия национальностей, будет бороться, чтобы отстоять себя против турок, ибо они истребили бы целые народности Закавказья. Это обстоятельство заставило бы население быть готовым к отпору и отстаиванию своей территории.

Имея в виду также, что на нас двигались не сильные германские войска, а уставшие дезорганизованные турки, мы думали, что **Закавказье может защитить себя и не отдавать того, что было уступлено по Брестскому договору**.

Когда мы ставили вопрос, как отнесется к этому Центральное правительство, подписавшее Брестский договор, нам было ясно, что Правительство могло бы лишь приветствовать кавказских героев. “ (ნახი ჩვენია — ავტ.).

ეს ვრცელი ამონაწერი ცხადყოფს, რომ საბჭოთა მთავრობა, ბრესტის ზავის მიუხედავად, თვით ამ ზავის ხელმოწერის მომენტშიც კი, წინააღმდეგი არ იყო ამიერკავკასიის მშრომელებს ებრძოლათ ყარსის, ბათუმისა და არდაგანის შენარჩუნებისათვის. ასე რომ, ქართველი კომუნიისტების, კერძოდ, ბათუმის პარტიული ორგანიზაციის ტაქტიკა ამ საკითხში გამომდინარეობდა პარტიის პოლიტიკიდან, რომელიც ითვალ

ლისწინებდა იმხანად ამიერკავკასიაში შექმნილ კონკრეტულ ვითარებას. ი. ჩულოკი კი ამ პოზიციას ტროცკისტულს და მენშევიკურს უწოდებს!

6. რეცენზიაში მიუთითეთ: ნაშრომის ერთი ქვეთავი „რევოლუციური მოძრაობა ბათუმში 1904 წელს“ დაწერლია სხვა ავტორთა შრომების საფუძველზე, რომელთაც ი. ჩულოკი არც ახსენებს. ახლა იგი ამას უარყოფს და აღნიშნავს, დამოუკიდებლად, საარქივო მასალებით დავწერეთ. კეთილი, მაგრამ რატომ ერთის მეტად ამ მასალაზე არსად არ უთითებს? ან კიდევ: გაზ. „გოლოს ტრუდას“ პირველი ნომერი არ შემონახულა. ამიტომ მისი დაარსების თარიღად პირობით მიღებულია 1919 წლის 17 მაისი, რომელიც დაადგინა ერთმა ქართველმა მკვლევარმა. ი. ჩულოკმა ეს თარიღი ისე მიუთითა თავის ნაშრომში, რომ არც პირველწყარო დაასახელა და არც რაიმე შენიშვნა გააკეთა. ასევე შეიძლება ითქვას ბათუმის პირველი მარჯისისტული წრის დაარსების თარიღზეც. 1960 წელს გამოცემულ ნაშრომში ი. ჩულოკი მიუთითებდა 1896 წელს, ამ წიგნში კი ასახელებს 1895 წელს (გვ. 21). ეს თარიღიც სხვა ავტორის დაზუსტებულია, ი. ჩულოკთან კი რაიმე შენიშვნის გარეშეა მოტანილი. რეცენზიაშიც გვაქვს მითითებული მსგავსი ფაქტები.


7. ი. ჩულოკი ამჯერადაც იცავს იმ აზრს, რომ 1905 წლის აპრილიდან სექტემბრამდე ბათუმში დაე-

ცა მასობრივი რევოლუციური მოძრაობაო. ამის საილუსტრაციოდ მას მოაქვს საგაფიცვემო ძრაობის შემცირების სტატისტიკა, რაც ცალმხრივია და ვერ ასახავს რეალურ სინამდვილეს. საქმე იმაშია, რომ მასობრივი რევოლუციური მოძრაობა, გაფიცვების გარდა, გულისხმობს კრებებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს და შეიარაღებულ შეტაკებებს, რასაც ავტორი, რატომღაც ანგარიშში არ ღებულობს. ამ თვალსაზრისით კი 1905 წლის აპრილ-სექტემბერში ბათუმში რევოლუციური მოძრაობის დაცემაზე სერიოზულად მსჯელობა შეუძლებელია. ვ. ი. ლენინთან საუბრის შთაბეჭდილებით მ. ვასილიევ-იუჟინი წერდა: „ბათუმი, როგორც რევოლუციური ბაზა, მთელი შავი ზღვის სანაპიროზე ყველაზე უფრო საიმედო რაიონი იყო“. სწორედ რევოლუციური მოძრაობის ზრდის გამო გადაწყვიტა ვ. ი. ლენინმა აჯანყებული ჯავშნოსნის „პოტიომკინის“ გამოგზავნა ბათუმში (1905 წლის ზაფხული).

8. ი. ჩულოკი იმეორებს მცდარ აზრს, რომ ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია 1917 წლის ზაფხულში პროფკავშირებში არსებით როლს ასრულებდაო. აქ იგი იმომებს გაზ. „კავკასკი რაბოჩნი“ 1917 წლის ივლისში გამოქვეყნებულ კორესპონდენციას, მაგრამ მასში ამ დებულების სასარგებლოდ არაფერია ნათქვამი. იქ აღნიშნულია პროფკავშირებში ბოლშევიკების გადამწყვეტ როლზე კი

არა, გავლენის ზრდაზე, რაც ერთი და იგივე არ არის. სინამდვილეში მაშინდელი პროფკავშირები, ერთი-ორის გამოკლებით, 1917 წლის ზაფხულში მაინც ესერ-მენშევიკების გავლენაში იყვნენ. თვით ცენტრალური პროფბიუროს 9 წევრიდან, მხოლოდ ერთი (მოლარე თუმანიშვილი) იყო ბოლშევიკი, დანარჩენი (თავმჯდომარე, მოადგილე და ა. შ.) კი — ესერი ან მენშევიკი. ასეთი მდგომარეობა გვიან შემოდგომამდე გაგრძელდა.

რეცენზიაში მითითებულ სხვა შენიშვნებზე ი. ჩულოკი არაფერს ამბობს, ადგილის სიმცირეს იმი-

ზეზებს, თუმცა მათ მაინც უწოდებს „სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებს“. ეს შედეგია ფაქტურული არამყარ პოზიციისა, 

დასასრულ, საინტერესოა, როგორ მოხვდა ამ წიგნის გრიფად მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ავტორიტეტული სახელი? ეს მით უფრო გაუგებარია, რომ ამ კოლექტივის ავტორობითა და თანაავტორობით გამოცემულ ზემოაღნიშნულ ნაშრომებში ი. ჩულოკისაგან განსხვავებული, სრულიად საპირისპირო დებულებებია მოცემული.

პარმენ ცაქიძარია,


ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

აბელ სურგულაძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი.

ზოთა ჯაფარიძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი.



ზუკაბ კომახიძე

აჭარის სუბტროპიკული აგრაულ-ინდუსტრიული კომპლექსის სამრეწველო დარგები

ზღვისპირა აჭარა არა მარტო კარგად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებით გამოირჩევა, აქ საკმაოდ მაღალ დონეზეა მრეწველობაც, რომლის ჩასახვა და შემდგომი აღმავლობა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის სუბტროპიკულ დარგებთან. ისე როგორც მთლიანად საქართველოში, ზღვისპირა აჭარაშიც ერთ-ერთი კარგად განვითარებული ინდუსტრიული დარგია კვების მრეწველობა. სწორედ ეს დარგი გვევლინება პირველ რიგში აჭარის აგრარულ-ინდუსტრიული კომპლექსის წარმომქმნელად და მის მნიშვნელოვან კომპონენტად. სუბტროპიკულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ასევე მჭიდრო კავშირშია ქიმიური მრეწველობა, რომელიც აჭარაში წარმოდგენილია კოფეინის და ტუნგის ზეთსახდელი ქარხნებით. აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში საკმაოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის წილხედარი, თუმცა ამ ორი დარგის საწარმოო-ეკონომიური კავშირები მიმართულია მეტწილად საკვლევი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

აჭარის მრეწველობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი მრავალდარგიანობა. გარდა დასახელებული და-

რგებისა, ავტონომიური რესპუბლიკის ინდუსტრიულ კომპლექსში დიდი ადგილი უჭირავს ნავთობგადამამუშავებას, ხეცის დამუშავებას, აგრეთვე საშენი მასალებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოებას. საკმაოდ მრავალფეროვანია ისეთი სამრეწველო დარგების შიგასტრუქტურა, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა.

საკვლევი ტერიტორიის მრეწველობის მეორე საყურადღებო ნიშანია სამრეწველო საწარმოთა თავმოყრა უპირატესად ბათუმში. ერთადერთ გამოწვევას ამ მხრივ შეადგენს კვების მრეწველობა, რომლის საწარმოთა მეტი ნაწილი დაკავშირებულია ადგილობრივ სანედლეულო ბაზასთან და გაფანტულია ზღვისპირა ზოლის დაბეზსა და სოფლებში. ასეთი ნიშნით პირველ ყოვლისა გამოირჩევა ჩაის მრეწველობა. ჩაის მწვანე ფოთლის გადამამუშავების ტექნოლოგია განაპირობებს ფაბრიკების მაქსიმალურ მიახლოებას პლანტაციებთან, რათა თავიდან ავიცილოთ ნედლი ფოთლის შორ მანძილზე გადაზიდვა და მისი ხარისხის გაუარესება.

სუბტროპიკულ კომპლექსში შემავალ მრეწველობის ყველა დარგს შორის პროდუქციის მოცულობით პირველ ადგილ-

ზეა კვების მრეწველობა, ხოლო ამ დარგში — ჩაის პირველადი გადამუშავება.

ჩვენი განხილვის საგანია აჭარის სუბტროპიკული კომპლექსის სამრეწველო დარგები, რომლებიც შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ჩაის მრეწველობა, კოფეინის წარმოება, ციტრუსოვანთა გადამუშავება, ტუნგის ზეთსახდელი ქარხანა, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა და საავეჯო ბამბუქის ფაბრიკა.

რამდენადაც აჭარის სუბტროპიკულ კომპლექსში ჩაის მრეწველობას დიდი ადგილი უკავია, პირველ რიგში ამ დარგს განვიხილავთ.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ჩაის მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული. კერძოდ, აჭარაში მოქმედებდა მცირე წარმადობის მხოლოდ ორი საწარმო — სალიბაურისა და ჩაქვის ჩაის ფაბრიკები, რომლებიც ინგლისური მანქანა-იარაღებით იყო აღჭურვილი.

პირველი ხუთწლედის დასაწყისიდან ჩაის ფართობების სწრაფ ზრდასთან ერთად დღის წესრიგში დადგა ჩაის ფაბრიკების მშენებლობის, მათი სამამულო წარმოების მანქანა-დანადგარებით აღჭურვის საკითხი. საჭირო იყო აგრეთვე ამ დარგის კვალიფიციური კადრების მომზადება. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ საქართველოში აღიზარდნენ სპეციალისტები, რომლებმაც შეამუშავეს და წარმოებაში დანერგეს შავი და მწვანე ბიხაოს ჩაის დამუშავების ახალი ტექნოლოგია, ხელი შეუწვეს წარმოების კომპლექსურ მექანიზაციას.

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით და ამზადებს მანქანა-დანადგარებს ჩაის ფაბრიკებისათვის. დღეისათვის საქართველოში არსებული 77 ჩაის პირველადი გადამუშავების და ორი ჩაის საწნეხი ფაბრიკა აღჭურვილია ძირითადად ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი მანქანებით

ჩაის ფაბრიკების ინტენსიური მშენებლობა რესპუბლიკაში დაიწყო სამხრეთ და გაგრძელდა სამხრეთ ომის შემდეგ გამ პერიოდში.

აჭარის ჩაის მრეწველობის ისტორია პირობითად შეიძლება დავეყოთ სამ პერიოდად.

პირველი პერიოდი იწყება გასული საუკუნის მიწურულსა და გრძელდება 1927 წლამდე. ამ პერიოდში მუშაობდა ორი ფაბრიკა, რომლებიც აშემადა რეკონსტრუირებული და გაფართოებულია. მეორე პერიოდი იწყება 1927 წლიდან, როდესაც აშენდა პირველი საბჭოური ფაბრიკა ბოზოყვანოში, და გრძელდება დიდი სამამულო ომის დაწყებამდე. ამ წლებში აშენდა ჩაის ხუთი ფაბრიკა. მესამე პერიოდი მოიცავს 1941-1970 წლებს. ამ პერიოდში ამოქმედდა შვიდი მძლავრი ფაბრიკა.

ჩაის მრეწველობის ხვედრითი წონა აჭარის კვების მრეწველობაში შეადგენს 60 პროცენტზე მეტს. ჩაის გადამუშავება ავტონომიური რესპუბლიკის კვების მრეწველობის სპეციალიზებული დარგია.

1971 წლის დამდეგს აჭარის ტერიტორიაზე 14 ჩაის ფაბრიკა მოქმედებდა (მათ შორის ერთი ჩაის საწნეხი), რომლებიც ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: კობულეთის რაიონში — 9, ხელვაჩაურის რაიონში — 4, ქედის რაიონში — 1.

ამ დროისათვის საქართველოში გვექონდა 79 ჩაის ფაბრიკა (მათ შორის ორი ჩაის საწნეხი). ისინი ეკონომიური რაიონების მიხედვით ასე ნაწილდება: გურიის-სამეგრელოს ეკონომიურ რაიონში — 44, აფხაზეთის ასსრ — 12, აჭარის ასსრ — 14 და იმერეთის ეკონომიურ რაიონში — 9

როგორც ვხედავთ, ფაბრიკების რაოდენობით აფხაზეთი ჩამორჩება აჭარას, სამაგიეროდ აფხაზეთის ფაბრიკების საშუალო წარმადობა უფრო მაღალია. ასე, მაგალითად, 1970 წელს აჭარის თითოეულმა ფაბრიკამ საშუალოდ გამოუშვა 750 ტონა მზა ჩაი, ხოლო აფხაზეთისამ — 995 ტონა, რაც დაახლოებით 32 პროცენ-

ტით აღმატება აჭარის მაჩვენებელს.

ჩაის ფართობით, საწარმოთა რაოდენობით და პროდუქციით საქართველოში პირველ ადგილზეა გურია-სამეგრელოს ეკონომიური რაიონი. იგი იძლევა გაცილებით მეტ პროდუქციას, ვიდრე ერთად აღებული დახარეხი სამი ეკონომიური რაიონი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის ფართობები ღრმად არის შეჭრილი კოლხეთის ვაკე-დაბლობის მოსაზღვრე გორაკ-ბორცვიახ ზონაში. აჭარაში კი ჩაი გავრცელებულია მხოლოდ ზღვისპირა ზონაში. ეს იძიეთ აიხსნება, რომ აჭარაში მთები ძვესიძალურად უხლოვდებიან ზღვის ნაპირს და სუბტროპიკული კულტურისათვის ვარგისი მიწები ერთობ ვიწრო ზოლის სახითაა წარმოდგენილი. ფართობების სიძირის საკმაოდ დიდ კომპენსაციას იძლევა მსოფლიოში ყველაზე მაღალი საშუალო საექტარო მოსავლიანობა.

სწრაფად იზრდებოდა ჩაის მზა პროდუქციის გამოშვება აჭარაში უკახასკენი-მს ჯლის მახილზე. ამ პერიოდში ჩაის ფართობები აქ დაახლოებით 40 პროცენტით გადიდა, მზა ბაიხაოს ჩაის პროდუქცია კი თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და 1970 წელს შეადგინა 7,1 ტონა, გაოდა ამისა, 1970 წელს აჭარის ჩაის ბრეველობამ გამოუშვა 3.200 ტონა მწვანე აგურა ჩაი.

აჭარაში ჩაის მზა პროდუქციის უდიდეს საწარმს იძლევა ქობულეთის რაიონი. აქ ჩაის ფართობებიც უფრო მეტია და საშუალო საექტარო მოსავალიც იევრად მაღალია. თუ ამას დაუმატებთ იმ ფაქტს, რომ აჭარის 14 ჩაის ფაბრიკდან 9 ქობულეთის რაიონშია, ბაშინ გასაგებობს გზნდება ქობულეთის რაიონის წახყვანი როლი ჩაის ბრეველობაში. 1970 წელს ქობულეთის რაიონზე მოდიოდა მთელი მიღებული ბაიხაო ჩაის 69,4 პროცენტი, ხელვაჩაურზე — 29,1 და ქედაზე — 1,5 პროცენტი.

იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალში ქედის რაიონში რამდენადმე გაიზრდება ჩაის ფართობები და საექტარო მო-

სავალი, მოსალოდნელია ზღვისპირა ზონის ხვედრითი წონის რამდენადმე შემცირება ჩაის საერთო მოსავალში. აჭარის ჩაის ფაბრიკები ძირითადად ამზადებენ შავი და მწვანე ბაიხაოს ჩაის (ცხრა სხვადასხვა ხარისხისას), მწვანე აგურა ჩაის და საყოფიერე მასალას. მაგრამ, აქაც არსებობს გარკვეული სპეციალიზაცია. ასე, მაგალითად, ჩაქვის №2, ბობოყვათისა და ხუტუბის ჩაის ფაბრიკები ამზადებენ მხოლოდ მწვანე ბაიხაოს ჩაის, სალიბაურისა და ქედის ჩაის ფაბრიკები კი შავი ბაიხაოს ჩაის. მაგრამ ქარხნების მეტა წილი ამზადებს როგორც შავ, ისე მწვანე ბაიხაოს ჩაის.

გამოშვებული ჩაის პროდუქცია ხარისხების მიხედვით: 1969 წელს აჭარაში დამზადდა „საქართველოს თაიგული“ 7,7 ტონა (ეს საქართველოს ასეთივე პროდუქციის 42 პროცენტს შეადგენს), უმაღლესი ხარისხის — 2267,3 ტონა (17 პროცენტი), პირველი ხარისხის — 3712,7 ტონა (17,2 პროცენტი), მეორე ხარისხის — 2834,3 ტონა (14,4 პროცენტი), ხოლო მესამე ხარისხისა — 9,9 ტონა (3 პროცენტი). როგორც ვხედავთ, აჭარის ხვედრითი წონა გაცილებით მეტია მაღალხარისხივანი პროდუქციის გამოშვებაში, ვიდრე საშუალოდ მთელ გამოშვებულ პროდუქციაში.

აჭარის ჩაის მრეწველობის საწარმოები მეტ-ნაკლებად თანაბრად არიან განლაგებული ზღვისპირა ზოლში და მხოლოდ ერთი ფაბრიკა (ქედის) მდებარეობს შიგა აჭარაში. ეს ფაბრიკები თითქმის მთლიანად ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამზადებული მოწყობილობით არის აღჭურვილი. ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები მექანიზებულია, რაც აპირბებს შრომის მაღალ ნაყოფიერებას. მრეწველობის ამ დარგის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი უშუალოდაა დაკავშირებული ჩაის ბუჩქის ვეგეტაციასთან და მოქმედებს სეზონურად. ფაბრიკები ჩაის გადამამუშავებას აწარმოებენ მხოლოდ აპრილიდან ოქტომბრამდე, რაც ერთობ აუარესებს საწარმოთა ეკონომიურ მაჩვენებლებს.

თავისი ტექნიკური აღჭურვილობით და სიმძლავრით აჭარის ჩაის ფაბრიკები ბევრად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სხვაობა მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ოდენობაში ძირითადად განპირობებულია ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლით თითოეული ფაბრიკის მომსახურების ზონაში. რაც შეეხება ქედის ჩაის ფაბრიკას, იგი სრულიად ახალგაზრდა საწარმოა და მისი მომსახურების ზონაში ჯერჯერობით ჩაის მცირე ფართობებია, თანაც პლანტაციების დიდი ნაწილი არ არის სრულმოსავლიანი.

გარდა ხარისხოვანი ჩაისა, თითოეული ფაბრიკა ამზადებს კოფეინის მასალას. მწვანე და შავი ბაიხაოს ჩაი ეგზავნებათ ჩაის გადამწონ ფაბრიკებს — თბილისში, ოდესაში, მოსკოვში, ვლადივოსტოკში, სამარყანდში, ირკუტსკში, ბაქოში და სხვ. მწვანე ჩაი ეგზავნება ძირითადად სამარყანდის ფაბრიკას, რადგან ეს პროდუქცია უმთავრესად შუა აზიის რესპუბლიკებში მოიხმარება. იქ ასევე იგზავნება მწვანე აგურა ჩაის უმეტესი ნაწილი უმცირესი კი დაღესტანში, სტავროპოლის მხარეში, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. მწვანე აგურა ჩაი მზადდება ჩაის უხეში ფოთლებისა და ბუჩქების განასხლავი მასალისაგან. ჩაქვის ჩაის საწნეხი ქარხანა მრეწველობის ამ დარგის ერთ-ერთი უძველესი საწარმოა საქართველოში. ადრე ის ხარისხოვან ჩაის უშვებდა, 1937 წელს განხორციელებული რეკონსტრუქციის შემდეგ კი გადავიდა მწვანე აგურა ჩაის დამზადებაზე.

გარდა საქართველოს და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი რაიონებისა, ხარისხოვანი ჩაი აჭარიდან იგზავნება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მათ შორის პოლონეთში, მაროკოში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

აჭარის ჩაის მრეწველობამ ათწლეულისა ერთი და იგივე ნედლეულისაგან შავი და მწვანე ჩაის კომბინირებული წარმოება. ეს შესაძლებელი გახდა ჩაის საღნობის-საფიქსაციო ავრეგატის შექმნით.

ახლა საქირო აღარ არის ცალკე აგრიკულტური ჩაის თითოეული სახეობისათვის. ამ პრობლემის გადაჭრას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. აქვე უნდა აღვნიშნავთ, რომ შავი და მწვანე ჩაის კომბინირებულ წარმოებას არ ვხვდებით მსოფლიოს არცერთ მეჩაიე ქვეყანაში. გარდა ამისა, აჭარის ჩაის ფაბრიკებში დანერგილია გრეხვის ახალი ტექნოლოგია, რამაც მნიშვნელოვნად გააძლია ჩაის ფაბრიკების წარმადობა. როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე აჭარის ჩაის მრეწველობაში სისტემატურად უმჯობესდება ჩაის გადამუშავების ტექნოლოგია, ინერგება ახალი ტიპის მანქანა-დანადგარები და იზრდება წარმოების ეკონომიური ეფექტიანობა.

ზღვისპირა აჭარის მთელ რიგ პუნქტებში ჩაის ფაბრიკების აშენებამ შექმნა მრეწველობის მნიშვნელოვანი კერები, რომლებიც ერთდროულად მოსახლეობის ინდუსტრიულ შრომაში ჩაბმას და წარმოების მაღალი კულტურის დანერგვას უწყობენ ხელს. მრეწველობის ამ დარგის განვითარებამ გამოიწვია აგრეთვე მომსახურე დარგების ჩასახვა და გაძლიერება, კერძოდ, სამეცნიერო-დაწესებულებების, ვაჭრობის, კომუნალური და სატრანსპორტო მეურნეობის შექმნა, რის შედეგადაც გაფართოვდა შრომის გამოყენების სფერო და მნიშვნელოვანი პროგრესი დაისახა სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრების ყველა დარგში.

* * *

კვების მრეწველობის დარგებიდან ჩაის ფაბრიკების შემდეგ, სუბტროპიკულ აგრარულ-ინდუსტრიულ კომპლექსში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ციტრუსების გადამამუშავებელი მრეწველობა. ამ დარგის მნიშვნელოვანი საწარმოებია ციტრუსების საფუთავი ქარხნები. მათი შექმნა აჭარაში დაიწყო 1931-1935 წლებში და ახლა 13 ასეთი საწარმოო ითვლება.

თანამედროვე შემფუთავი ქარხნების უპირატესობა ის არის, რომ ისინი მექა-

ნიზებულად ახარისხებენ და ფუთავენ მიღებულ პროდუქციას. ქარხნებში დადგმულია დამყალიბებული მანქანები, ტრანსპორტორები, ამწეები და სხვ.

შეფუთვა-გავზავნის მექანიზაციის შედეგად დიდად შემცირდა ამ სამუშაოებზე დასაქმებული მუშახელის რაოდენობა, ამასთან მკვეთრად გაიზარდა პროდუქციის გამოშვება. ასე, მაგალითად ქობულეთის № 1 შემფუთავ ქარხანაში თუ 1961-1962 წლების დამზადების პერიოდში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 350-360 კაცს აღწევდა, 1968 წელს ეს რიცხვი 150-დე შემცირდა, ხოლო 1969 წელს — 130-მდე. მსგავსი მდგომარეობაა სხვა ქარხნებშიც.

შემფუთავი ქარხნები, გარდა ციტრუსოვანებისა, გადამამუშავებენ სუბტროპიკულ ხურმას, თესლოვან და კურკოვან ხილს, რაც მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს ამ სეზონური საწარმოების მუშაობის პერიოდს და დადებითად მოქმედებს მათ ეკონომიურ მაჩვენებლებზე.

ციტრუსოვნებისა და კონტინენტური მეხილეობის ბაზაზე 1939 წელს ბათუმში აშენდა საბჭოთა კავშირში პირველი ციტრუსკომბინატი, რომელიც აწარმოებს ციტრუსოვანთა ყველა სახის ნაყოფის. აგრეთვე მსხლის, ვაშლის, ტყემლის, ქლიავის, ლეღვის, კომშისა და სუბტროპიკული ხურმის გადამამუშავებს. ციტრუსკომბინატი ნედლეულს გადასამუშავებლად ღებულობს როგორც აჭარის, ისე მახარადის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებიდან.

ციტრუსკომბინატში მზადდება შემდეგი სახის პროდუქცია: ხილის მურაბა, ჯემი, პოვიდლო, კომპოტები, ხილის წვენი, ციტრუსის ცუკატი, პიურე. ამ უკანასკნელს ფართოდ იყენებენ საშაქარო მრეწველობაში.

1968 წლიდან კომბინატმა აითვისა ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის ნაყენის გამოშვების ტექნოლოგია, ახლა ამ პროდუქციას იყენებენ ლიქიორისა და არყის დასამზადებლად. 1969 წელს ათი-ვისეს ხილის ვიტამინიზებულ (უშაქრო) წვენების წარმოება.

ციტრუსკომბინატის პროდუქცია, რომელიც მდიდარია ძვირფასი ვიტამინებით, დიდი რაოდენობით იგზავნება მთელ საბჭოთა კავშირში. იგი გამსჭვალვად მოწონებით სარგებლობს შორეულ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში, სადაც ხეხილი ნაკლებადაა. კომბინატმა 1940-1970 წლებში მზა პროდუქციის გამოშვება 2113 ათასი პირობითი ქილიდან 8300 ათას პირობით ქილამდე გაზარდა.

კომბინატში მაქსიმალურად იყენებენ წარმოების ნარჩენებს საშაქარო მრეწველობისათვის საჭირო ნახევარფაბრიკატების დასამზადებლად.

ციტრუსკომბინატი სეზონურად მოქმედს საწარმოა. იგი ძირითადად დაუტვირთავია წლის მეორე კვარტალში. ამ საწარმოს შემდგომი გაფართოების კარგი პერსპექტივებია. მიზანშეწონილია მისი სპეციალიზაცია ხილისა და ციტრუსების ნატურალური წვენების გამოშვებაზე. ეს გამართლებული იქნება იმ მხრივაც, რომ კომბინატი ამ შემთხვევაში მთლიანად გამოიყენებს წარმოების ნარჩენებს და მნიშვნელოვნად შეამცირებს წვენების თვითღირებულებას.

1938 წელს აშუშავდა ქობულეთის საკონსერვო ქარხანა, რომლის ძირითადი ნედლეულია ციტრუსოვნები, სუბტროპიკული ხურმა, კურკოვანი და თესლოვანი ხილი, აგრეთვე ბოსტნეულის ზოგადი სახეობა. მისი უმთავრესი პროდუქციაა ხილის კონსერვები და დაღუღებული წვენები.

ქარხანა ნედლეულს ღებულობს აჭარისა და იმერეთის რაიონებიდან.

ქარხნის პროდუქცია ძირითადად იგზავნება რუსეთსა და უკრაინაში. ამ საწარმოშიც მუშაობა სეზონურია. პერსპექტიულ პერიოდში გეგმით გათვალისწინებულია ქარხანაში გამოუშვას ახალი სახის პროდუქცია — ხილკერკოვანთა ღვინო, ციტრუსოვანთა ნაყენი, ხილის პიურე და სხვა.

ბუენარის ხილის ღვინოებისა და ციტრუსოვანთა ნაყენების ქარხანა საექსპლოატაციოდ გადაეცა 1935 წელს. იგი აშენდა ბამბუკის ქარხნის ბაზაზე. ეს ქა-

არხანა 1940 წელს გადაეცოდა ეთერზე-
თების საწარმოლ და მუშაობდა 1955
წლამდე, შემდეგ კი ამზადებდა ციტრუ-
სოვანთა ნაყენს. 1960 წლიდან საწარმოს
რეკონსტრუქციის შემდეგ დაიწყო გამა-
გრებული ხილის ღვინოების დამზადება
და ციტრუსოვანთა წვევნების წარმოება.

ქარხნის ტექნოლოგიური და ეკონომი-
ური მაჩვენებლები განსაკუთრებით გაუ-
მჯობესდა 1967-1970 წლებში. ამ სამი
წლის მანძილზე საწარმომ დაამზადა
5670 ტონა ღვინო, 4434 ტონა ნაყენი,
4200 ტონა წვენი ღვინისათვის. ეს პრო-
დუქცია იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვა-
დასხვა ქალაქებში.

* * *

ზღვისპირა აჭარის სუბტროპიკული
აგრორულ-ინდუსტრიული კომპლექსის
დახასიათებისას ყურადღებას იქცევს ერ-
თი გარემოება. ჩვეულებრივ, საწარმო-
ეკონომიური კავშირი სოფლის მეურნე-
ობასა და ქიმიურ მრეწველობას შორის
იმპში გამოიხატება, რომ სასოფლო-სა-
მეურნეო წარმოება დიდი რაოდენობით
მოიხმარს ქიმიური ქარხნების ისეთ მა-
სიურ პროდუქციას, როგორიცაა მინე-
რალური სასუქები და სხვადასხვა სახის
შხამქიმიკატები. ასეთ პროდუქციას აჭა-
რის სოფლის მეურნეობაც ღებულობს
ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს
გარეშად, მაგრამ, რაც შეეხება თვით ეკ-
ონომიური რაიონის შიგნით დამყარებულ
საწარმო-ეკონომიურ კავშირს, ამ მხრივ
აქ თავისებურად შებრუნებული მდგო-
მარეობაა: აჭარის სოფლის მეურნეობის
სანედლეულო ბაზაზე შეიქმნა საკმაოდ
განვითარებული ქიმიური მრეწველობა,
რომლის მნიშვნელობა სცილდება ავტო-
ნომიური რესპუბლიკის ფარგლებს. ესაა
ფარმაკეპტული და ტუნგის ზეთის წა-
რმოება, რომელიც ძირითადად ადგილ-
ობრივ ნედლეულს მოიხმარს და აგრა-
რულ-ინდუსტრიული კომპლექსის მეტად
საყურადღებო „კომპონენტს“ შეადგენს.

ჩაის მრეწველობა დიდი რაოდენობით
ტოვებდა გამოუყენებელ ნარჩენებს. 1935
წლის დეკემბერში ბათუმის სამღებრო

არტელის ბაზაზე შეიქმნა საბჭოთა კავ-
შირში და ევროპაში პირველი და დიდი
დღე ერთადერთი კოფეინის ქარხანა. კო-
ფეინის წარმოება თავდაპირველად მხოლოდ
ბოლა აკადემიკოს ი. ქუთათელაძის
ქარხნის სპეციალისტების მიერ დამუშა-
ვებული ტექნოლოგიით. 1953 წლამდე
ქარხანა უშვებდა მხოლოდ კოფეინს, შე-
მდეგ კი დაიწყო თეალებისა და სხვა
ძვირფასი პრეპარატების გამოშვება.

კოფეინზე დიდი მოთხოვნილების გა-
მო 1952 წლიდან დაიწყო ქარხნის რეკო-
ნსტრუქცია და გაფართოება, რის შედე-
გადაც იგი გადაიქცა თანამედროვე ტექ-
ნიკით შეიარაღებულ მსხვილ ფარმაკეპ-
ტულ საწარმოდ. ათვისებულ იქნა ისეთი
პრეპარატები, როგორიცაა კელინი ფხვნი-
ლად, პლატიფილინი, ალოეს წვენი, ალ-
ოეს ემულსია. 1962 წელს ქარხანა უკვე
16 სახის პროდუქციას უშვებდა, ხოლო
1969 წელს ოცდაათს.

ქარხანა ჩაის ქარხნებისა და პლანტა-
ციების ნარჩენების გარდა იყენებს სამ-
კურნალო მცენარეებს, რომლებსაც ლე-
ბულობს არა მარტო ქობულეთის სამუ-
რნალო მცენარეების საბჭოთა მეურნეო-
ბიდან, არამედ მოლდავეთიდან (საბჭოთა
მეურნეობა „პობედა“), ხმელნიკის ოლ-
ქიდან (ორჯონიკიძის სახ. საბჭოთა მე-
ურნეობა), ყირიმიდან, კრასნოდარიდან,
ვორონეჟიდან.

კოფეინის ქარხნის პროდუქციის მო-
მხმარებელია მთელი ჩვენი ქვეყანა. გა-
რდა ამისა, 1968-1969 წლებში ეს
პროდუქცია გაიგზავნა ერაყში, მონღო-
ლეთში, პოლონეთში, კორეის სახალხო
დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვიეტნამ-
ში, იემენსა და ავსტრიაში.

1970 წელს კოფეინის ქარხნის პრო-
დუქციის საერთო ღირებულება შეადგენ-
და 6586 ათას მანეთს.

კოფეინის ქარხანაში ჩაის ნარჩენების
გადამუშავების შემდეგ რჩება დიდძალი
ჩაის ნახარში მასა, რაც საუკეთესო მიკ-
როსასუქია და მთლიანად იგზავნება ჩაი-
სა და ციტრუსების პლანტაციებში.

ბათუმის კოფეინის ქარხანა აჭარის
ერთ-ერთი დიდი საწარმოა. ამაზე ისიც

მიგვითითებს, რომ რეკონსტრუქცია-გაფართოების შემდეგ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 500 კაცამდე გაიზარდა.

ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოა ოჩხამურის ტუნგის ზეთსახდელი ქარხანა. ჯერ კიდევ პირველ და მეორე ხუთწლედებში დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში გაშენდა ტუნგის პლანტაციები. როგორც ცნობილია, ტუნგი იძლევა ლაქ-საღებავების მრეწველობისათვის საჭირო უმაღლესი ხარისხის ტექნიკურ ზეთს. ტუნგის ხარგავებმა აჭარაში კარგად გაიზარა, გაფართოვდა პლანტაციები და უკვე დღია წესრიგში დაღვა ძისი ნაყოფის გადაღება. და აი 1939 წელს ოჩხამურში (ქობულეთის რაიონი) აშენდა ტუნგის ზეთსახდელი ქარხანა, რომელსაც დაიწყო ძვირფასი ზეთის გამოშვება. 1939 წლამდე ასეთი ტექნიკური ზეთი უცხოეთიდან შემოგვქონდა და მეტად ძვირი უჯდებოდა სახელმწიფოს.

ოჩხამურის ტუნგის ზეთსახდელი ქარხნისათვის საჭირო მანქანა-დასადგარები შემოტანილ იქნა ამერიკის „სეკრეტული შტატებიდან. თავდაპირველად ქარხნის პროდუქცია ღილი არ იყო. 1944 წლის 16 აპრილს სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, გაითვალისწინა რა ტუნგის ზეთის ათა მარტო სახალხო-სამეურნეო, ათამედ განსაკუთრებული სამხედრო მნიშვნელობა, იიღო დადგენილება „ტუნგის ზეთის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებამ დიდი როლი შეასრულა ტუნგის პლანტაციების გაფართოებისა და ოჩხამურის ქარხნის პროდუქციის ზრდის საქმეში.

ოჩხამურის ტუნგის ქარხანა ერთადერთია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. იგი ტუნგის ნაყოფის ნელგუთს ღებულობს აფხაზეთის, გურია-სამეგრელოსა და აჭარის კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან, მცირე რაოდენობით საკარმიდამო ნაკეთებიდანაც.

ქარხანა უშვებს მხოლოდ ერთი სახის პროდუქციას — ტუნგის ზეთს, რომელიც

იგზავნება მოსკოვისა და ტორეოს ქალიგრაფსაღებავების, ლეხიხგრადის ქალიგრაფების ქარხნებში, აგრეთვე ქალაქებს, როსტოვს, იოსტოვს, დნეპროპეტროვსკს, ვსკის, ტაშკენტის, კუიბისევისა და სხვა ქარხნებში. 1944 წელს ქარხანამ გამოუშვა 137 ტონა ზეთი, ხოლო 1970 წელს 303 ტონა.

ქარხანას წლიურად შეუძლია გადაამუშაოს დაახლოებით 250 ათასი ტონა ტუნგის ხაყოფი. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს ტუნგის ხაყოფით ამარაგებს მთელი დასავლეთ საქართველო, რგი მაინც არ არის უზრუნველყოფილი ნედლეულით, ამიტომ ძისი საძლავოე მთლიანად არაა გამოყენებული. ქარხნის პროდუქციის შემდგომი ზოლდა პირველ რიგში დამოკიდებულია ტუნგის პლანტაციებზე გაფართოებასა და საშუალო საპექტარო მოსავლიანობის ზრდაზე.

უკაასხელ წლებში ქარხანაში გაიხორციელდა იმეგხელოვანი ტექნიკური პროგნოზი. ძველი წახეები ძეიცავლა უახლესი მარკის დახადგაოებით და საწახეხი საამქროა წაოადოა ორჯერ გაიზარდა. სააქროებით დამონტაჟეულია უნივერსალური ძახეხეები, გაოყეებელია ახალი ფილტრები, იოწყოილია ექანიკური დამტეოთაგ-განმტეოთაეები, შექმნილია საცდელი საექსტრაქციო აპარატი და სხვ.

* * *

აჭარის სუბტროპიკული მეურნეობის ბაზაზე შექმნილია ბათუმის სააეეო ბამბუკის ფაბრიკა, რომელიც 1932 წელს აშეხდა. 1941-1945 წლებში ფაბრიკის მთელი საწარმოო სიძლავრე გამოყენებული იყო ფრონტისათვის საჭირო პროდუქციის გაძოსაშეებად და მისმა კოლექტივმა რამდენჯერმე ზემდგომი ორგანოების მადლობა და ჯილდოც დაიმსახურა.

1944 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე მოხდა ამ საწარმოს სპეციალიზაცია და ეწოდა „ბამბუკის გადამამუშავებელი ფაბრიკა“, ხოლო 1966 წლიდან „სააეეო ბამბუკის ფაბრიკა“, ამჟამად ბამბუკის

ნაწარმისა და ავეჯის ხედრითი წონა მთლიან პროდუქციაში თითქმის გათანაბრებულია.

ფაბრიკის ბამბუკის ნედლეულით ძირითადად ამარავენ აჭარის ასსრ, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, ლანჩხუთის, მახაჩკალის, ლაგოდეხის და თელავის რაიონები.

* * *

აჭარის სუბტროპიკული მეურნეობის კომპლექსში მანქანათმშენებლობას მნიშვნელოვანი როლი აქვს, ის ხელს უწყობს ამ კომპლექსში შემავალ კვების მრეწველობის, პირველ რიგში ჩაის მრეწველობის განვითარებას, ასეთი საწარმოა ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა, მის პროდუქციაზე სუბტროპიკული მეურნეობა დიდ მოთხოვნებს აყენებს, და ამასთან დაკავშირებით ქარხნის სიმძლავრე თანდათან იზრდება.

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა 1936 წელს ჩაიღვა მწყობრში, იგი თავდაპირველად ღვინისა და საკონსერვო მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობას უშვებდა, ხოლო შემდეგ დაეკისრა ჩაის მრეწველობის მანქანა-დანადგარების წარმოება; რაც ამჟამად ქარხნის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს. მისი პროდუქცია საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც დიდი რაოდენობით იგზავნება.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ გავცნოთ, რა მდგომარეობაა ტექნიკის განვითარების მხრივ მსოფლიოს ჩაის მწარმოებელ ქვეყნებში. დაახლოებით ასი წლის წინათ ამ ქვეყნებში ჩაის ამზადებდნენ პრიმიტიული წესით. ჩაის მრეწველობაში ტექნიკური პროგრესი გასული საუკუნის მეორე ნახევარში იწყება. 1870 წელს დაიწერა დანადგარი როლერი — ჩაის პირველი მანქანა. 1890 წელს დაიდგა ღუმელები. ამას მოჰყვა დამხარისხებელი მანქანები და სხვ. 1900 წელს ინდოეთში დაიწერა ჩაის საშრობი (საღნობი) მანქანა, ხოლო 1904 წელს ჩაის პლანტაციებში გამოჩნდა ნიადაგის დასამუშავებელი მანქანა — მო-

ტოკულტივატორი, 1906 წელს — ჩაის საჭრელი მანქანა.¹

ჩაის მანქანების დანერგვა ექვემდებარებულა დიწყო ინდოეთსა და ინდონეზიაში, ჩაის კულტურის ამ კლასიკურ ქვეყნებში. მაგრამ ჩაის მანქანათმშენებლობა ვითარდებოდა სხვა ქვეყნებში — ინგლისში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში. ყველაზე მეტი დამსახურება ამ მიმართულებით მაინც ინგლისს მიუძღვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ჩაის მანქანათმშენებელი მრეწველობა არ არსებობდა. სალიბერალის, ჩაქვისა და ოზურგეთის მცირე წარმადობის ფაბრიკებში დადგმული იყო ინგლისური მარკის მოწყობილობა.

ქართულ ჩაიზე მოთხოვნილობის გადიდებასა და ჩაის პლანტაციების ფართობის ზრდასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა ჩაის სამუშაოთა ექსპანზია. ეს ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა არ გაგვიჩნდა საკუთარი მანქანათმშენებლობა. ამიტომ საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო პირველ ხანებში ჩაის მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, კერძოდ, ინგლისიდან შემოეტანა.

ადვილი წარმოსადგენია, რამდენად ძვირი ჯდება ასეთ მოწყობილობაზე იმპორტი, მთა უმეტესს თუ ვაიეთვალისწინებთ იმასაც, რომ ცოტა ტექნიკა როდესაც იყო შესაძენი. ასე, მაგალითად, პირველ ხელწოდებულ შემოტანილ იქნა 118 ათასი მანეთის ტექნოლოგიური მოწყობილობა, აქედან 1931 წელს — 360 ათასი მანეთისა. ყველაფერი ეს ოქროთი ნაზღაურდებოდა. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ დააჩქარა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაეღა ამ მიმართულებით.

1926 წელს საზოგადოებამ „საქართველოს ჩაი“ სოფ. მიქელგაბრიელისა (ამჟამად სოფ. შრომა) და აცანის ჩაის ფაბრიკებში დადგა ა. სამარინის კონსტრუქციის როლერები, რომლებიც დაამზადა

1 ვრ. ქარჩავა, საქართველოს ჩაის მრეწველობის მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის განვითარება, თბილისი, 1967.

თბილისის 26 კომისიის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ. ეს იყო სამამულო წარმოების პირველი ჩაის მანქანა.

ცხადია, პირველი გამოშვებული მანქანის კონსტრუქცია მთლიანად ვერ პასუხობდა მასზე დაკისრებულ ამოცანას, ამიტომ საჭირო გახდა რესპუბლიკის ეროვნული, ან რამდენიმე საწარმოს სპეციალისტთა ასეთი ამოცანა დაეკისრა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანას, რომელმაც 1928-1929 წლებიდან დაიწყო ჩაის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის წარმოება. ქარხანა უშვებდა როლერებსა და ზოგიერთ სხვა სახის მანქანებს. ჩაის ქარხნის მოწყობილობათა წარმოება დაიწყეს აგრეთვე თბილისის კალინინის სახელობის და ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა. ამ უკანასკნელის საწარმოო სპეციალიზაცია შემდგომში სწორედ ამ გზით წარიმართა. მაგრამ ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა ჯერ კიდევ არ იყო ამისათვის მომზადებული. იგი ბათუმში 1885 წლიდან არსებული თუჯის სამსხმელ-მექანიკური ქარხნის ბაზაზე შეიქმნა და ამდენად ტექნიკურად ჩამორჩებოდა. დაიწყო ახალი მანქანათმშენებელი ქარხნის აგება. იგი დათავრდა 1935 წელს და მალე გაითქვა სახელი.

ახლა ეს ქარხანა აშაადებს ჩაის სამუშაოებს, ღია ტიპის როლერებს. ჩაის საშრობ კალორიფერებს, მწვანე ჩაის დამზარისებლებს, ჩაის საგრებ მანქანებს, რომლებიც იგზავნება საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩაის ფაბრიკებში და ყაზახეთის ჩაის გადამწონ ფაბრიკებში. გარდა ამისა, უცხოეთში იგზავნება ჩაის პირველადი გადამუშავებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების მთელი კომპლექტი.

უკანასკნელ წლებში საქსპორტოდ გათვალისწინებული ჩაის მოწყობილობათა ხვედრითი წონა საერთო პროდუქციაში აღწევს 45 პროცენტს.

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის პროდუქცია მარტო ჩაის მრეწველობისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოებით არ განისაზღვრება, აქ

მზადდება მოწყობილობა ციტრუსოვნების შემფუთავი ქარხნებისათვის და კვერის მრეწველობის სხვა საწარმოებშიც. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში

პროდუქცია მრავალფეროვანია. მაგრამ მისი ძირითადი დანიშნულება მაინც საქართველოს ჩაის მრეწველობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაა. ამ საწარმოსთან კოოპერირებაშია სამტრედიის მექანიკური ქარხანა, ზუგდიდისა და მახარაძის მექანიკური სახელოსნოები, რომელთა ამოცანაა ჩაის მრეწველობის სისტემისათვის სათანადო ნაწილების წარმოება, დანადგარების მონტაჟი და რემონტი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სამტრედიის მექანიკური ქარხანა, რომელიც ჩაის ფაბრიკების ტექნიკურ მოწყობილობათა მონტაჟს აკეთებს.

ჩაის მანქანათმშენებლობის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, რომელიც შეიქმნა 1954 წელს. მისი მთავარი ამოცანაა არსებული მანქანების კონსტრუქციული გაუმჯობესება და ახალი მანქანების შექმნა.

ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი ტექნიკითაა ახლა აღჭურვილი ჩაის თიბქმის ყველა ახალი ფაბრიკა. ეს მოწყობილობა ეგზავნება მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც, მათ შორის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

აჭარის მრეწველობის განხილულ დარგებს გარდა ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო წარმოებაში დიდი ადგილი უკავია საბჭოთა მრეწველობას (ნავთობგადამუშავება), ელექტროტექნიკურ და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობას, მუხტურ მრეწველობას, აგრეთვე თამბაქოს, ხორცის, რძის, საკონდიტრო მრეწველობას, მაგრამ ჩვენ აქ არ ვიხილავთ ამ დარგებს, რადგან ისინი არ შეადგენენ სუბტროპიკული მეურნეობის კომპლექსის უმუშაო კომპონენტებს. მართალია, ამ დარგთა საწარმოებს ამა თუ იმ სახით დამყარებული აქვთ საწარმოო-ეკონომიკური კავშირი სოფლის მეურნეობასთან და ზოგ შემთხვევაში თვით სუბტრო-

ბიკულ დარგებთან, მაგრამ ასეთი კავშირი არ ატარებს რაიმე სპეციფიკურ ნიშნებს და საერთოდ დარგთა შორის არსებულ ზოგად სამეურნეო კავშირთა ერთობის ფარგლებს არ სცილდება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი ჩასახვა და განვითარება აჭარაში არ ყოფილა განპირობებული სუბტროპიკული მეურნეობის წარმოქმნითა და აღმავლობით. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, თამბაქოს, ხორცისა და რძის მრეწველობა დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის არასუბტროპიკულ დარგებთან და უპირატესად ადგილობრივი მოსახლეობის სასურსათო მომარაგებას ემსახურება. ზოგიერთი კი მხოლოდ ზოგად სამეურნეო კავშირშია სუბტროპიკულ მეურნეობასთან. ცხადია, ასეთი კავშირები საკმარისი არ იყო ამ დარგების სუბტროპიკული მეურნეობის კომპლექსში შესატანად.

აჭარის სუბტროპიკული აგარულ-ინდუსტრიული კომპლექსის სამრეწველო დარგების განხილვას შემდეგ დასკვნებამდე მივყევართ:

1. აჭარაში სუბტროპიკული კულტურების მასიურად გავრცელების პარალელურად გასული საუკუნის მიწურულში ჩაისახა და განვითარდა ამ დარგის პროდუქციის ქარხნული გადამამუშავება. პირველ ყოვლისა ეს გამოიხატა ჩაის მწვანე ფოთლის გადამამუშავებელი ფაბრიკების მშენებლობით. განსაკუთრებით სწრაფად სწარმოებდა ჩაის ფაბრიკების მშენებლობა 1930-იანი წლებიდან, რაც გამოწვეული იყო ჩაის პლანტაციების მკვეთრად გაფართოებით.

2. საბჭოთა პერიოდში ციტრუსოვანი კულტურების სწრაფად გავრცელებამ გამოიწვია ზღვისპირა აჭარაში ციტრუსების გადამამუშავებელი მრეწველობის შექმნა. ეს დარგი წარმოდგენილია შემდეგთაგან-დამზარისხებელი ქარხნებითა და კონსერვების წარმოებით. დამზადებული ციტრუსების მთელი მასა ამ საწარმოებში ტექნიკურად გადამამუშავების შემდეგ ეგზავნება მომხმარებელს. ამრიგად, ცი-

ტრუსების წარმოება აჭარაში დამყარებულია ინდუსტრიულ საწყისებზე და საკმაოდ მძლავრ ტექნიკურ ბაზაზე. სუბტროპიკული მეურნეობის შემადგენელი განვითარების მყარ საფუძველია.

3. ჩაის მეურნეობის განვითარებამ, აგრეთვე სხვა სუბტროპიკული კულტურებისა და სამკურნალო მცენარეების გავრცელებამ შექმნა მტკიცე საწინდელულობა აჭარაში ქიმიურ-ფარმაცევტული და ქიმიური პროდუქციის წარმოებისათვის. ბათუმის კოფეინის და ოჩამურის ტუნგის ზეთსახდელი ქარხნები ძვირფასი პროდუქციით ამარაგებენ საბჭოთა კავშირის ფარმაცევტულ და ლაქ-საღებავების მრეწველობას და აჭარის სუბტროპიკული აგარულ-ინდუსტრიული კომპლექსის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ.

4. კომპლექსის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდ როლს ასრულებს აჭარის მანქანათმშენებლობა. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა ამარაგებს სუბტროპიკული მეურნეობის სამრეწველო დარგებს მანქანა-დანადგარებით არა მარტო აჭარის, არამედ მთელი კავშირის მასშტაბით. თუ აღვჩაგრძნობთ აჭარის საზოგადოებრივიდან შემოპქონდა ასეთი მოწყობილობა, ამჟამად თვითონ წარმოადგენს ამ დანადგარების ექსპორტიორს.

5. გარკვეულ როლს სუბტროპიკულ აგარულ-სამრეწველო კომპლექსში ასრულებს ბაზუკის ქარხნული გადამამუშავება. კომპლექსის შემადგენლობაში, მართალია, უშუალოდ არ შედიან აჭარის მრეწველობის სხვა დარგები (მსუბუქი მრეწველობა, ნავთობგადამამუშავება, ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობა, კვების მრეწველობის რიგი საწარმოები), მაგრამ მათ დამყარებულ აქვთ საკმაოდ მკიდრო საწარმო-ეკონომიური კავშირი სუბტროპიკული მეურნეობის როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამრეწველო დარგებთან, რითაც ხელს უწყობენ მათ განვითარებას.

ქურნალ „ჭოროხის“ 1971 წლის ნომრების შ ი ნ ბ ა რ ს ი

ლექსი, პოემა

- ანთაძე ცისანა — ლექსები, № 1.
ართილაყვა რევაზ — საქართველო (ლე-
ქსი), № 3.
ანანიძე ლევან — ლექსები, № 5.
ანანიძე შოთა — ლექსები, № 1. ნატვრა
(ლექსი), № 6.
გვარიშვილი ნანა — ლექსები, № 1.
გორგილაძე ზურაბ — ლექსები, № 3.
ფესეების ძახილი (ლირიკული პოემა),
№ 6.
დავითაძე ემენ — ბალადა მტკვრის და-
შრობისა (ლექსი), № 2. მუხა (ლექსი),
№ 5.
ვარშანიძე მამია — ლექსები, № 2. ლე-
ქსები № 3. ჩემო მხარევ (ლექსი), № 4.
ზოიძე შოთა — ლექსები, № 2.
კვირიტიძე ახმედ — ლექსები, № 1.
კეფერაძე ზაქრო — ხიჭაურის ციხე
(ლექსი), № 3.
მალაზონია ნესტორ — ლექსები, № 2.
აწუხსი (ლექსი), № 4. სათქმელი (ლექ-
სი), № 6.
მუავია ქსენია — ლექსები, № 3. ეროი
ისეთი (ლექსი), № 5.
მელია იაკობ — ლექსები, № 5.

როყვა შოთა — ვარუდილა ვარაღა
(ლექსი), № 5.

სეიდიშვილი ლადო — სახლი მორჩილე-
ბისა, (ლექსი), № 5.

ხალუქვაძე გიორგი — რესპუბლიკის
დროშა (ლექსი), № 3. თეას წიგნი
(ლექსი), № 5. როგორც წყარო უმ-
ღვრეველი (ლექსი), № 4.

ხამცხელი ვარლამ — სიმღერა (ლექსი),
№ 4.

ტაბიძე გალაკტიონ — მრავალქამიერ
გუგუნებდეს (ლექსი), № 3.

ფეტი ალექსანდრე — ლექსები, № 1.
რუსულიდან თარგმნა გიორგი სალუ-
ქვაძემ.

ქათამაძე ჯემალ — ლექსები, № 1. ლექ-
სები, № 4.

ხალვაში ფრიდონ — ლექსები, № 2.

მოთხრობა, პიესა, ნოველა, ნარკვევი

- ბაჭელიძე ვლადიმერ — ფესეები (ნარკ-
ვევი), № 4.
გორგილაძე მიხეილ — მეგვიდრე (მო-
ხრობა), № 6.
დიასამიძე ავთანდილ — ერგელი დე-
ლეგატი (ნარკვევი), № 3.

ლორია პარმენ — გზები (მოთხრობა),
№ 2. განცდილი და თვალნახული (მო-
თხრობა), № 5.

მოდებაძე ნოდარ — გაუტეხელი (მოთ-
ხრობა), № 2.

ნაცვალაძე დავით — ტურისტები (მო-
თხრობა), № 4.

ჟღენტი ნათელა — განთიადის წინ (მო-
თხრობა), № 2. როცა გაზაფხულდება
მთაში (მოთხრობა), № 4.

როყვა შოთა — გაცილება (მოთხრობა),
№ 2.

სანადირაძე გიორგი — მთა (მოთხრობა),
№ 3. ლოდინი (მოთხრობა), № 6.

შერვაშიძე ამირან — ლესია (პიესა), № 1.

ჭანტურია ვოლტერ — გემის მესაჭის
ნამბობი (მოთხრობა), № 1.

ხოფერია ჯემელ — შეხვედრა (მოთხ-
რობა), № 1, ბერეკაცია (მოთხრობა),
№ 3. ჭაბუკები (მოთხრობა), № 5.

ხალვაში ფრიდონ — წყვდიადის მტერი
(მოთხრობა), № 4.

ხუროძე დავით — ორი ნოველა, № 5.

შონია აკაკი — მემლექეთის სტუმარი
(ნარკვევი), № 5.

ბრიბუნდანი


ხალვაში ფრიდონ — მოვეუაროთ და მო-
გვივლის, № 3.

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ჭურიძე შოთა — აღორძინებული სიტყ-
ვა, № 3. ახლის დამამკვიდრებელი იუ-
მორი, № 6.

ჯიჭიშვილი ეთერ — მიხეილ ჯავახიშ-
ვილის პუბლიცისტური წერილები,
№ 1.

წერილები



თხილაიშვილი ალექსანდრე — აჭარის
ასსრ ორმოცდაათი წლის განმავლობაში

ართმელაძე რიფათ — როცა კალამი
ხიშტს გაუტოლდა, № 4.

ახვლედიანი აზიზ — ორთაბათუმი, № 2.
ერგე, № 4.

დუმბაძე ნელი — ლენინი დეკადანსის
წინააღმდეგ ლიტერატურაში, № 5.

ზოიძე ეთერ — გაშირების ტრადიცია
აჭარაში, № 5.

თავართქილაძე ალექსანდრე — სასაქონ-
ლო რესურსები და მისი ზრდის რეზე-
რვები აჭარაში, № 4.

კომახიძე ზურაბ — აჭარის მოსახლეობა
და შრომითი რესურსები, № 4. აჭარის
სუბტროპიკული აგარაჟულ-ინდუსტრი-
ული კომპლექსის სამრეწველო დარგე-
ბი, № 6.

ლორია ალექსანდრე — სიტყვა და წი-
გნი, № 1.

მეგრელიძე იოსებ — მენხლიანობა აჭა-
რაში, № 1.

სურმანიძე რამაზ — მამულიშვილი, № 1.
ოთხი წელი აკაკი წერეთელთან, № 4.

სურგულაძე აბელ — ლენინი საქართვე-
ლოში სოციალისტური მშენებლობის
ამოცანების შესახებ, № 3.

ცქვიტარია პარმენ — საქართველოს მე-
წვეიკური მთავრობის საშინაო და
საგარეო პოლიტიკის საბოლოო კრახი,
№ 1.

ცქვიტარია პარმენ, სურგულაძე აბელ,
ჯაფარიძე შოთა — ბათუმის კომუნის-
ტური ორგანიზაციის ისტორიის ზო-
გიერთი დამაზინჯების შესახებ, № 2.

ჩულოვი ილია — პასუხი ოპონენტებს,
№ 6.

ცქვიტარია პარმენ, სურგულაძე აბელ,
ჯაფარიძე შოთა — განმარტება პასუ-
ხის გამო, № 6.

ძნელაძე რევაზ — სამშობლოსათვის,
№ 3.

ჯაუელი ალექსანდრე — გამარჯვების შე-
მდეგ, № 3.

ხელოვნება

ხინიკაძე მერაბ — ბათუმის თეატრი,
№ 2.

წიგნების მიმოხილვა

საიუბილეო, № 2. სახელოვანი თარიღა-

სადმი მიძღვნილი მეცნიერული შრო-
მები, № 3.

თანდილავა ჯურაბ, ზოიძე
ოთხტომეულის პირველი

ჩავლეიშვილი ალექსანდრე — საჭირო
წიგნი, № 5.

საბრძოლა და იუმორი

დარჩია ვლადიმერ — ო, ეგ ფეხბურთი!
№ 5.

სამსონია ალექსანდრე — გამოუქვეყნე-
ბელი წერილების კვალდაკვალ, № 1.

657205



ფან 40 ფან.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118